www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 14 მაისი, 2004 წელი. №113 (662)
ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### რუსეთის უმდიდრესი ადამიანი ციხეში ზის

გუშინ ამერიკული გამოცემა "ფორბსის" რუსულმა ვერსიამ ჩვენი დროის რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სია გამოაქვეყნა. მათგან ერთი - ციხეში ზის, მეორე - უნივერსიტეტის პროფესორია, მესამეს - ფეხბურთი იტაცებს. ისინი ძალიან განსხვავებულები არიან, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ – ისინი ძალიან მდიდრები არიან და ამერიკული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგს სათავეში უდგანან.

A4

## უცხოეთი

### განდების დინასტია ბრუნდება

მსოფლიოში მოსახლეობის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი ქვეყნის –ინდოეთის პოლიტიკაში სერიოზული გარდაქმნებია მოსალოდნელი. დღევანდელი პრემიერ-მინისტრის ატალ ბეჰარ ვაჯპაის პარტია "ბჰარატია ჯანატა" ქვეყანაში მიმდინარე სამკვირიან (!) არჩევნებში დამარცხდა და ადგილს სონია განდის "ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს" უთმობს.

A5

## საზოგადოება

### ჯანდაცვის სამინისტროს სიურპრიზი „წამლის მაფიას"

ქვეყანაში არ არსებობს ტოქსიკოლოგიური ექსპრეს-ლაბორატორია, რომელიც ინტოქსიკაციის ზუსტი მიზეზის განსაზღვრის საშუალებას იძლევა; და ეს მაშინ, როცა ქიმიური ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება – ასეთ განცხადებას აკეთებს ორიოდე თვის წინათ შექმნილი ადამიანის ეკოლოგიის დაცვის საზოგადოებრივი საბჭო სახალხო დამცველის ოფისში გამართულ შეხვედრაზე.

A6

## სამართალი

### საქართველოს უახლოეს მომავალში ამერიკული საექსპერტო ლაბორატორია ექნება

უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაპირებულ საექსპერტო ლაბორატორიას ელოდება; მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ძვირფასმა "საჩუქარმა" დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. ამის მიზეზი კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საექსპერტო ბიუროსთვის შესაბამისი შენობის არარსებობა იყო.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 26 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 25 |
| თელავი | 25 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 24 |
| ახმეტა | 25 |
| ჭიათურა | 26 |
| გაგრა | 22 |
| სამტრედია | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9500 |
| ევრო | 2.3115 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4410 |
| რუბლი | 0.0671 |

# ერაყული ესკიზები იალღუჯის პოლიგონზე

გიორგი ასანიშვილი

*ერაყის ომმა ქართველი სამხედრო მოსამსახურეების საბრძოლო მომზადებაშიც შეიტანა კორექტივი. საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის ჯარისკაცები ამჟამად წვრთნას სპეციალური პროგრამით გადიან, რომელიც სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების ასპექტებში დაოსტატებას ითვალისწინებს. საპატრულო-სავარჯიშო მეცადინეობები ერაყში არსებულ ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში მიმდინარეობს.*

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ექვსმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ (დიდი ბრიტანეთის ხელშეწყობით) ჩეხეთის ქალაქ ვიტკოვიცეში სპეციალური მომზადება გაიარა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მათ 42 თანამემამულე

გაგრძელება A3 გვერდზე



გოგიტა ბასაიძის ფოტო

*ისინი ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად ემზადებიან.*

# ბათუმის ნავთობტერმინალი ერთიან ეკონომიკურ სივრცეში

მაია ურუშაძე

*დახურული ზონები იხსნება. ბათუმის ნავთობტერმინალი, რომელიც აქამდე აჭარის ექსმეთაურის ასლან აბაშიძის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო, ახალი ნავთობგადამზიდავი კომპანიის შექმნის თაობაზე საგანგებო განცხადებას აკეთებს.*

**"საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბათუმის ნავთობტერმინალის მონახულებიდან სამი დღის შემდეგ მინდა გაუწყოთ, რომ საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების საფუძველზე, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, საქართველოში შეიქმნა ახალი ნავთობგადამზიდავი კომპანია – შპს "პეტროტრანსი". შედეგად, აჭარა საქართველოს ერთიან ეკონომიკურ სივრცეს შეუერთდება,"** - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ ბათუმში, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ბათუმის ნავთობტერმინალის მეპატრონემ, დანიელმა ბიზნესმენმა იან ბონდე ნილსენმა.

გაგრძელება A4 გვერდზე



იური მეჩითოვის ფოტო

*აჭარის კრიზისის დასრულების შემდეგ, ბათუმის ნავთობტერმინალში ტვირთნაკადის გაზრდას ვარაუდობენ.*

# ლონდონი და პეკინი საუკუნო კავშირს ქმნიან

ლაშა გიორგიძე

ჩინეთის პრემიერის ვენ ძიაბაოს ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში სამ დღეს გაგრძელდა. ტონი ბლერთან პრემიერ-მინისტრის რანგში ეს მისი პირველი სტუმრობა იყო და, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებულიც. სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, თავისი ბრიტანელი კოლეგისა და მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედის გარდა, უმსხვილესი ბრიტანული კომპანიების ხელმძღვანელებსაც შეხვდა, რომელთაც ჩინეთის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები აქვთ დაბანდებული.

მოსალოდნელი იყო, რომ საუბარი პრემიერ-მინისტრებს შორის ჩინეთში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს შეეხებოდა. როგორც სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელმა განაცხადა, ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. თუმცა საინტერესოა, რამდენად შემტევი იქნებოდა

გაგრძელება A5 გვერდზე



*ტონი ბლერი და ვენ ძიაბაო.*

## ასლან აბაშიძის შეიარაღება საქართველოს თავდაცვის სამსახურში

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

*ამოღებული იარაღისა და საბრძოლო მასალის შესახებ აჭარიდან ყოველდღიურად ახალ-ახალი ცნობები ვრცელდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ასლან აბაშიძისა და მისი რეჟიმის მიერ დატოვებული არსენალის საერთო ღირებულება, დაახლოებით, 30 მილიონ დოლარს აღწევს. იმ ფონზე, როდესაც მთელი საქართველოს შეიარაღებული ძალების გასული წლის ბიუჯეტი მხოლოდ 50 მილიონ დოლარს შეადგენდა, ასლან აბაშიძის რეჟიმის განაიარაღებით მიღებული საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## იტალიელი ინვესტორები სახელმწიფო პატრონაჟის ძიებაში

მაია მოსიაშვილი

**"ჩვენ სააპელაციო სარჩელი შეგვაქვს უზენაეს სასამართლოში. თუ სასამართლო ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს მივმართავთ. ეს არ არის მუქარა, მაგრამ, ფაქტია, ჩვენ ხელს გვიშლიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც კერძო და სახელმწიფო ინტერესებს ერთმანეთში ურევენ. მათ ჩვენი საკუთრების წართმევა უნდათ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ დახმარებას ვთხოვთ ხელისუფლებას და ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება შეუძლია,"** - ასე ჟღერდა შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" დირექტორთა საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება, რომელიც იტალიელი ინვესტორის წარმომადგენელმა ალექსანდრე სერიოგინმა გუშინ გაახმოვანა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნავთობპროდუქტების გაძვირება - მხოლოდ უარყოფითი შედეგები

სოფიკო ოხანაშვილი

*ნავთობპროდუქტებზე ფასების კატასტროფულმა ზრდამ მსოფლიო შეაშფოთა. ქართული ეკონომიკა უკვე განიცდის საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების უპრეცედენტო გაძვირების შედეგებს. შეშფოთებას არც ნავთობის სფეროში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები და ეკონომისტები მალავენ. შეშფოთების მიზეზი კი ასეთია: ნავთობის ფასის გაზრდა მომხმარებლებსაც და იმპორტიორებსაც აზარალებს. საერთაშორისო ბაზარზე პროცესის დაურეგულირებლობის შემთხვევაში იმპორტიორები საქართველოში საწვავის ფასის კიდევ უფრო გაზრდას არ გამორიცხავენ, რაც, თავისთავად, მოხმარების შემცირებას გამოიწვევს. ამ პროცესის არსებულ და შესაძლო შედეგებზე სასაუბროდ "24 საათი" საქართველოში მოღვაწე ნავთობპროდუქტების მსხვილ იმპორტიორებსა და ეკონომისტებს დაუკავშირდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ისტორია | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

## საქართველოში მუშაობას გავაგრძელებთ



"საერთაშორისო განგაშის" წარმომადგენლები "აფხაზურ კლუბში".

გუშინ "აფხაზურმა კლუბმა" უმასპინძლა ბრიტანული ორგანიზაციის - "საერთაშორისო განგაშის" ახალ ხელმძღვანელს დენი სმიტს. ბრიტანული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობაა, 20 წლის წინათ დაარსდა. იგი ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული პრინციპებით; აქტიურად მოღვაწეობს მსოფლიოს არაერთ რეგიონში, მათ შორის – კავკასიაში; ახორციელებს პროგრამებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. ორგანიზაციის მიზანია, ყოველმხრივ დაეხმაროს იმ ორგანიზაციებსა და ადამიანებს, რომელთაც კონფლიქტის მოგვარების საქმეში თავისი დადებითი წვლილის შეტანა სურთ.

როგორც სტუმარმა განაცხადა, საქართველოში მისი ვიზიტის მიზანია სიტუაციის გაცნობა, რათა მომავალი წლის პროგრამების დაგეგმვისას ყველაფერი მაქსიმალურად გაითვალისწინოს. პროგრამების კონკრეტული დასახელება მან ჯერჯერობით ვერ შეძლო, მაგრამ ის დანამდვილებით თქვა, რომ საქართველოში მუშაობას აუცილებლად გააგრძელებს.

დენი სმიტი: **"ჩვენ გავაკეთეთ ამ წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს ანალიზი და, აქედან გამომდინარე, შევეცდებით მომავალი წლის გეგმის შედგენას. საქართველოსაც იმიტომ ვესტუმრე, რომ სიტუაციას გავეცნო და პროგრამების შექმნისას ყოველივე გავითვალისწინო. ასე რომ, ჩვენ საქართველოში მუშაობას გავაგრძელებთ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს განსაკუთრებულ ყურადღებასაც მივაქცევთ. ჩვენი მთავარი მიზანი იქნება, ერთმანეთთან მჭიდროდ დავაკავშიროთ კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილე პარტნიორი მხარეები".**

## არძინბას ხელისუფლებამ პროქართულად განწყობილი ადამიანების დევნა დაიწყო

აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ძალოვანმა სტრუქტურებმა უკვე დაიწყეს იმ ადამიანთა ვინაობის დადგენისა და ძებნის ოპერაცია, რომლებიც ამ დღეებში სოხუმის ქუჩებში საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშებითა და პრეზიდენტ სააკაშვილის სურათებით გამოჩნდნენ.

მისივე თქმით, ამ ადამიანების ბედი და ამგვარი გამოსვლების მასშტაბურობა ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოზიციაზე.

"მათი მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი აქცია უნდა იყოს იმის ნიშანი, რომ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით დაიწყოს მუშაობა," - აცხადებს

ნადარეიშვილი და დასძენს, რომ სოხუმის ქუჩებში გამოსვლა შემთხვევით არ მომხდარა, მათ აქვთ კონტაქტები და კონსულტაციები გარკვეულ პირებთან, თუმცა უსაფრთხოების მიზნით ვინაობის გამხელა მიზანშეუწონელია.

ნადარეიშვილი გამორიცხავს აღნიშნულ პროცესებში აფხაზური დიასპორის, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ინალ კაზანის რაიმე სახით მონაწილეობას.

რაც შეეხება აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს, როგორც ნადარეიშვილი აღნიშნავს, მათი პოზიცია ოფიციალური ერევნის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

"თავის დროზე სომხებს მიუთითეს, რომ მხარი დაეჭირათ აფხაზებისთვის. ახლა კი, ნორმალურად მოაზროვნე აფხაზების მსგავსად, ისინიც ხედავენ, რომ აფხაზეთი დაღუპვის პირასაა და ერთგვარ გაურკვევლობაში არიან. ამიტომ საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ მუშაობა სომხეთის ხელისუფლებასთანაც გაააქტიუროს, რადგან მათ ნეიტრალური პოზიცია მაინც დაიკავონ," - აცხადებს ნადარეიშვილი.

*მედია-ნიუსი*

## რუსეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები

საქართველომ რუსულ მხარეს უკვე გადასცა შეთანხმების პროექტი, რომელიც ორ ქვეყანას შორის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს. პროექტი საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სამუშაო ჯგუფებმა ერთობლივად მოამზადეს. როგორც საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, დოკუმენტის რატიფიცირების ერთადერთ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ 90-იან წლებში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოსთან ამ ტიპის თანამშრომლობა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მოგვარებამდე დაუშვებელია. სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ამ წინააღმდეგობის დაძლევა ორივე მხრიდან დაშვებული კომპრომისების საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

*მედია-ნიუსი*

## საქართველომ ჯორჯ ბუშის მოწონება დაიმსახურა

ვაშინგტონში, თეთრ სახლში გაიმართა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საზეიმო შეხვედრა იმ 16 ქვეყნის ელჩებთან, რომლებიც მოხვდნენ აშშ-ს ახალი დახმარების პროგრამაში - „ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში".

საქართველოს წარმოადგენდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში ლევან მიქელაძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, ფინანსთა მინისტრი ჯონ სნოუ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი კონდოლიზა რაისი, ათასწლეულის დახმარების კონსორციუმის აღმასრულებელი დირექტორი პოლ ეპელგარტი და სხვა ოფიციალური პირები.

აშშ-ს პრეზიდენტმა 16 სახელმწიფოს ელჩებს მიულოცა პროგრამაში მოხვედრა და მაღალი შეფასება მისცა ამ ქვეყნების მთავრობათა საქმიანობას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების თვალსაზრისით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოსთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ბუშმა აღნიშნა, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ გააორმაგა ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსება და ორი მესამედით გაზარდა მასწავლებელთა ხელფასები. მისი თქმით, შერჩეული 16 ქვეყანა, რომელიც რეფორმების გზაზე დგას და ეროვნული სიმდიდრის შექმნასა და სტაბილურობას უწყობს ხელს, განვითარებადი ქვეყნებისთვის სამაგალითოა.

*მედია-ნიუსი*

## წალკის ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

წალკაში კვლავ რთული ვითარებაა: ოლქის პროკურატურამ აჭარლებით დასახლებული სოფლების დარბევის ფაქტზე ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. პროკურატურის და პოლიციის გამომძიებლები ოთხი დღეა, წალკაში მუშაობენ, თუმცა ამ დრომდე ხულიგნობის ჩამდენი არც ერთი პიროვნების ვინაობა გამოკვეთილი არ არის. ჩასახლებული აჭარლები, რომლებსაც ათეულობით ადგილობრივი სომეხი სახლებში შეეჭრა და დაარბია, კატეგორიულად ითხოვენ დამნაშავეების დასჯას. ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის ნოდარ ქინქლაძის განცხადებით, სომხური მოსახლეობა წინააღმდეგია შინაგანი ჯარის ნაწილების წალკაში დარჩენისა. ჩასახლებული აჭარლები კი აცხადებენ, რომ აუცლებლად დატოვებენ წალკას, თუ იქიდან შინაგან ჯარს გაიყვანენ.

პოლიციამ უკვე მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას და იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება მოსთხოვა, თუმცა დღემდე ეს მოთხოვნა მხოლოდ ერთმა მოქალაქემ გაითვალისწინა, რომელმაც სამართალდამცველებს ერთი გლუვლულიანი სანადირო თოფი ჩააბარა.

გუშინ წალკაში ჩასვლას შინაგან საქმთეა მინისტრი გიორგი ბარამიძეც გეგმავდა, მაგრამ უამინდობის გამო მისი ვიზიტი გადაიდო.

*ინტერ-პრესი*

## აჭარაში სპეცოპერაციები დაიწყო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონის რამდენიმე სოფელში გუშინ სპეცოპერაცია ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ გულუას სახელობის სპეცრაზმი, შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი და უშიშროების ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლები.

როგორც სპეცოპერაციის შედეგებისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ავთო ანთაძემ განაცხადა, სამინისტროს გააჩნდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ სოფლებს უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრები აფარებდნენ თავს. მისივე თქმით, სპეცოპერაციის შედეგად სოფელ აგარაში ზურაბ კომახიძე დააკავეს, რომელსაც ჩხრეკისას გადაჭრილი თოფი და ნიღაბი ამოუღეს. ამავე სოფელში აღმოჩენილია სარდაფი, რომელშიც 130 ერთეული ავტომატი ინახებოდა. ანთაძის თქმით, აღნიშნული სოფლების მოსახლეობა სპეცოპერაციის ჩატარებას გაგებით შეხვდა და მისი მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

*ინტერ-პრესი*

## ასლან აბაშიძის გარემოცვის კიდევ ერთი წევრი დააკავეს

დააკავეს აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის გარემოცვის კიდევ ერთი წევრი - ჯამბულ ნინიძე, რომელიც ბათუმის პორტს ხელმძღვანელობდა და წლების განმავლობაში ვიცე-მერის თანამდებობაც ეკავა. ნინიძე ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააკავეს. საქმეს აჭარის სატრანსპორტო პროკურატურა იძიებს. როგორც გამომძიებელი თემურ მახაძე აცხადებს, "ჯამბულ ნინიძეს სახელმწიფოს 130 ათასი დოლარი მართებს: მან თვითნებურად დაუკლო ფასები სხვადასხვა კომპანიებს ტვირთის შემოზიდვაზე, რის გამოც ბიუჯეტმა 130 ათასი დოლარი იზარალა". გამომძიებლის თქმითვე, სადავო თანხის გადახდის შემთხვევაში ნინიძეს გაათავისუფლებენ.

*ინტერ-პრესი*

## საკონსტიტუციო სასამართლოში აჭარის თემაზე მსჯელობა დღეს განახლდება

საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის 67 დეპუტატის სარჩელის განხილვა დღეისთვის გადაიდო. სარჩელი აჭარის რამდენიმე საკანონმდებლო ნორმის ანტიკონსტიტუციურად ცნობას ეხება. სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნაში რამდენიმე იურიდიული დეტალია შესასწორებელი. საქართველოს პარლამენტის 67 დეპუტატი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტის, აჭარის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის, "საგანგებო მდგომარეობის შესახებ" აჭარის კანონის და აჭარის სენატის რეგლამენტის რამდენიმე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას და გაუქმებას მოითხოვს. 7 აპრილს სასამართლოს პლენუმმა პარლამენტარების საჩივრის არსებითი განხილვის გადაწყვეტილება მიიღო.

*ინტერ-პრესი*

## საფრანგეთის დროშები კახეთში

გუშინ კახეთში საფრანგეთის დროშები აფრიალდა - დაიწყო ფრანგული კუტურის დღეები, რომელსაც კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა და იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს კულტურის განყოფილების უფროსმა დანიელ პერუმ სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ იონის დეპარტამენტსა და კახეთს შორის დაძმობილებას საფუძველი 1998 წელს ჩაეყარა. გასულ კვირას კახეთის დელეგაცია საფრანგეთში იმყოფებოდა, სადაც რეგიონისთვის უამრავი საჭირბოროტო საკითხების მოგვარება დაიგეგმა. პირველ რიგში კი, როგორც პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, თანამშრომლობას ფრანგები და კახელები ამ ორ რეგიონს შორის კულტურული ღონისძიებებით დაიწყებენ. "ამ ეტაპზე ფრანგები ფრანგულ კულტურას წარმოგვიდგენენ. ჩამოვლენ ჯაზის, ტრადიციული მუსიკისა და ფრანგული სიმღერების ცნობილი შემსრულებლები, აგრეთვე - საფრანგეთში ცნობილი ილუზიონისტი სებასტიან ლადრუზი. წარმოდგენილი იქნება 200-ზე მეტი ნამუშევარი - მხატვრობა, სკულპტურა, კერამიკა და ფოტოები", - ამბობს ცისკარიშვილი. ხვალ კი, სოფელ ველისციხის კულტურის სახლში ფრანგების მიერ დამონტაჟებული განათების ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართება.

*24 საათი*

## ცისკარიშვილი ჟურნალისტის ცემას შეკვეთილს უწოდებს

კახეთის რეგიონში 12 მაისს ჟურნალისტ ზურაბ ქაჩლიშვილის ცემის ფაქტს გუშინ კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი გამოეხმაურა. იგი ამ ფაქტს შემაძრწუნებელს უწოდებს და კატეგორიულად უარყოფს, რომ თითქოს გაზეთ "ობიექტივის" რედაქტორი მისი დავალებით ცემეს. "მართლაც, რომ შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომელიც ორი დღის წინ მოხდა. მე თავად ვარ დაინტერესებული ამ საკითხით. ამიტომ ყველა ძალოვან უწყებას დავავალე, რომ ეს საქმე ობიექტურად იქნეს გამოძიებული და თანაც - შემჭიდროებულ ვადებში, რათა ყველაფერს აეხადოს ფარდა. გარწმუნებთ, რომ რაც მოხდა, შეკვეთილია და ამას მალე საზოგადოება გაიგებს,"- აცხადებს ცისკარიშვილი. იმ შემთხვევაში, თუ პეტრე ცისკარიშვილმა და თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა მამაცაშვილმა ზურაბ ქაჩლიშვილს თავისი უდანაშაულობა დაუმტკიცეს, მამაცაშვილიც და ცისკარიშვილიც ღირსების შელახვის გამო, სარჩელს "ობიექტივის" რედაქტორის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანენ.

*24 საათი*

## ტყავის ჩანთა და ტყუილების გუდა



ბატონი შალვა პრესკონფერენციებზე ხალისობს..

**"ბიუჯეტი ინგლისური სიტყვაა და ტყავის ჩანთას ნიშნავს; ჟვანია-სააკაშვილის ბიუჯეტი ტყუილების გუდას ნიშნავს,"** – განმარტა ლეიბორისტების ლიდერმა ბატონმა შალვამ ახალი ბიუჯეტის განსახილველად მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე. ნათელაშვილის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული არც ერთი ის დაპირება, რომელსაც **"ორი კარიერისტი - ჟვანია-სააკაშვილი - წლების განმავლობაში იძლეოდა".**

ლეიბორისტების ლიდერი წუხს, რომ მთავრობას აღარ ახსოვს უფასო სახელმძღვანელოებთან, ხელფასების ზრდასთან და ბინათმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებული დაპირებები. "ლეიბორისტები" აღშფოთებულნი არიან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან 160 მილიონი ლარი - გრანტებზე, 275 მილიონი ლარი კი უცხოურ კრედიტებზე მოდის, რითაც ქვეყნის საგარეო ვალები 200 მლნ. ლარით იზრდება.

ბატონმა შალვამ გუშინ ბევრი იცინა და იხალისა ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებზე, მაგალითად, როგორიცაა: "ფერმერთა და გლეხთა სწავლება-კონსულტაცია", "ვენახების გადაადგილების სპეციფიკური ზონების დადგენა", "გადაშენების პირას მყოფი თევზების აღწერა" და "კლიმატის ცვლილებების შესწავლა".

ბატონი შალვა საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს თევზების აღწერის საქმეს: **"ხელისუფლებამ ამომრჩეველთა სიებში შესაყვანად ადამიანების აღწერა ვერ მოახერხა და ახლა თევზების აღწერა მოინდომა,"** – აღნიშნავს იგი.

ბატონი შალვას მხიარული პრესკონფერენცია ბიუჯეტს ვერ "უშველის" – ახალი რეგლამენტის თანახმად, იგი უკვე ერთი მოსმენით დამტკიცებულია, რაც "ლეიბორისტების" ლიდერისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა: **"რა, მეორე და მესამე მოსმენა არ იქნება?"** – იკითხა გუშინ "ლეიბორისტების" ლიდერმა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტარ კობა დავითაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შესატანად დეპუტატთა ხელმოწერები აღარ ჰყოფნის. საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გუშინ საკონსტიტუციო სარჩელზე დეპუტატების ხელმოწერების ნამდვილობა შეამოწმა და კომიტეტის წევრებს წარუდგინა დასკვნა, რომლის მიხედვით, სარჩელს მხოლოდ 37 პარლამენტარი აწერს ხელს. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ინფორმაციით, 10-მა დეპუტატმა (გია თორთლაძემ, თენგიზ ოქროცვარიძემ, გურამ ვახტანგაშვილმა, ავთანდილ სილაგაძემ, ბადრი ნანეტაშვილმა, პავლე ცაძიკიძემ, სანდრო თაბაგარმა, ნიკო ლეკიშვილმა, ნანა პატარკაციშვილმა და ვახტანგ აბაშიძემ) საკუთარი ხელმოწერები უკან გაითხოვა. ხელმოწერების გათხოვნის მიზეზად, ძირითადად, იმას ასახელებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე ჩაიდო პენსიონერებისთვის საპენსიო დავალიანების დაფარვის თანხა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, ყოფილ დეპუტატებს პენსია შეუმცირდებათ. აღნიშნული ინიციატივის ავტორი კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილია, რომელიც მოითხოვს, რომ პარლამენტარის საპენსიო თანხა 255 ლარით შემცირდეს და მას სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა ჩამოეჭრას. კომიტეტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. კომიტეტის წევრებს საკუთარი პოზიციების საკანონმდებლო ინიციატივებად ჩამოყალიბებისათვის ვადა ორშაბათამდე მიეცათ. გოგორიშვილის მონაცემებით, დღეისათვის პენსიას სულ 830 ყოფილი დეპუტატი იღებს. ამ რაოდენობას შეიძლება, დაემატოს საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს 46 დეპუტატი, რომელთაც ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობისგან სადეპუტატო პენსიის მიღებაზე უარი განაცხადეს. დღეს ყოფილი დეპუტატები 750-ლარიან პენსიას იღებენ, რაც მთლიანობაში ბიუჯეტს 2,5 მლნ. ლარი უჯდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებულმა ოპოზიციამ "ჩვენმა აჭარამ" გუშინ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ბათუმის ახლად დანიშნული მერის ედვარდ სურმანიძის განცხადებით, გაერთიანებულმა ოპოზიციამ 5-თვიანი მუშაობის შედეგად საკუთარი მოღვაწეობა წარმატებით დაასრულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ტელევიზიის ახლად არჩეული ხელმძღვანელი მერაბ კარანაძე რეგიონის დროებით მმართველ საბჭოს ტელევიზიის სამოქმედო პროგრამას 10 დღის განმავლობაში წარუდგენს. საბჭოს თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ გუშინ აჭარის ტელევიზიის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისია 14 მაისს ეროვნულ გალერეაში სახელმწიფო გერბისა და დევიზის პრეზენტაციას გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ წალკაში ჩავიდა და ბოლო დროს რაიონში შექმნილ რთულ ვითარებას ადგილზე გაეცნო.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მინისტრი შეხვდა როგორც ადგილობრივ სომხებს, ისე წალკაში ჩასახლებულ აჭარლებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური" ლიკვიდირებულია. საინფორმაციო სამსახურის სალიკვიდაციო პროცედურებს 8-კაციანი კომისია გაუძღვება. კომისიამ საქმიანობა 17 ივლისისთვის უნდა დაასრულოს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დახმარებას უწევს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს 13-14 მაისს ტერორიზმზე რეაგირების წვრთნების ჩატარებაში, რომლის მიზანიცაა საქართველოს საზღვრების დაცვისა და კონტროლის უნარის გამოცდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ძაღლი - კავკასიური ნაგაზი "ბასმაჩი" - სპეციალური რეისით ბათუმიდან მოსკოვში გაამგზავრეს.

როგორც ჟურნალისტებს კინოლოგმა ვახტანგ ცინცაძემ განუცხადა, ვიდრე ასლან აბაშიძე ბათუმს დატოვებდა, "ბასმაჩი" ბოლო ორი დღის განმავლობაში ყმუოდა და ტიროდა, რადგან გრძნობდა, რომ მარტო რჩებოდა. ცინცაძის თქმით, "ბასმაჩი" ასლან აბაშიძეს რუსეთის კინოლოგიურმა ფედერაციამ აჩუქა. მისი ინფორმაციით, "ბასმაჩს" ძაღლსაშენის მეურნეობის დირექტორის მოადგილე ჩაიყვანს მოსკოვში და მას იქ ერთ-ერთი პირი დახვდება. ასლან აბაშიძის ძაღლსაშენში გამოზრდილი კავკასიური ნაგაზი "ბასმაჩი" რამდენიმე საერთაშორისო პრიზის მფლობელია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" დღეს უზენაეს სასამართლოში ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს პარტიის 6-კაციანი საინიციატივო ჯგუფისა და სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციაში არგატარების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთს ეწვია პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი. მან დაათვალიერა ახალქალაქის ბაზარი და გაეცნო პროდუქტების ფასებს. მოგვიანებით ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში გაემგზავრა. იგი ფარვანის ტბის სანაპიროზე მოქმედი ქართული მართლმადიდებლური ტაძრის სასულიერო პირებს შეხვდა. **მედია-ნიუსი**

## უცხოური პრესა საქართველოს შესახებ

### "კომიკური ოპერის დასასრული"

"პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან თითქმის ყველა არშემდგარი სახელმწიფოა. ამ ფონზე გვიადვილდება იმის ახსნა, თუ რა წარმატებას მიაღწია საქათველოს ახალგაზრდა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში, ამ განდგომილ რეგიონში კონტროლის აღდგენით. მისი წინამორბედის ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, აჭარის პატარა კუთხეში, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, უკეთესი ვითარება იყო: ის წარმოადგენდა მინიატურული ლიდერის ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუს გენერლებთან და სარგებლობდა ნავთობისა და სხვა პროდუქციის სასაზღვრო ვაჭრობით."

"საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა შემოიტანა ახალი დინამიზმი და ხალხის სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ძალაუფლების მოპოვებიდან ექვს თვეში მან ბევრად მეტი გადასახადის აკრეფა შეძლო, გაზარდა ხელფასები და პენსიები და რამდენიმე უმდიდრესი ადამიანი დააპატიმრა".

"აჭარაში, ბათუმთან ახლოს განლაგებული ყოფილი საბჭოთა ბაზის არსებობის გამო მიხეილ სააკაშვილს სიფრთხილე მართებდა, რადგან აღნიშნული ბაზა წითელ არმიასა და ნატო-ს წევრ თურქეთს შორის "ცივი ომის" საზღვარს წარმოადგენდა."

*Economist Newspaper*

### "პუტინის ახალი მარცხი კავკასიაში"

"საინტერესოა, რომ კადიროვის მკვლელობა ამ დღეებში სამხრეთ კავკასიაში კრემლის კიდევ ერთი მარიონეტის, საქართველოს პატარა რესპუბლიკის, აჭარის სატრაპის ასლან აბაშიძის ხელისუფლების დამხობას დაემთხვა. ასლან აბაშიძეს რუსეთი ხელის გულზე ატარებდა, რათა ყოფილ სატელიტს საქართველოში იგი დესტაბილიზაციის ბერკეტად გამოეყენებინა".

"არაპოპულარული აბაშიძე, რომელიც თავის ლეგიტიმურობას მხოლოდ ბათუმში განლაგებული რუსეთის ბაზით იმყარებდა, როგორც გასულ კვირას აღმოჩნდა, რუსეთის პოლიტიკის ძირგამომპალი საყრდენი ყოფილა."

"საქართველოს ახალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოწყებული რეფორმების დინამიკამ მოხიბლა აჭარის მოსახლეობა, რომელსაც ყელში ამოუვიდა აბაშიძის მაფიოზური მმართველობა, რუსეთი ამას მიხვდა და შეელია თავის ძველ პაიკს, რომელმაც თავი მოსკოვს შეაფარა."

"ამ გარემოებას პუტინმა პრაგმატულად უპასუხა. მაგრამ უკვე ერთობ გვიანია... დღეს, თავის უახლოეს სამეზობლოში, სადაც იგი რუსულ-ქართული ელიტისა და კულტურული კავშირების გათვალისწინებით უამრავ სათამაშო კარტს ფლობდა, ძალის დემონსტრირებასა და დაშინებაზე დამყარებული ნეოკოლონიალური პოლიტიკის გატარებით, კრემლი საქართველოში წაგებულია, იქ, სადაც ამერიკული გავლენა დღითიდღე იზრდება."

*le Figaro*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 156

*2004 წლის 11 მაისი ქ. თბილისი*

კ. სიხარულიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს კახა სიხარულიძეს უფლებამოსილება, რომ ხელი მოაწეროს "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-14 დამატებით ოქმს".

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 401

*2004 წლის 12 მაისი ქ. თბილისი*

ო. ქველიძის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ოთარ ქველიძე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 403

*12 მაისი ქ. თბილისი*

ზ. ადამიას ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზურაბ ადამია ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 410

*2004 წლის 13 მაისი ქ. თბილისი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს 2004 წლის 20 ივნისს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ (ლევან ვარშალომიძე) უზრუნველყოს არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 508

*2004 წლის 13 მაისი ქ. თბილისი*

ე. გურეშიძის საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ეკატერინე გურეშიძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 509

*2004 წლის 13 მაისი ქ. თბილისი*

კ. ვარძელაშვილის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კონსტანტინე ვარძელაშვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 510

*2004 წლის 13 მაისი ქ. თბილისი*

ი. ალასანიას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ირაკლი ალასანია საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ერაყული ესკიზები იალღუჯის პოლიგონზე

პირველი გვერდიდან

განწვრთნეს. თავის მხრივ, ისინი დღეს ინგლისელი ინსტრუქტორების ზედამხედველობის ქვეშ 270-მდე ქართველ ჯარისკაცს ამზადებენ.

**"ჩვენ უკვე თითქმის მზად ვართ, ერაყსა და კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციები განვახორციელოთ. მეცადინეობები სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით ტარდება. გათვლილი გვაქვს თითქმის ყველა ნიუანსი, მათ შორის ის აგრესიაც, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სამხედრო მოსამსახურეების მიმართ გააჩნია",** - აცხადებს იალღუჯის სამხედრო პოლიგონზე გუშინ გამართული წვრთნების ერთ-ერთი მონაწილე, სერჟანტი დავით თასოშვილი.

წვრთნის პროგრამაში შედის მოწინააღმდეგის მიერ გახსნილ ცეცხლსა და დივერსიულ აქტებზე რეაგირება, სახლებისა და მანქანების ჩხრეკა და შემოწმება, პიროვნებებისა და ავტომობილების ამოცნობა, მანქანების შესამოწმებელი პუნქტის მოწყობა, აგრესიის გამოვლინებათა განეიტრალება და სხვა.

თითოეული სცენარის გათამაშება გუშინ მასმედიისა და ბრიტანეთის სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის თვალწინ მოხდა. ქართველი ჯარისკაცების მომზადების დონით ინგლისელები, მთლიანობაში, კმაყოფილები დარჩნენ (რაც შეეხება ქართველი ოფიცრების მომზადებას, მას ამერიკელი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ).

სამშვიდობო ოპერაციებში მომზადების სპეციალური კურსი 3 მაისს დაიწყო და 29 მაისამდე გაგრძელდება. სავარაუდოდ, საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის მებრძოლები ივნისის დასაწყისში ერაყში გაემგზავრებიან, სადაც, როტაციის წესით, თავისივე ბატალიონის ჯარისკაცებს შეცვლიან.





წვრთნები იალღუჯის პოლიგონზე.

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

# ასლან აბაშიძის შეიარაღება საქართველოს თავდაცვის სამსახურში

პირველი გვერდიდან

აჭარის ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ, ერთი კვირის განმავლობაში აღმოჩენილი და ამოღებული საბრძოლო ტექნიკის ჩამონათვალი მეტყველებს, რომ ასლან აბაშიძე სერიოზული წინააღმდეგობისთვის ემზადებოდა. რამდენიმე ჯავშანმანქანა, საარტილერიო და საზენიტო დანადგარები, ორი საბრძოლო კატარღა, ათზე მეტი სამხედრო ვერტმფრენი და რამდენიმე ათასი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი - ასე გამოიყურება ის არსენალი, რომლის გადაბარება თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისთვის ახლაც გრძელდება. თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის მთავარი სამმმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ მამუკა ლომსაძის თქმით, კონტეინერებში, რომელიც ამ დღეებში შეიარაღებულ ძალებს გადაეცათ, დეფიციტური შეიარაღებაც აღმოჩნდა.

**"სამი 20-ტონიანი კონტეინერი წამოვიღეთ, იარაღით სავსე. მათში 38 ერთეული მარტო "სტრელა" აღმოჩნდა. თითო კომპლექტის ღირებულება 10 ათას დოლარს აღემატება. იქ იყო კიდევ სერიოზული სნაიპერული შაშხანები შვეიცარული და რუსული წარმოებისა, რუსული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, ე.წ. "ფოგოტები" და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ,"** - აცხადებს პოლკოვნიკი ლომსაძე

იარაღის ამოღების ოპერაციას აჭარის ტერიტორიაზე უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, ხოლო განაწილებას - სპეციალური სამთავრობო კომისია ხელმძღვანელობს. ამ კომისიის წევრი, უშიშროების საბჭოს თავდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის, პოლკოვნიკ ლევან ნიკოლაიშვილის თქმით, მოსახლეობა განაგრძობს ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებას. წინასაწარი შეფასებით, საქმე რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღებას შეეხება. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მას შემდეგ, რაც აღრიცხება "ნაალაფევი" იარაღი და საბრძოლო ტექნიკა, საჭიროებისდა მიხედვით, ყველა სამხედრო უწყებას გაუნაწილდება. განსაკუთრებული აქცენტი ასლან აბაშიძის კუთვნილ საბრძოლო ვერტმფრენებზე კეთდება. ისინი ერთნაირად სჭირდებათ მესაზღვრებსაც, შინაგან ჯარსაც (რომელიც ჟანდარმერიად უნდა გადაკეთდეს) და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებსაც. ამ უკანასკნელმა ორი კვირის წინ კი მიიღო ხუთი ერთეული გარემონტებული ვერტმფრენი, მაგრამ ერთმა მი-24 ტიპის საბრძოლო ვერტმფრენმა 6 მაისს ხულოში ავარია განიცადა და მისი აღდგენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**"ამოღებული იარაღი განაწილდება იმის მიხედვით, თუ რომელ სტრუქტურას რა შეიარაღება სჭირდება. მაგალითად, კატარღები თავდაცვით ძალებს გადავეცით, სპეცშეიარაღება შინაგან სამქეთა სამინისტროს, საზენიტო დანადგარები - თავდაცვას, რაც შეეხება ვერტმფრენებს, მათი განაწილების საკითხებზე ვმუშაობთ, თუმცა ცხადია, რომ ყველაფერი საბოლოოდ სამხედრო ძალებს დარჩებათ,"** - აცხადებს ლევან ნიკოლაიშვილი.

საქართველოს სამხედრო ბიუჯეტს შეიარაღებისა და ტექნიკის შესყიდვის ან რემონტის გრაფა წლების განმავლობაში ცარიელი ჰქონდა, რის გამოც სამხედრო ხელმძღვანელობა ვერ ახერხებდა ახალი ტიპის შეიარაღების შესყიდვას. მაგალითად, ზემოხსენებული გადასატანი საზენიტო დანადგარები - ე.წ. "სტრელები", რომლებიც ასლან აბაშიძის დატოვებულ არსენალში 30-ზე მეტი აღმოჩნდა, ქართველ სამხედროებს თითზე ჩამოსათვლელი ჰქონდათ კოდორის და პანკისის ხეობების საჰაერო დაბომბვების დროს. იგივე ითქმის დაახლოებით 11 ერთეულ "მი-8 ტიპის" სამხედრო ვერტმფრენებზე, რომელთა შეძენაც მნიშვნელოვნად აამაღლებს სამხედრო ავიაციის პოტენციალს.

აჭარის ტერიტორიაზე უკვე ამოღებულ მძიმე ტექნიკას, ალბათ, აღარაფერი დაემატება. მაგრამ სხვა სახის იარაღი ასლან აბაშიძის მომხრეების საცავებში ჯერ კიდევ მრავლად უნდა იყოს დარჩენილი. 13 მაისს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში აღმოჩენილი სამალავიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა 130 ერთეული ავტომატური იარაღი ამოიღეს.

ახლა მთავარია იმის დადგენა, თუ რა არხებით იძენდა ამ რაოდენობის შეიარაღებას აწ უკვე განდევნილი აჭარის ავტონომიის ყოფილი ლიდერი.

# მესამე სექტორი მეოთხე ხელისუფლებას იცავს

*"ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება და მუქარა, მათ მიმართ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, შევარდნაძე-აბაშიძის რეჟიმთან ერთად საზოგადოებამ წარსულს ჩააბარა. სამოქალაქო საზოგადოება წარსულის რეანიმაციის მცდელობას არ დაუშვებს. ძალადობის და თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ნებისმიერ გამოვლინებას დაუპირისპირდება," - ასეთი დაპირება მისცეს გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა სოზარ სუბელიანმა და თამარ კინწურაშვილმა მედიის წარმომადგენლებს.*

ლელა მჭედლიძე

გუშინ მესამე სექტორი სწორედ ჟურნალისტებზე ზეწოლის ბოლოდროინდელ ფაქტებზე საუბრობდა. ოზურგეთში - თავისუფალ ჟურნალისტ ლადო მენაბდის ცემა და დაშინება, თელავში - გაზეთ "ობიექტივის" მთავარი რედაქტორის ცემა, ხონში - პროკურატურისა და, საერთოდ, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ტელეკომპანია "მეგა TV"-ს შევიწროება – ასეთია ბოლოდროინდელი შემთხვევები.

4 ნოემბერს ჟურნალისტი ლადო მენაბდე ოზურგეთის ბაზრის ტერიტორიაზე რამდენიმე ადამიანმა გონის დაკარგვამდე სცემა. თავდამსხმელებში მან ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ მექვაბიშვილი და დეპუტატ ვანო ჩხარტიშვილის დაცვის წევრები ამოიცნო. როგორც თავად მენაბდე განმარტავს, მისდამი ასეთი აგრესია მისმა პუბლიკაციებმა განაპირობა. საავადმყოფოდან გამოსულ მენაბდეს სახლი დარბეული დახვდა. დოკუმენტაცია, მათ შორის, აუდიო და ვიდეო კასეტები - განადგურებული. "თავისუფლების ინსტიტუტის" მონაცემებით, მენაბდეზე ზეწოლა სისტემატური ხასიათისა იყო. 8 იანვარს იგი ოზურგეთის პოლიციის საგამოძიებო ნაწილში დაიბარეს და მექვაბიშვილზე თავდაუსხმელობის ხელწერილის დაწერა მოსთხოვეს. ამგვარი მოთხოვნის მიზეზად კი პოლიციელებმა ოზურგეთის პოლიციის უფროსისა და პროკურორის სახელზე დაწერილი წერილი დაასახელეს, სადაც კომისიის თავმჯდომარე, ხელისუფლების სამი წარმომადგენლის დამოწმებით, აცხადებდა, რომ მენაბდე სისტემატურად ეწეოდა მის მიმართ ტერორს. მენაბდეს ხელწერილი არ დაუწერია.

31 მარტს მენაბდე დვაბზუს გამგებელმა მიხეილ გოგოტიშვილმა ქალაქგარეთ გაიტყუა. ჟურნალისტს აქ 7 კაცი დახვდა, რომლებიც მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და მის შეშინებას ცდილობდნენ. მენაბდემ მათგან გაქცევა მოახერხა. მისი განცხადებით, აპრილის დასასრულს მას რამდენიმეჯერ დაემუქრნენ პოლიციის მაღალჩინოსნები - შს სამხარეო სამმართველოს უფროსი ვიქტორ გობრონიძე და ოზურგეთის შს განყოფილების უფროსი კუკულიძე. მუქარა, ძირითადად, ტელეფონით ხორციელდებოდა და ასეთი ხასიათის იყო: თუ რაიონში ინტრიგანების ("60 წუთის" ჟურნალისტების) ჩამოყვანას არ შეწყვეტდა, თავს წააგებდა და რაც სჭირდა, იმაზე უარესს დამართებდნენ.



"თავისუფლების ინსტიტუტში" ზურაბ ქაჩლიშვილმა თავად უამბო კოლეგებს ცემის ამბავი.

თამარ სახიტაშვილის ფოტო

მენაბდისგან განსხვავებით, ზურაბ ქაჩლიშვილმა თავდამსხმელები ვერ ამოიცნო. ღამის პირველ საათზე მას თავს რამდენიმე ადამიანი დაესხა, რომლებმაც იგი სერიოზულად ცემეს. ამ ფაქტს ქაჩლიშვილიც ადგილობრივ ხელისუფლებას უკავშირებს. ქაჩლიშვილის თქმით, მას გარკვეული მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია გააჩნია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე. ქაჩლიშვილი აცხადებს, რომ იგი გამოძიების დასრულებას დაელოდება, თუმცა, მისთვის ცნობილია, რომ, გარკვეულწილად, უკვე იყო სამედიცინო დასკვნის შეცვლის მცდელობა, ბუნებრივია, დაზიანების ხარისხის შემსუბუქების მიზნით. ქაჩლიშვილი აცხადებს, რომ მას სატელეფონო საუბარი ჰქონდა ცისკარიშვილსა და მამაცაშვილთან. ცისკარიშვილს მასთან საუბარში ვარაუდიც გამოუთქვამს: შესაძლოა, ეს თავდასხმა თამაზ ხიდაშელის ორგანიზებული იყოო, იმისათვის, რომ მერე სხვისთვის გადაებრალებინაო. ქაჩლიშვილი გარკვეული ხნის მანძილზე ცისკარიშვილამდე, კახეთში პრეზიდენტის წარმომადგენლის პოსტზე მყოფი თამაზ ხიდაშელის პრეს-მდივანიც იყო. თუმცა, ცისკარიშვილის ვერსია ქაჩლიშვილს ყველაზე ნაკლებსარწმუნოდ ეჩვენება.

"თავისუფლების ინსტიტუტი" სამართალდამცველებისაგან ამ ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას მოითხოვს.

# იტალიელი ინვესტორები სახელმწიფო პატრონაჟის ძიებაში

პირველი გვერდიდან

რა ხდება რუსთავის მეტალურგიული კომბინატში? ვინ არიან ის "პოლიტიკური ძალები", რომლებსაც პატიოსანი იტალიელებისთვის "მათი საკუთრების" ანუ მეტალურგიული კომბინატის 77 მილიონ დოლარად შეფასებული ქონების წართმევა უნდათ? - ასეთი კითხვები გაუჩნდათ გუშინ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" დირექტორთა საბჭოს სხდომაზე სპეციალურად მიიწვიეს.

**"ყურადღებით წაიკითხეთ გაზეთები, იქ ყველაფერს წერენ, ჟურნალისტებმა ყველაფერი იციან,"** - ასეთი იყო დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და იტალიელების წარმომადგენლის ალექსანდრე სერიოგინის პასუხი ჟურნალისტებისთვის. მან არ დაიზარა და ის ოთხი გაზეთიც დაასახელა, სადაც "სიმართლეს წერენ".

ზუსტად ერთი წლის წინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით - "დიდი აფიორა მეტალურგიულ კომბინატში". ეს ის დრო იყო, როცა მეტალურგიას ქართულ-იტალიური ტანდემი ხმაშეწყობილად მართავდა და, რაც მთავარია, მათთან ერთად იყო პრეზიდენტი შევარდნაძე. ქვემო ქართლის მაშინდელი გუბერნატორის ლევან მამალაძის კომენტარი ამ პუბლიკაციის შესახებ ასეთი იყო: "ყოჩაღ, თქვენ, მაგრები ხართ, როგორ გაიგეთ?!" კომბინატის ქართული ხელმძღვანელობა მხოლოდ ერთ სიტყვას "აფიორას" აპროტესტებდა - შეიძლება, რაც მანდ წერია სწორიც არის, მაგრამ როგორ გაბედეთ და საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. ჩვენ, პროფესორები და აკადემიკოსები, აფერისტები ვართო?!

სწორედ აღნიშნულ სტატიაში მოყვანილი ფაქტების გამო დღეს კომბინატის იტალიელი ინვესტორების ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ამ მდგომარეობას ისინი უკიდურესი პროტესტით ხვდებიან და შეტევაზეც გადმოდიან.

ამიტომ იმ ოთხ გაზეთს შორის "24 საათი" არ ყოფილა.

როგორც ჩანს, იტალიელ ინვესტორს ახლაც ტკბილად ახსოვს შევარდნაძის "პატრონაჟი", ამიტომ ახალ პატრონს ეძებს და "პატრონაჟს" საქართველოს პარლამენტს სთხოვს.

**"ეს იქნება ჩვენი მშვიდი მუშაობის გარანტია,"** - წერენ ისინი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს.

**"იტალიურმა მხარემ ოპერატიულად გაარემონტა მილსაგლინავი საამქრო, შემოიტანა 16 ათასი ტონა მილნამზადი, გადაიხადა გაზის საფასური, აწარმოა 10 ათასი ტონა მილი. იტალიურმა მხარემ წარმოებას სულ 8,4 მილიონი დოლარი დაახარჯა. აქედან 2 მილიონი ლარი ხელფასებზე წავიდა, 2 მილიონი ლარი ბიუჯეტში, 260 ათასი ლარი პენსიებზე,"** - ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ანჟელა კორნა და ჯან კარლო ონჯისი, **"metal grup s.p.a."**-ს სახელით. წერილში არ არის მითითებული, რა კავშირი აქვს აღნიშნულ ფირმას ინვესტორ "არეს ინტერნეიშენელთან". ასევე იქ არ წერია, რომ იტალიელებმა ქარხნიდან ათასობით ტონა ჯართი გაიტანეს; რომ გაყიდულ მილებში მინიმუმ 6-7 მილიონი დოლარი აიღეს; რომ საგადასახადომ საინკასო ყადაღით გადაახდევინათ ბიუჯეტის კუთვნილი თანხა; რომ ხელფასს მათგან არა 2 ათასი, არამედ მხოლოდ 622 კაცი იღებს...

ასეა თუ ისე, როგორც სერიოგინი ამბობს, ბურჯანაძემ ყურადღებით წაიკითხა წერილი და ძალიან შეწუხდა - ეს რა დღეში ყოფილა ეს პატიოსანი ხალხიო.

**"ჩვენ იმედი გვაქვს ობიექტური საპარლამენტო გამოძიების და ასევე იმის, რომ ჩვენს ახალ პროექტს პრეზიდენტი სააკაშვილი განიხილავს. ეს ასეც იქნება, რადგან ვიცით, რომ მისი გარემოცვა, რომელიც ჩვენდამი კეთილგანწყობილია, მას ობიექტურ ინფორმაციას აწვდის,"** - ასე იმედიანად არის განწყობილი ლექსანდრე სერიოგინი.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ იტალიელები რეაბილიტაციის გეგმას ცვლიან. რატომ? - **"იმიტომ, რომ ძველი დაწერილი იყო არაპროფესიონალი ქართველის, ნოდარ ღვამბერიას მიერ."** მაშინ რატომ დათანხმდნენ მასზე თავიდან? - **"ვინ გითხრათ, რომ საჭიროა იმით ხელმძღვანელობა, რაც ქაღალდზე წერია?! მაშინ ჩვენ მივიღეთ რეაბილიტაცია ისე, როგორც ამას ქართული მხარე გვთავაზობდა. სამეურნეო ცხოვრება კი წელიწადში რამდენჯერმე იცვლება. ახალი გეგმა, რომელიც ახლა წარმოვადგინეთ, გაცილებით დახვეწილი, მეცნიერული და ბაზარზე ორიენტირებულია."** რა გარანტია არსებობს, რომ იტალიელები ამ ახალ გეგმას მაინც შეასრულებენ? - **"გარანტია ჩვენი დაინტერესებაა. ჩვენ არ გვინდა დავკარგოთ ის ფული, რომელიც აქ ჩავდეთ. ეს არის ჩვენი მხრიდან ყველაზე დიდი გარანტია,"** - ასეთია იტალიელების პასუხები.

აბა, ვის სჭირდება საბანკო ან სხვა სახის ფინანსური გარანტიები, როცა ინვესტორი ასეთ "მაგარ და უტყუარ გარანტიას" გთავაზობს?!

# ბათუმის ნავთობტერმინალი ერთიან ეკონომიკურ სივრცეში

პირველი გვერდიდან

"პეტროტრანსი" ერთგვარი კომპლექსური სერვისია, რომელიც თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნაკადებს გარდაბნიდან ბათუმამდე მოემსახურება, შემდეგ კი ბათუმის ნავსადგურში ტანკერებში ჩატვირთავს.

"პეტროტრანსი", ჯერჯერობით, მხოლოდ შპს "ნაფტრანსის" ასპროცენტიანი შვილობილი კომპანია იქნება. ის, თუ რა წილობრივი მონაწილეობით შევა ქართული მხარე ახალ კომპანიაში, გარკვეული არ არის.

რაც შეეხება "ნაფტრანსს", ის ბათუმის ნავთობტერმინალის მეპატრონის – ბრიტანული "გრინოკის" შვილობილია. "გრინოკის" აქციების 78,6 პროცენტს თავად იან ბონდე ნილსენი ფლობს, 10,6 პროცენტს – OPIC-ის მიერ ფინანსირებული შვეიცარული კერძო საინვესტიციო ფონდი, 6,6 პროცენტი – "ჰანსა თრასთისა" და ვონ ოპელის საოჯახო ფონდის საკუთრებაა, ხოლო 4,2 პროცენტს გურამ გოგიტიძე ფლობს. **"ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელთა შორის ასლან აბაშიძის, იური ლუჟკოვისა და გარი ლუჩანსკის გვარები არ ფიგურირებს,"** – განაცხადა ნილსენმა.

ბათუმის ტერმინალი, რომელიც დღეს ტანკერებში აბრეშუმის სარკინიგზო გზით გადაზიდული ნავთობის 56 პროცენტს ტვირთავს (ცნობისათვის - ფოთის ტერმინალს საქართველოს გავლით გადაზიდული პროდუქციის მოცულობის 4 პროცენტის ათვისება შეუძლია, სუფსის ტერმინალს კი – 40 პროცენტის), "გრინოკის" კერძო საკუთრებაში 1999 წელს გადავიდა. ნილსენი აცხადებს, რომ კომპანიის მიერ აქ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა მიმდინარე წლის ბოლოსთვის უკვე 101 მილიონ დოლარს მიაღწევს. აქედან 74 მილიონი დოლარი უშუალოდ ბათუმის ნავთობტერმინალშია ინვესტირებული, დანარჩენი კი – სოციალური ინვესტიციების სახით – ბათუმის ტექსტილის ფაბრიკას (ამ ფაბრიკას, ჯერჯერობით, მოგება არ მოაქვს, მაგრამ მის "ნოლზე გაყვანას" ნილსენი მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის გეგმავს), ქობულეთის 72-მეგავატიან თბოელექტროსადგურს, ბათუმის საბავშვო ბაღსა და კულტურის სახლს მოხმარდა.

დღეს ტერმინალის მეპატრონე თავის უმთავრეს პრობლემად ტვირთნაკადების კლებას მიიჩნევს. **"ჩვენ წლის ბოლოსთვის ტვირთბრუნვის გაზრდას ვგეგმავდით, მაგრამ, რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო, პირიქით მოხდა,"** – წუხს ნილსენი და "აბრეშუმის გზის" ეკონომიკური მიმზიდველობის გაზრდას კომპლექსური სერვისის შემოღებაში, შედეგად კი – გადაზიდვის ტარიფის 5 დოლარით გაიაფებაში ხედავს. კერძოდ, მისი თქმით, თუ საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზები გადაზიდვის ტარიფების ოპტიმიზაციაზე შეთანხმდებიან, ტვირთნაკადების კარგვის საფრთხე აღარ იარსებებს. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა შეგახსენოთ, რომ ირანი ნავთობგადაზიდვის ინფრასტრუქტურას სულ უფრო და უფრო ავითარებს, რაც ბაქო-ბათუმის მიმართულებისთვის ტვირთნაკადების დაკარგვის ტოლფასია,"** – აცხადებს ნილსენი. იგი ვარაუდობს, რომ გამჭოლი ტარიფების შემოღების შემთხვევაში საქართველოს რკინიგზას ნავთობგადაზიდვებზე ტარიფის დაწევა არ მოუწევს – ეს საკითხი, ძირითადად, აზერბაიჯანის რკინიგზასა და ბაქოს ნავთობტერმინალებთან იქნება გასარკვევი.



*ნილსენი თავისი ტერმინალით ამაყობს.*

მანამდე კი, ბათუმის ნავთობტერმინალის ინვესტორს ურთიერთობა "საქართველოს რკინიგზასთან" აქვს მოსაწესრიგებელი. "გრინოკის" მეორე შვილობილის – "ალეგრატრანსის" "საქართველოს რკინიგზასთან" დავის თაობაზე "24 საათი" უკვე წერდა. რკინიგზის ხელმძღვანელობამ "ალეგრატრანსს" სასამართლო პროცესზე ტვირთების დაყოვნებისთვის 12 მილიონი დოლარი მოუგო. ნილსენი მიიჩნევს, რომ სასამართლომ კომპანიას ჯარიმა-საურავები (რაც, რკინიგზის ხელმძღვანელთა განმარტებით, დღეისათვის 28 მილიონ დოლარს აჭარბებს) პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით დააკისრა. **"რკინიგზის ძველი ხელმძღვანელობისგან პირდაპირ მოდიოდა წინადადება, 20 პროცენტი "ქეში"** (ნაღდი ფული) **მოგვეცით და ვალებს ჩამოგაწერთო,** – "ჩაუშვა" ნილსენმა აკაკი ჩხაიძე, – **ახლა ეს პრაქტიკა სრულიად აღმოიფხვრა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც სუბიექტურია."**

# რუსეთის უმდიდრესი ადამიანი ციხეში ზის

## ბერეზოვსკი კი უმდიდრესთა სიაში საერთოდ ვერ მოხვდა

*გუშინ ამერიკული გამოცემა "ფორბსის" რუსულმა ვერსიამ ჩვენი დროის რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სია გამოაქვეყნა. მათგანი ერთი - ციხეში ზის, მეორე - უნივერსიტეტის პროფესორია, მესამეს - ფეხბურთი იტაცებს. ყველა ისინი ძალიან განსხვავებულები არიან, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ – ისინი ძალიან მდიდრები არიან და ამერიკული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგს სათავეში უდგანან.*

დიანა ჩაჩუა

წინა წელთან შედარებით, სიაში საგრძნობი ცვლილებებია; მაგალითისათვის, თუ 2003 წელს "ფორბსის" სიაში რუსები 17 პიროვნებით იყვნენ წარმოდგენილნი, წელს ეს რიცხვი 25-მდე გაიზარდა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ სიის მთავარი გმირები სულაც არ არიან ამ ფაქტით გახარებულნი, მათი აზრით, საქვეყნო მილიარდერობა სულაც არ არის "მოდაში".

"ფორბსის" რუსულ "ოქროს ასიანში" 36 მილიარდერი აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენი 64 მაგნატის ქონება ასობით მილიონი დოლარით არის შეფასებული.

უნდა აღინიშნოს, როცა 27 თებერვალს ამრიკულმა ჟურნალმა "ფორბსმა" მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა, მასში მხოლოდ 25 რუსი იყო შესული. მაგრამ ორთვენახევრის განმავლობაში რუსი მილიარდერების რიცხვი, "ფორბსის" ვერსიის მიხედვით, 40 პროცენტით, ხოლო მათი საერთო ქონება 79,4 მილიარდიდან 110 მილიარდამდე გაიზარდა.

რუსული "ოქროს ასეულის" სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალიან წააგავს ე.წ. შავ სიას. ამაში მალე დარწმუნდებით, თუ გაითვალისწინებთ, რომ რუსეთი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დევნილი მილიარდერების რიცხვით მსოფლიოში პირველია. თავად განსაჯეთ: "იუკოსის" მოწილეები - მიხეილ ხადარკოვსკი და პლატონ ლებედევი - 16,8-მილიარდიანი ქონებით ციხეში სხედან, ხოლო ლეონიდ ნევზლინი, მიხეილ ბრუდნო და ვლადიმირ დუბოვი (5,6 მილიარდი დოლარი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან და მათზე ძებნაა გამოცხადებული.

რუსეთის ყველაზე მდიდარ პიროვნებად კვლავ რჩება ამჟამად პატიმარი და წარსულში "იუკოსის" ხელმძღვანელი მიხეილ ხადარკოვსკი. "ფორბსმა" მისი ქონება 15,2 მილიარდი დოლარით შეაფასა. რაც შეეხება სიის უკანასკნელი ადგილის მფლობელს, ეს "ლუკოილის" ყოფილი მთავარი მენეჯერი რალიფ საფინია 210 მილიონი დოლარით (არ გაუმართლა!).

სიაში მეორე პოზიციაზეა ფეხბურთის მოყვარული, 12,5 მილიარდი დოლარის მფლობელი რომან აბრამოვიჩი. რაც შეეხება მიხეილ პროხოროვს (5,4 მილიარდი დოლარი), იგი სიაში მეოთხე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ მისი კომპანია ბუნებრივ სიმდიდრეს მოიპოვებს, თვით მისი ნახვა, როგორც "თაიმსი" იუწყება, უფრო ხშირად ფრანგულ რივიერაზე, დისკოთეკებზეა შესაძლებელი.

ზოგჯერ მდიდრულად ცხოვრებაც მოსაბეზრებელი ხდება. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ერთ-ერთმა მილიარდერმა ვლადიმერ ლისინმა - "ნოვოლიპეცკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის" მფლობელმა - საკუთარი ბიზნესი მიატოვა და უნივერსიტეტის ლექტორი გახდა. თავისი 4,8 მილიარდი დოლარით ის, ალბათ, მსოფლიოს უმდიდრესი პროფესორია.

სიის "ახალწვეულები" არიან: ალფაბანკის პრეზიდენტი პეტრე ავენი და ალექსეი კუზმიჩევი (ორივეს სიმდიდრის წყაროდ "ალფა-გრუპი" სახელდება); "მილჰაუსის" ხელმძღვანელი დევიდ დავიდოვიჩი, "სიბნეფტის" მთავარი მენეჯერი ანდრეი გოროდილოვი და სენატორი ვალერი ოიფი (კაპიტალის წყარო – "სიბნეფტი"); დახურული აქციონერული საზოგადოების "ინტეკოს" მფლობელი, მოსკოვის მერის მეუღლე ელენა ბატურინა, რომელიც ამ რეიტინგის პირველი რუსი ქალბატონია, ასევე დეპუტატი ალექსანდრ ლებედევი (ნაციონალური სარეზერვო კორპორაცია) და სხვები.

ბრიტანული "თაიმსის" ცნობით, რუსი ოლიგარქების საერთო სიმდიდრე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედს შეადგენს. შედარებისათვის, ყველა ამერიკელი მილიარდერის საერთო სიმდიდრე აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ ექვსი პროცენტია.

გაკვირვებას იწვევს, რომ რუსულ "ოქროს ასიანში" ვერ მოხვდა "სიბნეფტის" პრეზიდენტი და მოწილე ევგენი შვიდლერი და ნავთობმაგნატი გენადი ტიმჩენკო. როგორც ხლებნიკოვმა ახსნა, ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი რუსეთის მოქალაქეები არ არიან.

საინტერესოა, რომ სიაში ასევე ვეღარ მოხვდა ბორის ბერეზოვსკი. "ფორბსის" რუსული გამოცემის მტკიცებით, 1997 წლის შემდეგ ბერეზოვსკის ქონება ხუთჯერ შემცირდა და ამჯერად 620 მილიონ დოლარს შეადგენს.

სხვათა შორის, თავად სიის წევრებისგან განსხვავებით, რომელთაც სიაში მოხვედრა სულაც არ ახარებთ, ბერეზოვსკიმ მის მიღმა დარჩენა აშკარა შეურაცხყოფად აღიქვა: ბერეზოვსკიმ "ვედომოსტისთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი ქონება არასწორად შეაფასეს **"ან ჩემი ქონება შეამცირეს, ან ბოლო შვიდი წლის მანძილზე 2,5 მილიარდი დოლარი დავკარგე, რაც ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია,"** – განაცხადა მან.

უნდა აღინიშნოს, რომ "ფორბსის" შეფასებით ბერეზოვსკი პირველად როდია უკმაყოფილო. მან ერთხელ სასამართლოშიც კი იჩივლა. ეს სასამართლო პროცესი 1997 წელს დაიწყო რუსული "ფორბსის" მთავარი რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის სტატიის - "კრემლის ნათლიმამა"-ს გამო, რომელიც იუწყებოდა, რომ ბერეზოვსკი კრიმინალურ ბიზნესს აწარმოებდა. იურისტების შეფასებით, ბერეზოვსკიმ ეს პროცესი პრაქტიკულად მოიგო, რადგან ჟურნალმა მასთან მსოფლიო შეთანხმება დადო.

# ოპეკი არ ჩქარობს, ნავთობი კი ძვირდება

თორნიკე შარაშენიძე

ჯერაც გაურკვეველია, რით უპასუხებს ოპეკი ნავთობის ფასის არნახულ ზრდას. ორგანიზაციის წევრებში კვლავაც არ არსებობს ერთსულოვნება ნავთობმოპოვების თაობაზე და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ოპეკის წამყვანი წევრი - საუდის არაბეთი - პარტნიორებს ნავთობმოპოვების დღეში 1,5 მილიონი ბარელით გაზრდისაკენ მოუწოდებს, ორგანიზაციის ბევრი წევრი ამ მხრივ დიდ ენთუზიაზმს არ იჩენს.

სანავთობო ბაზარზე შექმნილი ვითარება ყოველ დღე რთულდება. ახლო აღმოსავლეთში (უპირველესად კი, ერაყში) გამეფებული არასტაბილურობის გამო საწვავის ფასი ზემოთ მიიწევს. ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასი უკვე 40 დოლარის ფარგლებში ტრიალებს. ვაშინგტონი დიდი ხანია არ მალავს შეშფოთებას და ბოლო დროს დიდძალი რაოდენობით ყიდულობს ნავთობს საკუთარი სტრატეგიული საცავის შესავსებად, რათა შესაძლო კრიზისს მომზადებული დახვდეს. აშშ-ის მაგალითს ჩინეთმა და ინდოეთმაც მიბაძეს, რის გამოც საწვავზე მოთხოვნილებამ და, შესაბამისად, ფასმაც იმატა.

საუდის არაბეთი ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ალაპარაკდა ოპეკის მიერ ნავთობმოპოვების გაზრდის აუცილებლობაზე; კერძოდ, ასეთი განცხადება აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩმა პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. საუდის არაბეთი ერაყში ომამდე აშშ-ის საიმედო პარტნიორი იყო რეგიონში და მის მოსაზრებებს მუდამ გაგებით ეკიდებოდა ხოლმე. ომის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა აშკარად გაცივდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კონფლიქტი წარსულს ბარდება და საუდის არაბეთი კვლავაც მზადაა, დაეხმაროს ვაშინგტონს იმ პრობლემის მოგვარებაში, რასაც "ნავთობზე მაღალი ფასები" ჰქვია. სხვა თუ არაფერი, გაძვირებული საწვავი ბუშის კიდევ ერთი დიდი მინუსი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებში.

საუდის არაბეთის პოზიციას არ იზიარებენ ნიგერია და ვენესუელა (ამ უკანასკნელის პოზიცია გასაკვირი არ უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ვაშინგტონთან არც ისე კარგ ურთიერთობებშია). მათი განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ დოლარის კურსი დაეცა, ოპეკის წევრი ქვეყნები ნავთობზე ფასის გაზრდით დიდ შეღავათს ვერ გრძნობენ და მათი მოგება თითქმის არ გაზრდილა. გარდა ამისა, ნიგერია და ვენესუელა იმასაც აღნიშნავენ, რომ ოპეკი ოფიციალურ მონაცემებზე მეტ ნავთობს მოიპოვებს.

დასავლეთელი სპეციალისტების აზრით, ვითარება კიდევ უფრო საგანგაშოა, ვიდრე ახლანდელი გადმოსახედიდან ჩანს. მათი თქმით, ოპეკს ნავთობმოპოვების გაზრდისათვის არც ისე დიდი პოტენციალი გააჩნია და ორგანიზაცია ვაშინგტონის დაწოლას რომც დაჰყვეს, მსოფლიო ბაზარი დიდ შეღავათს ვერ იგრძნობს. საწვავზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც, უპირველესად, ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობის გამო ხდება. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერაყში ვითარების სტაბილიზაციას. თუკი აქ მოხერხდა ნავთობმოპოვების მთელი დატვირთვით ამუშავება და მისი შეუფერხებელი ტრასპორტირება, მაშინ სიტუაცია დადებითად შეიცვლება. გარდა ამისა, მოისპობა ის უარყოფითი ფსიქოლოგიური განწყობაც, რომელიც ასევე განაპირობებს ნავთობის ფასის ზრდას.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მისი უწყების დაქვემდებარებაში მყოფ მაკონტროლებელს რეორგანიზაციით ემუქრება. გუშინ გილაურმა განაცხადა, რომ დაწყებულია საქვეუწყებო დაწესებულების - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის რეორგანიზაცია. აქ ამჟამად 270 თანამშრომელი მუშაობს, რომელთა რაოდენობაც 130-მდე შემცირდება. "ეს უწყება ორგანიზაციის წარმომადგენლებთან კორუფციულ გარიგებაში შედიოდა, რეალური კონტროლი კი არ ხორციელდებოდა," – განაცხადა გილაურმა. ახლა სამინისტროში შეიქმნება კომისია, რომელიც დეპარტამენტში კომპლექსურ შემოწმებას ჩაატარებს და, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, მასალებს პროკურატურას გადასცემს. "თუ საწარმოებს ენერგოზედამხედველები შეაწუხებენ, შეუძლიათ სამინისტროს "ცხელი ხაზით" (99 60 98) მიმართონ," – თქვა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "ჭიათურმანგანუმის" პროდუქციის ფასი უნდა გაიზარდოს, ეს საწარმოს გადარჩენის ერთადერთი გზაა, - მიიჩნევს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში დავით მუმლაძე. დაგროვილი ვალებისა და სახელფასო დავალიანებების დაფარვის, ასევე "ჭიათურმანგანუმის" რენტაბელურობის გაზრდის მიზნით, საწარმოს ხელმძღვანელობა მანგანუმის ფასის აწევას და პარტნიორების მოზიდვას აუცილებლად მიიჩნევს. "ჭიათურმანგანუმის" მთავარი პარტნიორი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა, რომელსაც მანგანუმი შეღავათიან ფასებში მიეწოდება. "ფეროს" წარმომადგენლები პროდუქციის გაძვირებას არ ეთანხმებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 13 მაისისთვის დაგეგმილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზ "ქართლი-2"-ის გეგმური სარემონტო სამუშაოები, უამინდობის გამო, შაბათ-კვირისთვის გადაიდო. დასავლეთ საქართველოში ძლიერი წვიმისა და ქარის გამო, ხაზზე რემონტის დაწყება ენერგეტიკოსებმა სახიფათოდ ჩათვალეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება რუს ინვესტორებს საშუალებას მისცემს, საკუთარი კაპიტალი აჭარის ეკონომიკის განვითარებაში ჩადონ, - აცხადებს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი. მისი თქმით, პრიორიტეტულ პროექტებს შორისაა ბათუმის პორტის, აეროპორტის, ნავთობგადამამუშავებელი და გემთმშენებელი ქარხნების და რამდენიმე მსხვილი საწარმოს ინვესტირების პროექტი. ისეთ სტრატეგიულ ობიექტებზე, როგორიცაა საზღვაო პორტი და აეროპორტი, აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფო იქნება. **პრაიმ-ნიუსი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**14 მაისს, 10.00-დან 16.00-სთ-მდე:**

წერეთლის(ნაწილობრივ), აღმაშენებლისა(ნაწილობრივ) და თამარ მეფის(ნაწილობრივ) გამზირის, ფიფიას, გორის, იამანიძის, ბათუმის, ქურდიანის, საგურამოს, მაიაკოვსკის, ბორჯომის, წინამძღვრიშვილის, აბასთუმნის, ცაბაძის, ევდოშვილის, აგლაძის, ბაგრატიონის, ქუთაისის, ნინოშვილის, კონსტიტუციის, სურამის, კლდიაშვილის, გოგოლის, დოლიძის, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ჩიტაიას, კაპანაძის, მეუნარგიას, ვეშაპურის, დადიანის(ნაწილობრივ), ზაზიშვილის, მამრაძის, სარკინეთის, ქინქლაძის, გროზნოს, თეთნულდის, პალიასტომის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# ნავთობპროდუქტების გაძვირება - მხოლოდ უარყოფითი შედეგები

პირველი გვერდიდან

**"იბერკომპანი ჰოლდინგის" ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ალხანიშვილი:** ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ, რადგან პროდუქციის თვითღირებულება მატულობს, ჩვენ კი ფასებს შესაბამისად ვერ ავწევთ, რადგან მოხმარება შემცირდება. პრინციპში, ახლა ნულზე ვმუშაობთ. ჩვენ იძულებულები ვართ, ჩვენი მარჟა მინიმუმამდე შევამციროთ, რომ მომხმარებელი არ დავკარგოთ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, ფასი ხუთი თეთრით ავწიოთ. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ კრიზისი მალე გადაივლის. იმპორტის მოცულობა, ჯერჯერობით, არ შეგვიმცირებია. თანაც, ასე მოკლე პერიოდში რაიმე სტატისტიკის გაკეთება რთულია. თუმცა ფაქტია, რომ მოხმარება შემცირდა. რაც შეეხება ახლა მოქმედ ფასებს, სახეობების მიხედვით საშუალოდ 1,15 – 1,30 ლარია. კატასტროფულად იზრდება ფასები მსოფლიო ბაზარზე. ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. ბარელის ფასმა 40 დოლარს მიაღწია, არადა, საშუალო ფასი 18-19 დოლარი იყო. 20-25 დოლარზე რომ ადიოდა, პანიკა იწყებოდა.

**"კანარგო სტანდარტ ოილის" გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა:** საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კატასტროფულმა ზრდამ პირდაპირი გავლენა მოახდინა საქართველოს ბაზარზე: ფასები აქაც გაიზარდა. მაგრამ ჩვენ ვეცადეთ, ფასები მინიმალურად გაგვეზარდა. ბოლო თვის განმავლობაში მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასი 30 პროცენტით გაიზარდა, ჩვენ ფასების ზრდა მხოლოდ 15 პროცენტის ფარგლებში მოვახდინეთ. ფასის გაზრდა ჩვენთვის ყველანაირად არამომგებიანია, რადგან, როცა ფასი იზრდება, ავტომატურად მცირდება მომხმარებლების რაოდენობა. დაბალანსებას ჩვენი მოგების ხარჯზე შევეცადეთ. მომწოდებელი პროდუქციას 30 პროცენტით ძვირად მაწვდის, მე კი მხოლოდ 15 პროცენტით გავზარდე.

იმპორტის მოცულობა, ჯერჯერობით, არ შეგვიმცირებია. რადგან ჯერ ისევ ძველი ნაშთებით ვმუშაობთ. მაგრამ, ალბათ, მოგვიწევს, რადგან მოხმარებლის შემცირება გარდაუვალია და, თავისთავად, იმპორტიც ნაკლები იქნება საჭირო.

მოხმარებამ უკვე იკლო: ორშაბათიდან ფასი გავზარდეთ და მომხმარებელი 6-7 პროცენტით შემცირდა. ნედლი ნავთობის ფასი კატასტროფულად გაძვირდა, პროგნოზი ისეთია, რომ მისი ღირებულება უფრო გაიზრდება. თუ ასე მოხდა, ან ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ფასი გავზარდოთ, რათა ორგანიზაციამ, მინიმუმ, ორგანიზაციული ხარჯები მაინც დაფაროს.

**"მაგოილის" გენერალური დირექტორი გიორგი აბულაძე:** შედეგი უკვე სახეზეა: ნავთობპროდუქტების გაძვირება ჩვენთანაც დაიწყო. საერთაშორისო ბაზარზე დღეს უკვე 16 დოლარით გაიზარდა ბენზინის ფასი და 17 დოლარით - დიზელის ფასი. სამწუხარო ის არის, რომ ფასები კიდევ უფრო აიწევს. ეს კი ჩვენს ბიზნესზე ძალიან უარყოფითად აისახება. კომპანიები იმდენს ვეღარ შემოიტანენ, რამდენიც ადრე შემოჰქონდათ. ჩვენი კომპანიის მაგალითზე გეტყვით. ადრე თუ 500 ტონა შემოგვქონდა, შემოვიტანთ 250 ტონას. რაც უფრო იზრდება თვითღირებულება, მით უფრო ნაკლები მოგება გვრჩება. ფასების მომატება კი მომხმარებლების შემცირებას გამოიწვევს. კაცი, რომელიც 100 კილომეტრს დარბოდა, ახლა ეცდება ნაკლები ირბინოს. უბედურება რაშია, იცით? საწვავის ფასის გაზრდა სხვა პროდუქციის ფასის გაზრდასაც გამოიწვევს. მერე შეიძლება საწვავის ფასმა დაიკლოს, მაგრამ ბაზარზე სხვა პროდუქტების ფასი აღარ დაიწევს.

**"ლუკოილ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე გოჩა სულთანიშვილი:** ფაქტი უკვე სახეზეა: რადგან ჩვენ მთლიანად საერთაშორისო ბაზრის ფასებზე ვართ დამოკიდებული, საქართველოში ფასებმა აიწია. დიდმა ქსელებმა, მათ შორის "კანარგომ", "ლუკოილმა" და სხვებმა, ფასები ყველამ აწია. სუპერი 1,4 ლარი ღირს, 1,3 ლარი - პრემიუმი, 1,2 ლარი – რეგულარი. 1,15 ლარი – ნორმალი.

ფასების ასეთი ზრდა მოხმარების შემცირებას გამოიწვევს. მიზეზი მარტივია: საქართველოში მსყიდველუნარიანი მოსახლეობა არ არის. ხალხი ეკონომიას გააკეთებს და მოხმარებაც შემცირდება, რადგან ასეთ ძვირიან საწვავს მათი ჯიბე ვერ გასწვდება. ამ მხრივაც შედეგი უკვე სახეზეა: რეალიზაციის 20-პროცენტიანი ვარდნა გვაქვს.

რაც შეეხება იმპორტს, ჯერჯერობით არ შეგვიმცირებია, რადგან ჯერ ორი-სამი დღეა, ფასები ავწიეთ. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მოხმარება საგრძნობლად მოიკლებს და ჩვენც იმპორტის შემცირება მოგვიწევს. პრობლემა ძალიან სერიოზულია. მოგება არც ერთ ქსელს აღარ რჩება. ყველამ შევამცირეთ ჩვენი წილი და იმ მინიმუმით ვკმაყოფილდებით, რაც მოგების გარანტიას არ იძლევა. ჩვენ რომ ფასები მსოფლიო ბაზრის შესაბამისად გაგვეზარდა, მომხმარებელი აღარ გვეყოლებოდა. კიდევ 10 თეთრი და - საერთოდ არ გაიყიდება. საქართველო ასეთი ფასებისთვის მზად არ არის. თუ ასე დიდხანს გაგრძელდა, იძულებულები გავხდებით, ხუთი თეთრით მაინც გავაძვიროთ. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენი კლიენტები მხოლოდ ელიტარული ფენის წარმომადგენლები იქნებიან.

**პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი** – ეს ყველაფერზე მოახდენს გავლენას. პირველ რიგში, გაიზრდება ფასები არა მარტო ნავთობპროდუქტებზე, არამედ თითქმის ყველა პროდუქტზე. განსაკუთრებით კი იმ პროდუქტებზე, რაც საავტომობილო ტრანსპორტით შემოდის.

ნავთობპროდუქტების ფასების გაზრდა, პირველ რიგში, ხალხზე იმოქმედებს უარყოფითად, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს დროებითი კრიზისია.

**ექსპერტი გია ხუხაშვილი:** სამწუხაროდ, თბილისში უკვე გაძვირდა ბენზინიც და დიზელიც. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ნავთობპროდუქტზე, როგორც ეკონომიკის საბაზისო ელემენტზე, ფასების ზრდა იწვევს ჯაჭვურ რეაქციას - ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე და პროდუქციაზეც იზრდება, რადგან ჩვენ, ძირითადად, იმპორტზე ვართ დამოკიდებული. როცა საერთაშორისო ბაზარზე ფასი იზრდება, მატულობს აქაც. თუმცა, არა იმ პროპორციით, როგორც ეს საერთაშორისო ბაზარზე ხდება. თავად კომპანიები ფასის ზრდით არ არიან დაინტერესებულები, რადგან კონკურენტუუნაროები ხდებიან. ამიტომ, ფასის გაზრდისგან თავს ყველანაირად იკავებენ. შედეგად კი იმპორტიორებს უმცირდებათ მოგების მარჟა: რაც უფრო იაფია ნავთობპროდუქტები, მით უფრო კარგია იმპორტიორისთვის. ისინი ხომ ბრუნვაზე მუშაობენ. ახლა ბრუნვა შემცირდება და, ბუნებრივია, მათ პრობლემებიც მეტი ექნებათ. პირველ რიგში - მომხმარებლები შეუმცირდებათ.

**ნავთობპროდუქტების მწარმოებელ-იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი:** დღეს ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო ფასი, ერთი თვის წინანდელ ფასთან შედარებით, დაახლოებით 40 პროცენტით გაიზარდა. მატება ძალიან სერიოზულია. ყველაზე მეტად მომხმარებელი ზარალდება. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, სამომხმარებლო ბაზარზე ყველაფერი გაძვირდება, რადგან ყველაფერი ტრანსპორტირებასთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს იმის პერსპექტივა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასები დარეგულირდეს. თუ ფასები კვლავ გაიზარდა, შესაძლოა, ამან ინფლაციაც გამოიწვიოს. რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლებს, არა მგონია, ამ პროცესმა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

**ექსპერტი კახა უგულავა:** ჯერჯერობით, მხოლოდ მომხმარებელი და იმპორტიორები დაზარალდნენ. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, მაშინ ეს ცხოვრების დონის გაუარესებას და ეკონომიკის შემცირებას გამოიწვევს.

იმ შემთხვევაში, თუ ფასების დარეგულირება დროზე არ მოხდა და პროცესი დროში გაიწელა, შედეგებიც ადეკვატური იქნება: გაიზრდება ადგილობრივი წარმოების ხარჯები, რაც წარმოების შემცირებასა და უმუშევრობის გაზრდას გამოიწვევს. დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, მოხდება ფასების გაზრდა სხვა პროდუქტებზე, რაც, თავის მხრივ, ინფლაციის ზრდას გამოიწვევს. ერთი სიტყვით, პროცესები მშპ-ს შემცირების ტენდენციით წარიმართება. ეს საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზია და, თუ პრობლემა მალე დარეგულირდა, ფასების ერთჯერადი შოკი გავლენას არაფერზე არ მოახდენს. თუმცა, უკვე აშკარაა, რომ ნავთობპროდუქტების ფასი 35 დოლარზე დაბლა მაინც აღარ ჩამოვა, ეს კი ჩვენთვის ძალიან მაღალი განაკვეთია.

# დონალდ რამსფელდი ერაყს ეწვია

გუშინ აშშ-ს თავადცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი მოულოდნელი ვიზიტით ერაყს ეწვია. იმ საერთაშორისო სკანდალის ფონზე, რომელიც აბუ-ღრაიბის ციხეში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ერაყელი პატიმრების წამების და შეურაცხყოფის ამსახველმა ფოტომასალამ გამოიწვია, დონალდ რამსფელდის ბაღდადური ვოიაჟი მართლაც ყველასათვის მოულოდნელი იყო. თავად თავდაცვის დეპარტამენტი რამსფელდის ვიზიტს დაუგეგმავს უწოდებს. მინისტრს გაძლიერებული დაცვა ახლდა თან. საერთაშორისო მედიის ცნობით, რამსფელდი ბაღდადში სამხედრო კოალიციის სარდლობასთან შესახვედრად ჩავიდა.

დამკვირვებელთა ვარაუდით, ეს ვიზიტი მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული სკანდალის ჩაცხრობას, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად ანტიამერიკულად განაწყო. გარდა ამისა, რამსფელდის ვოიაჟს მეორე მხარეც აქვს – ამერიკელი ჯარისკაცების საბრძოლო სულის ამაღლება.

**“ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა ერაყელ პატიმრებს სამართლიანად ეპყრობოდნენ ციხეებში, ხოლო ამერიკელი ჯარისკაცები კი ღირსეულად იქცეოდნენ,”** - აცხადებს დონალდ რამსფელდი.

ამავე დროს, ის უარყოფს მასმედიის ეჭვს, თითქოს ის ერაყში სკანდალის ჩასაცხრობად ჩავიდა. **“თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე აქ ხანძრის ლიკვიდაციისათვის ჩამოვედი, ძალიან ცდება,”** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი.



*რამსფელდი ერაყში მოულოდნელად ჩავიდა.*

სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ეს უკვე მისი მეოთხე ვიზიტია ამ ქვეყანაში. ამჯერად, მას თან ახლავს შეიარაღებული ძალების შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის შეფი გენერალი რიჩარდ მაიერსი. თავდაცვის მინისტრის კვალდაკვალ რიჩარდ მაიერსსაც ამ დღეებში საკმაოდ ხშირად უწევს აშშ-ს კონგრესის საგამოძიებო კომისიის კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც ერაყელი პატიმრების წამებას უკავშირდება.

გუშინ კონგრესის საგამოძიებო კომისიამ ამ წამების ამსახველი ახალი ფოტოკადრები მოიპოვა. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ ეს კადრები კიდევ უფრო მეტად ასახავს იმ სისასტიკეს, რასაც ამერიკელი ჯარისკაცები აბუ-ღრაიბის ციხეში ჩადიოდნენ.

ცხრა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები უკვე აღიძრა. საკომისიო მოსმენების დაწყების თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ვაშინგტონი შიშობს, რომ ამ სკანდალის შედეგად აგორებულმა ანტიამერიკულმა საზოგადოებრივმა აზრმა შესაძლოა ერაყში დისლოცირებული სამხედროების მორალურ განწყობაზე უარყოფითად იმოქმედოს. ამის თავიდან ასაცილებლად კი თეთრმა სახლმა ერაყში დონალდ რამსფელდის სასწრაფოდ მივლინება საჭიროდ ჩათვალა.

# ევროკავშირი მეზობლებს გაწევრიანებაზე უარს ეუბნება

ოთხშაბათს, გაფართოებული ევროპის სამიტზე ახალ მეზობლებს განუცხადეს, რომ ევროგაერთიანებასთან მჭიდრო თანამშრომლობა მომავალში გაწევრიანებას სულაც არ ნიშნავს.

ევროკავშირის გაფართოების კომისარმა გიუნტერ ფერჰოიგენმა განაცხადა, რომ ახალი სტრატეგია გაერთიანების მეზობლებთან “უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დაწყებას” გულისხმობს.

ფერჰოიგენს მეზობლებზე საუბრისას მხედველობაში ჰყავდა უკრაინა, მოლდოვა, სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო.

“ამ ქვეყნების გაწევრიანება ჩვენს დღის წესრიგში არ შედის,” - განაცხადა ფერჰოიგენმა. “ევროპის სამეზობლო პოლიტიკა” იმ ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიული, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, საფინანსო დახმარებასა და მჭიდრო სავაჭრო თანამშრომლობას ჰპირდება.

ფერჰოიგენმა ნათლად განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ე.წ. “მეგობრების წრე” ევროკავშირის სტანდარტებსა და ღირებულებებს გაიზიარებს, მათ არ უნდა იფიქრონ, რომ ისინი საბოლოოდ ამ ევროპული კლუბის წევრები გახდებიან.

ამ სტრატეგიის მიზანს იმ რესპუბლიკების შეჩერება წარმოადგენს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებას ცდილობენ.

ფერჰოიგენის თქმით, სავარაუდოდ, ყოველწლიურად 800 მილიონი ევრო გამოიყოფა, რომელიც ახალ მეზობლებს რეფორმების გატარებასა და ეკონომიკურ განვითარებაში დაეხმარებათ. ამას გარდა, გაიოლდება ვაჭრობა ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის. საწყის ეტაპზე პროგრამა უკრაინაზე, მოლდოვაზე, ისრაელზე, იორდანიაზე, პალესტინის ადმინისტრაციაზე, ტუნისსა და მაროკოზე გავრცელდება, მალე ამ ქვეყნებს ეგვიპტე და ლიბანი შეუერთდება.

შეხვედრისას ითქვა, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ზემოდასახელებულ ქვეყნებს, შესაძლოა, მოგვიანებით შეუერთდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მათ ლიბიაც დაემატოს.

ფერჰოიგენის განცხადებით, მეზობლებს ევროკავშირთან ინტეგრაციის სხვადასხვა დონეებს შესთავაზებენ, რაც მათ წარმატებებზე იქნება დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ ბელარუსი ამ გეგმიდან მთლიანად გამორიცხულია, რადგან 1996 წლიდან ევროკომისია ამბობს, რომ ამ ქვეყანაში ჩატრებული არჩევნები “საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და იქ დემოკრატიული სტრუქტურები არ არსებობს”.

ევროკავშირი იმედოვნებს, რომ ახალი გეგმა მის საზღვრებზე სტაბილურობასა და კეთილდღეობას შეუწყობს ხელს, მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, მეზობელმა სახელმწიფოებმა გაწევრიანებაზე უარი თქვან.

# თურქეთის პარლამენტმა განათლების შესახებ ახალი კანონი მიიღო

გუშინ თურქეთის პარლამენტმა უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონი მიიღო, რომელმაც საზოგადოებასა და მმართველ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ კანონმა, შესაძლოა, მთავრობასა და სამხედროებს შორის ურთიერთობები გაამწვავოს. კანონპროექტის განხილვა მთელი ღამე მიმდინარეობდა. კანონს 254 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ოპოზიციამ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ახლა უნივერსიტეტებში სწავლა რელიგიური სკოლების კურსდამთავრებულებსაც შეეძლებათ.

სამხედროებმა კვირის დასაწყისში განცხადება გააკეთეს, რომ ამგვარი რეფორმები თურქეთის სახელმწიფოს სეკულარულ საფუძვლებს საფრთხეს უქმნის. ევროკავშირმა თურქი სამხედროები სამოქალაქო ხელსუფლების საქმეებში ჩარევის გამო გააკრიტიკა.

სავარაუდოდ, თურქეთის პრეზიდენტი აჰმეტ ნეჯდეთ სეზერი კანონს ვეტოს დაადებს.

მთავრობასა და სამხედროებს შორის დაძაბულობის ზრდის გამო, საფინანსო ბაზრებზე დაძაბულობა იგრძნობა. ინვესტორები შიშობენ, რომ, შესაძლოა, გენერლებმა მთავრობის გადაყენება მოითხოვონ. თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში სამხედროებმა მთავრობა 4-ჯერ შეცვალეს, რათა ხელისუფლებასა და საზოგადოებაში რელიგიური ელემენტების გაძლიერება არ დაეშვათ. სამხედროები თურქეთში სეკულარული, დემოკრატიული წყობილების გარანტორებად ითვლებიან.

# განდების დინასტია ბრუნდება

*მსოფლიოში მოსახლეობის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი ქვეყნის –ინდოეთის პოლიტიკაში სერიოზული გარდაქმნებია მოსალოდნელი. დღევანდელი პრემიერ-მინისტრის ატალ ბეჰარ ვაჯპაის პარტია “ბჰარატია ჯანატა” ქვეყანაში მიმდინარე სამკვირიან (!) არჩევნებში დამარცხდა და ადგილს სონია განდის “ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს” უთმობს.*

არჩევნების წინასწარმა შედეგებმა ცხადყო, რომ, ყველასათვის მოულოდნელად, ვაჯპაის პარტიას უფრო ნაკლები წარმომადგენელი ეყოლება საკანონმდებლო ორგანოში. ინდოეთის პარლამენტის 545 წევრიდან აბსოლუტური უპირატესობა შესაძლოა, ვერც ერთმა ძალამ ვერ მოიპოვოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ქვეყანაში მთავრობის შესაცვლელად შედარებითი გამარჯვებაც საკმარისი იქნება.

ვაჯპაიმ არჩევნები ვადამდე ექვსი თვით ადრე დანიშნა და სწორედ ეს აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო. გუშინ, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრების სასწრაფო თათბირი მოიწვია სადაც არჩევნების შედეგები და მოვალი სტრატეგია განიხილებოდა. თათბირის შემდეგ თავდაცვის მინისტრი ჯორჯ ფერნანდესი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში პრეზიდენტ აბდულუ კალამის მთავრობის გადადგომის განცხადებას წარუდგენენ.

ყველა წინასაარჩევნო გამოკითხვისას, ასევე ეგზიტ პოლების მიხედვითაც, მმართველი პარტია ლიდერობდა. თავად პარტიის წარმომადგენლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მზარდი ეკონომიკური მაჩვენებლები ამომრჩეველთა გადაბირებისათვის საუკეთესო სტიმული იქნებოდა. თუმცა, მთავრობის სავალალოდ, ინდოეთის ღარიბი მოსახლეობის უმეტესობამ, რომელთაც, ფაქტობრივად, არ შეხებიათ ეკონომიკური ბუმის დადებითი შედეგები, თავისი პოლიტიკური სიმპათიები მთავრობის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემით გამოხატეს. თურმე, ინდოეთის აღმავლობის გზაზე მდგომი ეკონომიკის მიღმა, სოციალურად დაუცველი ფართო მასების სერიოზული უკმაყოფილებაა. მათ გიგანტი სახელმწიფოს ეკონომიკურმა სასწაულმა ცხოვრების რეალური გაუმჯობესება ვერ მოუტანა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ფენას არ მოუვიდა თვალში მმართველი პარტიის “გაბრწყინებული ინდოეთის” ლოზუნგი.



*განდები კვლავ მწვერვალზე არიან.*

ასე რომ, უკვე შეგვიძლია პრემიერ ვაჯპაის 8-წლიანი მმართველობის დასასრული ვიწინასწარმეტყველოთ, რომელმაც ინდოეთს სერიოზული ეკონომიკური აღმავლობა მოუტანა, თანაც ისეთ, ინდოეთისათვის არატრადიციულ სფეროში, როგორიც კომპიუტერული ტექნოლოგიებია. მის შემცვლელად, შედარებით გამოუცდელი პოლიტიკოსი, თუმცა უდიდესი სახელის მემკვიდრე სონია განდი (იგი 1991 წელს მოკლული პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის ქვრივია) მოგვევლინება. განდების დინასტია ინდოეთში უაღრესად დაფასებულია და მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის გამარჯვება, მეტწილად, ამ სახელს უკავშირდება.

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ინდოეთის ძირითადი საგარეო და საშინაო პრიორიტეტები უცვლელი დარჩება. ალბათ, ასევე უცვლელი იქნება ინდოეთის მთავარი საგარეოპოლიტიკური პრობლემა – მის უძველეს კონკურენტ პაკისტანთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება.

# ლონდონი და პეკინი საუკუნო კავშირს ქმნიან

პირველი გვერდიდან

ტონი ბლერი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, როდესაც მის სამხედროებს ერაყში ტყვეების საშინელ წამებაში ადანაშაულებენ და ამას ფაქტობრივი მასალებითაც ადასტურებენ. ამ საკითხებთან დაკავშირებით ბრიტანული პრესის შეკითხვებზე ტონი ბლერმა განაცხადა, რომ **"ნებისმიერი ბრალდება, ერაყელი ტყვეების მიმართ ბრიტანელი ჯარისკაცების არასწორად მოპყრობის შესახებ, გამოძიებული იქნება და დაწვრილებით ჩამოყალიბდება ქვეყნის თავდაცვის მდივნის ჯეფ ჰუნის მოხსენებაში."** რაც შეეხება თვით ძიანზაოს, მისთვის, რა თქმა უნდა, ასეთი შეკითხვების არსებობა მტკივნეული არ არის: ჩინეთი არც ანტიერაყული კოალიციის წევრია და არც თავისი ჯარისკაცები გაუგზავნია მშვიდობის დასამყარებლად სხვა ქვეყანაში. ჩინეთის პრემიერისათვის ყველაზე დიდი საზრუნავი და მისი ქვეყნის პირველი პრიორიტეტი 1,3 მილიარდი ადამიანის საკვებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფაა. ორი ლიდერის შეხვედრისას პრესკონფერენციის დროს, ბატონმა ბლერმა დადებითად შეაფასა პოლიტიკური ურთიერთობები დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის და დაახასიათა, როგორც **"ყველაზე ძლიერი და მაღალი ხარისხის, ვიდრე ის იყო ათწლეულების განმავლობაში."** ტონი ბლერმა არ დამალა თავისი აზრი, რომ ჩინეთი გახდება უფრო დიდი ძალა მსოფლიოში, იმ ცვლილებების გამო, რასაც მისი მთავრობა ეკონომიკურ სფეროში ახორციელებს და რომ მისი წარმატებების საწინდარი დანარჩენ მსოფლიოსთან ჩინეთის განსაკუთრებული ურთიერთობებია. თვით საგარეო უწყების წარმომადგენელმა ბილ რამელმა, რომელიც უშუალოდ კურირებს ჩინეთთან ურთიერთობის საკითხებს, განაცხადა, რომ **"დიდი ბრიტანეთისათვის ამ ქვეყანასთან სავაჭრო კავშირები უმნიშვნელოვანესია, რადგანაც იგი, სულ რაღაც 15 წელიწადში, მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ სახელმწიფოთა შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდა."**

დიდ ბრიტანეთში ჩინეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტს თან დაერთო საპროტესტო აქციები. დაახლოებით, 150 ადამიანი შეიკრიბა მოძრაობიდან "თავისუფალი ტიბეტი" და მოძრაობიდან "ფალუნ გონგი." ელისონ რეინოლდსმა, “თავისუფალი ტიბეტის” კამპანიის დირექტორმა, მოუწოდა ტონი ბლერს, რომ მას **"მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, რათა ტიბეტის ოკუპაციის შესახებ ჩინეთთან დიალოგმა წარმატებას მიაღწიოს."** საპროტესტო კამპანიის წევრებმა ჩინეთის საელჩოს წინ ტიბეტის დიდი დროშა გაშალეს და მედიტაცია დაიწყეს. თავისუფალი ტიბეტის კამპანია ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი კონფლიქტის მოგვარებას იმედოვნებს, რაც ტიბეტსა და ჩინეთს შორის 54 წლის წინ დაიწყო. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები ჩინეთის ხელისუფლებას ტიბეტის ბუდისტური კულტურის ძეგლების სისტემატურ დარბევასა და ტიბეტელი ბერების უსამართლოდ დასჯაში ადანაშაულებს, რომლებიც დალაი ლამას - ტიბეტის სულიერ ლიდერს აღიარებენ. დალაი ლამა ქვეყნიდან გაქცეულია და მოითხოვს ტიბეტის ავტონომიას ჩინეთის შემადგენლობაში. როგორც “თავისუფალი ტიბეტის” კამპანიის წევრები აღნიშნავენ, დალაი ლამას ვიზიტი ბრიტანეთში მომავალ კვირას არის დაგეგმილი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი პროგრესის წინაპირობა იქნება. რაც შეეხება "ფალუნ გონგის" მოძრაობას, იგი ჩინეთის ხელისუფლების მიერ არის აკრძალული. მოძრაობა აღიქმება ხან როგორც ცალკე კულტურა, უფრო ხშირად კი, როგორც სექტა ან რელიგია, თუმცა მას მსოფლიოს ბევრ კუთხეში მილიონობით მიმდევარი ჰყავს. ოფიციალურმა პეკინმა ეს მოძრაობა ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში დაადანაშაულა და მოძრაობამაც იატაკქვეშეთში გადაინაცვლა.

დიდ ბრიტანეთში ჩინეთის პრემიერ-მინისტრის გულთბილი მიღების შემდეგ, ამ ორი სახელმწიფოს ერთობლივი განცხადება გამოქვეყნდა, რომლის შესავალ ნაწილშიც აღნიშნულია: **"პრემიერი ვენ ძიაბაო და პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი დღეს სიამოვნებით აცხადებენ სრული სტრატეგიული პარტნიორობის არსებობას ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის და პირობას დებენ, რომ ერთად ყველაფერს გააკეთებენ ამ ურთიერთობის განვითარებისათვის, რაც თვით ჩვენს ქვეყნებს წაადგება და შექმნის საფუძველს, რათა მსოფლიო უფრო უსაფრთხო, განვითარებული და ღია გახდეს."**

არავინ იცის, რეალურად ჰქონდათ თუ არა პრემიერ-მინისტრებს საუბარი ტიბეტის, “ფალუნ გონგისა” და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების შესახებ, თუმცა ერთი ცხადია, ჩინეთისათვის ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიცაა კუნძულ ტაივანისა და ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის ჰონგ კონგის ავტონომიების საკითხი, ერთობლივ განცხადებაში დაფიქსირდა. კაპიტალისტურ ჰონგ კონგს 2007 წლიდან თავისი ავტონომიის მეთაურის არჩევის საშუალება უნდა მისცემოდა. თუმცა, პეკინში ამის განხორციელება გადაიფიქრეს და ისევ "თავიანთი კაცის" დანიშვნა დააკანონეს, რასაც ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის ქუჩებში საპროტესტო აქციები მოჰყვა. **"ჩვენ ღიად ვცვლით აზრებს ჰონგ კონგის საკითხთან დაკავშირებით... ორივე მხარის ინტერესებში შედის, რომ შევინარჩუნოთ და ხელი შევუწყოთ ჰონგ კონგის განვითარებას და მის სტაბილურობას, რაც უნდა ემყარებოდეს პრინციპს “ერთი სახელმწიფო - ორი სისტემა” და ავტონომიის ძირითად კანონს,"** - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც ჩანს, ქვეყნები "პატარა ლუკმის" გამო დიდ დაპირისპირებას არ აპირებენ და ისევ ურთიერთშეთანხმებისა და კონსენსუსის საფუძველზე იმოქმედებენ. მთელი ისტორიის მანძილზე ჰონგ კონგი "განტევების" კუნძული უფრო იყო, ვიდრე დავის საგანი სხვადასხვა დაპირისპირების დროს. იგივე შეიძლება ითქვას ტაივანთან დაკავშირებით. თუმცა, ამჟამად ძლევამოსილი ჩინეთის ხელისუფლება არც ერთი მათგანის დათმობას არაფრის ფასად არ აპირებს.

ტაივანის სრული თავისუფლებისაკენ სწრაფვას ოფიციალურმა პეკინმა პასუხი მისკენ მიმართული რაკეტების განლაგებით გასცა. ერთობლივ განცხადებაში კიდევ ერთხელ აისახა 1972 წლის ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის ერთიან კომუნიკეში დაფიქსირებული პოზიცია: **"დიდი ბრიტანეთი აღიარებს, რომ ტაივანი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროვინცია და ცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, როგორც ჩინეთის ერთადერთ კანონიერ მთავრობას."** იქიდან გამომდინარე, რომ ორივე სახელმწიფო გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს პატივისცემა გაერო-ს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის მიმართ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ჩინეთმა ითხოვა კონსულტაციების გახშირება ბრიტანეთთან ცენტრალური აზიისა და ერაყის საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ქვეპუნქტად განცხადებაში გამოიყო ერთობლივი ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და იმ შეთანხმების დაცვა, რომელიც ატომური იარაღის გავრცელებას კრძალავს (Nuclear Non-Proliferation Treaty).

განსახილველ საკითხთა შორის იყო ლიბიის მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამები და, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღი, რაც დიდ საშიშროებად აღიქმება რეგიონის და, მთლიანად, მსოფლიოს უსაფრთხოების საქმეში. ეს დამოკიდებულება განცხადებაში შემდეგნაირად აისახა: **"დიდი ბრიტანეთი მიესალმება ჩინეთის წამყვან როლს კორეის ნახევარკუნძულზე ექვსმხრივ მოლაპარაკებებში ატომური იარაღის საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენი მხარეები გააღრმავებენ ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას უსაფრთხოების, იარაღის კონტროლის, განიარაღებისა და ატომური იარაღის გავრცელების აკრძალვის სფეროებში."**

ერთი წლის წინ, ჩინეთში ვიზიტის დროს, ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმა ხაზი გაუსვა პეკინის მონაწილეობას ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ კრიზისში. ბატონმა ბლერმა იმ ვიზიტის დროს ჩინეთის ყველა ხელმძღვანელი მოინახულა: პრემიერი ვენ ძიაბაო, პრეზიდენტი ჰუ ძინთაო და ყოფილი ლიდერი ძიან ძემინი. **"ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლა ჩინეთის მხრიდან ძალზე მნიშვნელოვანია,"** - განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა. კოლეგის პოზიცია კიდევ უფრო გაამყარა ჯორჯ ბუშის განცხადებამ: **"მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია დიპლომატიური მეთოდებით, მეზობელი სახელმწიფოების - ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის წაქეზებით, რათა ისინი შემოგვიერთდნენ და ერთად ვუთხრათ ბატონ კიმ იონგ ილს: გადაწყვეტილება ატომური არსენალის განვითარების შესახებ ერთადერთია, რაც თქვენ დანარჩენი მსოფლიოსაგან გაგრიყავთ."** ტონი ბლერმა ამის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ყველაზე მძიმე პრობლემები გადაიჭრას.

საერთაშორისო ასპარეზზე ბევრ საკითხში განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, როგორც ჩინეთის, ისე დიდი ბრიტანეთის მხარე ცდილობს განავითაროს ურთიერთობები და მეორე პლანზე გადადოს ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც ასეთი თანამშრომლობის გაგრძელებას საფრთხეს შეუქმნის. ბოლოს და ბოლოს, ჩინეთში დიდი ბრიტანეთის კომპანიების 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგია დაბანდებული, ხოლო 170-ზე მეტი ჩინური კომპანია ევროპის ამ ნაწილში დღემდე წარმატებით საქმიანობს.

# სწავლა, სწავლა და სწავლა

*არის ასეთი ზედსართავი სახელი - რესპექტაბელური. ეს სიტყვა ქართულში ფრანგულიდან შემოვიდა და ღირსეულს, პატივსაცემს, დარბაისლურს ნიშნავს. კიდევ არსებობს სიტყვათშეთანხმება - რესპექტაბელური სტილი, რომლის განმარტება, ალბათ, საჭირო აღარაა. ვინ შეიძლება ღირსეული და პატივსაცემი იყოს? ყველა, ვისაც მამაზეციერი ამ თვისებას დაანათლებს. რესპექტაბელურად ვინღა გამოიყურება? ნებისმიერი, ვისაც ამის სურვილი გააჩნია. უზადო გემოვნებას ბევრს ვერ მოსთხოვ (ან კი რატომ უნდა მოსთხოვო), მაგრამ როცა ქალი პრეტენზიას პოლიტიკოსობაზე აცხადებს, გემოვნება თუ ღალატობს, ჭკუას უნდა მოუხმოს და სად რა თქვას ან თავი როგორ დაიჭიროს, სხვებს დაეკითხოს.*

სოფიო თოდუა

"ყვითელ პრესას" შეძლებისდაგვარად ვეცნობი და ამ ნაბიჯისკენ მხოლოდ ჩემი პროფესია არ მიბიძგებს. გულწრფელად მაინტერესებს, რას მიირთმევენ, სად ისვენებენ, რას იცვამენ, ვინ უყვართ და ვინ არ უყვართ პოპულარულ ადამიანებს. რაც არ უნდა მიმტკიცონ, რომ ასეთი პუბლიკაციები არაფრისმთქმელია, მაინც ვერ მოვიშლი ამ ჩვევას. საერთოდაც, მგონია, ვინც ბულვარული გამოცემების წინააღმდეგ ილაშქრებს, ისინი ჩემზე მეტად ხალისობენ მსგავსი ჟურნალ-გაზეთების კითხვისას, თუმცა საჯაროდ საპირისპიროს ამტკიცებენ.

ამასწინათ ჟურნალი "რეიტინგი" შევიძინე (10-16 მაისი, 2004 წ.). ჩემი ყურადღება ნინო კალანდაძემ მიიქცია. ეს უკანასკნელი არც მსახიობია, არც მომღერალი და არც სპორტსმენი - იგი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახლავთ. რადგან ახლადარჩეულ პარლამენტში ბევრი ახალი სახეა და მათი გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი, ინტერვიუ ახალგაზრდა პარლამენტარ ქალთან გულდასმით ჩავიკითხე. ჟურნალის გარეკანს ქალბატონი ნინოს ფოტოსურათიც ამშვენებს - იგი ლოტოსის პოზაში ზის და ნაზად გვიღიმის. გარწმუნებთ, ეს ფერადი ფოტო ჟურნალის ყდაზე გაცილებით ეფექტურია. იქვე იხილავთ ნაცნობი ჟურნალისტის, ქალაქის მთავარი პროკურორისა და ერთი ცნობილი ბიზნესმენის ქვისლის ფოტოებს, თუმცა მათში სასეირო არაფერია. სანამ მორალზე და ეთიკის ნორმებზე ჩავფიქრდებოდი, ქართველი ფოტოკორესპონდენტების მარიფათით მოვიხიბლე - პატარა საქმეა, პოლიტიკოსს, თანაც ქალს, ჩაუსაფრდე და ასეთი სურათი გადაუღო?! "რეიტინგის" რედაქციაში იმ იმედით დავრეკე, რომ ამ ყოჩაღი პაპარაცის ვინაობას გამიმხელდნენ, მაგრამ ფოტოგრაფის სახელისა და გვარის დადგენამდე საქმე არ მისულა. გაირკვა, რომ ამ კადრის დაფიქსირება სულაც არ ყოფილა ძნელი, რადგან ნინო კალანდაძე ფოტოკორესპონდენტს უშურველად დათანხმდა პოზირებაზე და პარლამენტნარმა ქალბატონმაც მთელი თავისი ხიბლი ასე ერთბაშად გამოამზეურა. წარმომიდგენია, რა გულდასმით შეარჩია ფონი და პოზა და რა ამაყად დაჯდა სურათის გადასაღებად! ქვედა კაბა აცვია თუ მოკლე შარვალი, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია, მთავარი აქ ფეხების დემონსტრირებაა, რასაც, სხვათა შორის, პარლამენტარი და ფოტოგრაფი ერთნაირად კარგად ახერხებენ.



*დეპუტატი.*

იმიჯმეიკერები იმიტომაც არსებობენ, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს განსხვავებული რეცეპტები შესთავაზონ და მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ქცევის ნორმებიც განუსაზღვრონ და შესაფერისი ტანსაცმელიც შეურჩიონ. იცოცხლე, კაფეშანტანებში ტლინკაობა საამურია, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს, და, შესაბამისად, პოლიტიკურ ამინდს სწორედ ისინი ქმნიან, ასეთ დაწესებულებებს იშვიათად რომ ეტანებიან. გათვლა მარტივია: თუ პოლიტიკოსობა გინდა, მოგწონს ეს თუ არა, რესპექტაბელურად უნდა გამოიყურებოდე და მხოლოდ თინეიჯერების გულის მოგებას არ უნდა ცდილობდე, რადგან საშუალო ასაკის ამომრჩევლის ნდობის მოპოვება გაცილებით მნიშვნელოვანია. ქართული ელექტორატის ეს ნაწილი კი, როგორც წესი, კონსერვატორია და ტიტლიკანა პარლამენტარებს ისევ "ნომენკლატურული" პოლიტიკოსები ურჩევნია. ეს ანბანური ჭეშმარიტება ქართველმა პოლიტიკოსმა ქალბატონებმა საკმაოდ იოლად აითვისეს, ამიტომაც დაიარებიან ნინო ბურჯანაძე, მაია ნადირაძე, ფიქრია ჩიხრაძე, სალომე ზურაბიშვილი, თამარ ლებანიძე, თამარ სულუხია თუ თამარ ბერუჩაშვილი ყოველთვის პროტოკოლის შესაფერისად ჩაცმულ-დახურულები - მაშინაც კი, როცა ინტერვიუებს პირად საკითხებზე იძლევიან. ცხადია, საკუთარ ოჯახებში მაინცდამაინც პიჯაკები არ აცვიათ, მაგრამ შინაურულ გარემოში ჟურნალისტებს არც პენუარებში ხვდებიან და არც ფეხებწამოპლაკულები პოზიორობენ ფოტოგრაფებს. რაც შეეხება ნინო კალანდაძეს, მას, როგორც ჩანს, ასეთ "უმნიშვნელო" დეტალებზე საერთოდ არ უფიქრია, ან პირიქით, ბევრი უფიქრია და საფირმო ნიშნად მოშიშვლებული ფეხები აურჩევია.

დარწმუნებული ვარ, ქართველ პოლიტიკოს ქალებს არათუ ასეთი, უფრო პიკანტური სურათებიც გადაუღიათ. დავიჯერო, სალომე ზურაბიშვილი ერთხელ მაინც არ მოხვედრილა ფრანგულ რივიერაზე ან ნინო ბურჯანაძე არ გარუჯულა ბიჭვინთაში? მაგრამ რატომღაც მგონია, მათთანაც რომ მისულიყვნენ ფოტოკორესპონდენტები, არც ასე დასხდებოდნენ და არც მსგავს ფოტოებს უსახსოვრებდნენ საოჯახო ალბომებიდან. სხვა საქმეა, როგორ მოიქცევიან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კადრები მათ დაუკითხავად მოხვდებოდა ბულვარული პრესის ფურცლებზე.

რაც განსაკუთრებით დამამახსოვრდა ინტერვიუდან, ეს სათაურია, რომელიც გარეკანზე გამოქვეყნებულ ფოტოსურათზეც იკითხება: "პარლამენტარობის იდუმალი რეცეპტი ნინო კალანდაძისაგან". ეს პუბლიკაცია ბოლომდე რომ არ წამეკითხა, აუცილებლად ვირწმუნებდი, რომ ნინო კალანდაძის პარლამენტში მოხვედრა სულ სხვა მიზეზმა განაპირობა. არადა, "იდუმალების რეცეპტი" სინამდვილეში ერთობ მარტივია: მშობლები, ჯერ კიდევ ნორჩს, ინგლისურზე, გერმანულზე და ა.შ. დაგატარებენ (ეს "ასე შემდეგ" რესპონდენტის სიტყვებია); შემდეგ გერმანიაში გაგიშვებენ სასწავლებლად, სადაც ერთი ხანობა ფოტომოდელადაც იმუშავებ, მაგრამ იმდენად მუყაითი ხარ, შენი წარმატება პოლიტიკურ ასპარეზზე გერმანელ მეგობრებსაც კი არ გაუკვირდებათ... სულ ესაა და ეს. მე კი მეგონა, რომ საქართველოში პოლიტიკოს ქალებს საკმაოდ რთული გზის გავლა უხდებოდათ და რომ არა კალანდაძის რეცეპტი, ვინ იცის, კიდევ რამდენი ნიჭიერი ქალბატონი ჩაიკარგებოდა შოუბიზნესში.

# ჯანდაცვის სამინისტროს სიურპრიზი „წამლის მაფიას"

ოთარ ქირია

*სახელმწიფოებრივ რანგში აყვანილმა ქართულმა კორუფციამ, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ყვაოდა, ქვეყნის მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა - იმატა ფალსიფიცირებული და ვადაგასული პრეპარატებითა და საკვები პროდუქტებით მოსახლეობის მოწამვლის ფაქტებმა; უვარგისი სასუქითა და სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებული წყლის გამოყენება სოფლის მეურნეობაში არაერთხელ გამხდარა ონკოლოგიური დაავადებების, ახალშობილთა სიმახინჯეებისა და სხვადასხვა მძიმე პათოლოგიის მიზეზი; ქვეყანაში არ არსებობს ტოქსიკოლოგიური ექსპრეს-ლაბორატორია, რომელიც ინტოქსიკაციის ზუსტი მიზეზის განსაზღვრის საშუალებას იძლევა; და ეს მაშინ, როცა ქიმიური ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება – ასეთ განცხადებას აკეთებს ორიოდ თვის წინათ შექმნილი ადამიანის ეკოლოგიის დაცვის საზოგადოებრივი საბჭო სახალხო დამცველის ოფისში შემდგარ შეხვედრაზე.*

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველომ ანტიტერორისტულ ბრძოლაში აშშ-ს მხარდაჭერა აღუთქვა და ეს მრავალ სახელმწიფო დონის პროგრამასა თუ უწყებაში აისახა. საინტერესოა ერთი მომენტი - ყველა სახელმწიფომ, რომელიც ამ ბრძოლაშია ჩართული, გარდა სამხედრო კოალიციის ფარგლებში გათვალისწინებული თანამშრომლობისა, იმაზეც იზრუნა, რომ ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი ქიმიური ან ბიოლოგიური საფრთხის საწინააღმდეგო ზომები მიეღო - კერძოდ, სახელმწიფოები მზად არიან, გაუმკლავდნენ ეპიდემიას, ხელოვნური გზით აფეთქებულ დაავადებას, ნებისმიერი კატასტროფის სწრაფად გავრცელებას და ა.შ. არადა, ასეთი ფაქტები უკვე მრავლად დაფიქსირდა პლანეტაზე. ტრადიციულად, საქართველო მზად არ არის. ყველაზე ელემენტარული - ტოქსიკოლოგიური ექსპრეს-ლაბორატორიაც კი არ გაგვაჩნია. ამასთან, ვერც ფალსიფიცირებული პრეპარატებისა და კვებითი პროდუქტების გარშემო გაუთავებელმა ბჭობამ გამოიღო შედეგი. თუმცა, როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, საქმე მთლად ასე არ არის.

**"დავიღალეთ უკვე იმაზე ლაპარაკით, რომ ქვეყენა სავსეა ფალსიფიცირებული პრეპარატებით. მცირე აფთიაქების დევნა სასაცილოდ ჩანს, როცა უმსხვილესი პარტიებით შემოდის ათობით დასახელების უვარგისი პრეპარატი. "ნო-შპას" ნაცვლად, კოლოფში სიმინდის კაკლები ყრია, "ნოვოკაინში" ჩვეულებრივი წყალი ასხია და ა.შ. საუკეთესო შემთხვევაში, "წამალი" საერთოდ არ მოქმედებს, უარეს შემთხვევაში კი მძიმე ინტოქსიკაციას იწვევს. აფთიაქები სავსეა იგივე ჰომეოპათიური პრეპარატებით და არავინ არის გამკითხავი, ვარგა თუ არა ისინი. ხალხს ეუბნებიან – ჰომეპათიაა, ბალახებია, უვნებელიაო – ამ დროს ღმერთმა უწყის, რა საშინელებას სთავაზობენ. ასეთი გზით ნაყიდი წამლით ბევრი მინახავს გაწბილებული. დღევანდელი ფარმაცევტიკა არანაირად არ არის ორიენტირებული პაციენტზე. მიზანი მხოლოდ პრეპარატის გასაღება და ფულია. ჩემი ოპოზიციური დამოკიდებულება ჯანდაცვის სამინისტროსადმი ლამის კარიერად დამიჯდა. დღევანდელ ხელისუფლებაში კი იმედის ნაპერწკალი გამოჩნდა და, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მაინც მოიძებნება წამლის მაფიის დამხობის გზები. უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ ქვეყანას სამი ჯანდაცვის მინისტრი მართავდა? - მენაღარიშვილი, ჯორბენაძე და გამყრელიძე. ამიტომაც მივედით იქამდე, სადაც ვართ",** – აცხადებს საბჭოს ერთ-ერთი დამაარსებელი, ჰომეოპათი თინათინ თოფურია.

წამლების ფალსიფიკაციის კუთხით, სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ, შეიძლება ითქვას, ოვაციების ზღვა დაიმსახურა შეხვედრაზე მყოფ 40-მდე ექიმისგან, როცა გამოაცხადა: **"ეს კონკრეტული საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოწესრიგდება, თუ ჯანდაცვის სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას და ფსიქოტროპული წამლები, ანტიბიოტიკები, ჰომეოპათიური საშუალებები და სხვა მრავალი რეცეპტით გაიყიდება".**

არანაკლებ საინეტერსო იყო საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის, იურისტ დავით უსუფაშვილის კონცეფციის პროექტი, რომელიც სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობოების თანამშრომლობას ეხება. **"წინა ხელისუფლებამ თავად გვაიძულა, ოპოზიციური გეზი აგვეღო. დღეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ქვეყნისათვის აუცილებელია, თუ, რა თქმა უნდა, ახალი მთავრობაც ინებებს ამას. თანამშრომლობა, კონკრეტულად, ჯანდაცვის სფეროში შემდეგი სახით მესახება: ხელისუფლება ნებისმიერი გადაწყვეტილების თუ რეფორმის შემთხვევაში კოორდინირებულად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ითვალისწინებს მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. გარდა ამისა, იარსებებს ე.წ. მონიტორინგის მექანიზმი. არ ვამბობ, რომ არასამთავრობოებმა მაკონტროლებლის როლი ითამაშონ, მაგრამ ინფორმაციაზე ხელი ნამდვილად უნდა მიგვიწვდებოდეს, რათა მიმდინარე პროცესების სახელმწიფოებრიობასა და მართებულობაში დავრწმუნდეთ",** – აცხადებს უსუფაშვილი და დასძენს, რომ მთავრობამ თავად უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი საბჭოების ჩართვას ყველა უწყებაში მიმდინარე პროცესებზე.

სიურპრიზი ჯანდაცვის სამინისტროსგან: როგორც მინისტრის პირველმა მოადგილემ ლევან ჯუღელმა, მინისტრ ჭიპაშვილის ნაცვლად, შეხვედრაზე მყოფთ და საბჭოს აცნობა, სამინისტროს უკვე მომზადებული აქვს არასამთავრობოებთან თანამშრომლობის მექანიზმების პროექტი. **"ჩვენ მზად ვართ და მივესალმებით საზოგადოებრივი საბჭოების მონაწილეობას ნებისმიერ პროცესში. მოხარულნი ვიქნებით, თუ ადამიანის ეკოლოგიის დაცვის საბჭო წერილობითი ფორმითაც გამოგვიგზავნის თანამშრომლობის მისეულ ვარიანტს. რეკომენდაციებს აუცილებლად გავითვალისწინებთ. გარდა ამისა, უნდა გაცნობოთ, რომ ამჟამად დასრულების სტადიაშია პროექტი, რომელიც რადიკალურად შეცვლის ქვეყნის ფარმაცევტიკის მართვას. სანამ ამ პროექტს დავამტკიცებთ, საბჭოს აუცილებლად გავაცნობთ მის შინაარსს",** – აცხადებს ჯუღელი.

ჯერჯერობით, სამინისტრო კონკრეტულ დეტალებზე არ ლაპარაკობს, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ "წამლის მაფიას" კარგი დღე არ დაადგება. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრმა ლევან მეტრეველმა (სხვათა შორის, ის მინისტრის მოადგილეობის კანდიდატი ყოფილა – ო.ქ.) უკვე გააკეთა მინიშნება: **"ყველაფერთან ერთად გასაოცარია ის, რომ ფარმაცევტიკას ქვეყანაში სამი უწყება არეგულირებს. ისიც კი ვიცით, მაგალითად, ახალი წამლის დარეგისტრირებისათვის რა დონეზე, რამხელა ქრთამია გადასახდელი, დაწყებული 500 აშშ დოლარით, დამთავრებული – 2000-ით. ეს აუცილებლად უნდა მოისპოს და შეიქმნას ერთი კონკრეტული უწყება, რომელიც კომპლექსურად დაარეგულირებს პრეპარატების ლიცენზირებას, შემოტანას, გავრცელებას და ა.შ.",** – აცხადებს მეტრეველი და, ნათელია, რომ წამლის დეპარტამენტს, ფარმ-კომიტეტსა და სალიცენზიო დეპარტამენტს შორის მალე მხოლოდ ერთი დარჩება.

# ტუბერკულოზი განკურნებადია



ყველასთვის კარგად არის ცნობილი საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა და დაბალანაზღაურებადი სამედიცინო პერსონალის ყოფა.

ძნელი წარმოსადგენია მდგომარეობის გამოსწორება, თუ ქვეყანაში არ გაუმჯობესდება პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ყველა ასპექტი, რაც ამ სფეროში ჩართული ყველა პარტნიორი მხარის ერთობლივ და მდგრად თანამშრომლობას მოითხოვს. საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ყოველივე ამას და საერთაშორისო დახმარების გამოყენებით ეს საკითხირეფორმების პრიორიტეტად არის დასახული.

ქვეყანაში არსებული უაღრესად მძიმე ეკონომიკური სიტუაციის პირობებში ძალზე რთულია ტუბერკულოზის კონტროლის რაიმე ფორმით განხორციელება, რადგან ტუბერკულოზის შემთხვევების ზრდა ნებისმიერ ქვეყანაში პირდაპირ მიუთითებს სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებაზე. ცხადია, არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი; ტუბერკულოზის შემთხვევათა რაოდენობა გაიზარდა 1990 წლიდან, როცა საბჭოთა სუბსიდიები შეწყდა და ახლად აღმოცენებული ქვეყანა დანგრეული ეკონომიკისა და გამანადგურებელი სამოქალაქო ომის პირობებში აღმოჩნდა.

თუმცა, მიუხედავად ეკონომიკური ჩავარდნისა და მიწისძვრებისა, ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საქართველოში გაუმჯობესდა და ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობა ყოველ 100 000 მოსახლეზე 12.1-დან (1996) 8.2-მდე შემცირდა (2002) (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები).

ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ დადებით ცვლილებებს შორის, რაც DOTS სტრატეგიის დანერგვას მოჰყვა. DOTS სტრატეგიის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში დანერგვა ტუბერკულოზის ეროვნულმა პროგრამამ 1995 წლიდან დაიწყო, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 1998 წელს - შინაგან საქმეთა სამინისტრომ. DOTS (ქართულად - მოკლევადიანი მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ) ტუბერკულოზის სტანდარტული დიაგნოსტიკის, მკურნალობის და შეფასების პაკეტია, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და აღიარებულია "ოქროს სტანდარტად" 180 ქვეყანაში, მათ შორის, დასავლეთ ევროპაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთის ფედერაციაში.

DOTS სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ქვეყნის მთავრობის აქტიური მხარდაჭერა. საქართველოს მთავრობის მიერ ამ სტრატეგიის განხორციელებაზე ვალდებულების აღების და შესაბამისი მიმართულების, კოორდინაციის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მიერ შეიქმნა ტუბერკულოზის მართვის ეროვნული კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედიან პარტნიორი ორგანიზაციები: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), ჯანდაცვა კრიზისში (Merlin), მსოფლიო ბანკი (WB), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო კორპორაცია (MSCI), ღია საზოგადოება - ფონდი საქართველო (OSGF), ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), ჯანდაცვის, იუსტიციის, თავდაცვის სამინისტროები. ეს ორგანიზაციები წლების განმავლობაში დახმარებას უწევდნენ ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამას და იუსტიციის სამინისტროს სწავლებისა და მონიტორინგის საკითხებში, აგრეთვე უახლესი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური და მკურნალობის მეთოდების გამოყენებაში; იმავდროულად, აწვდიდნენ რეკომენდაციებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამას თანამედროვე სტრატეგიის უკეთ ადაპტაციის შესახებ. გერმანიის მთავრობამ უზრუნველყო მაღალი ხარისხის მედიკამენტების და დიაგნოსტიკური მასალების მოწოდება ქვეყნის მასშტაბით ტუბერკულოზის უფასო დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.

DOTS პროგრამის მიხედვით დანიშნულ მკურნალობას კარგად დაქვემდებარებული პაციენტების (მედიკამენტებისადმი მგრძნობიარე ტუბერკულოზი) მხოლოდ მცირე ნაწილს ესაჭიროება ჰოსპიტალიზაცია და ისიც მინიმალური დროით. ამდენად, პაციენტების დიდ უმრავლესობას, ძალზე მძიმე კონტინგენტის გარდა, შეუძლიათ, მკურნალობის უმეტესი ნაწილი სახლში ჩაიტარონ და გააგრძელონ ყოველდღიური ცხოვრება ისე, რომ საზოგადოებას საფრთხე არ შეუქმნან.

ტუბერკულოზის მკურნალობის ეს მეთოდი, არსებულ ეკონომიკურ პირობებში მისი განხორციელების სირთულეებისდა მიუხედავად, არამარტო კლინიკური თვალსაზრისითაა ეფექტური (თითქმის ყველა პაციენტი იკურნება), არამედ ხარჯთეფექტურიცაა, რაც მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე მთავრობისათვის.

ტერმინი "მოკლევადიანი კურსი" გულისხმობს სულ ცოტა, ოთხი სპეციფიკური ანტიბიოტიკის სტანდარტულ კომბინაციას, რომლის მიღებაც საჭიროა წინანდელ მეთოდებთან შედარებით უფრო ხანმოკლე დროის განმავლობაში (მინიმუმ 6 თვე). აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ პაციენტმა უნდა მიიღოს ყველა წამალი რეგულარულად მთელი კურსის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, განვითარდეს წამლებისადმი მდგრადი (რეზისტენტული) ფორმები, რომელთა მკურნალობაც გაცილებით უფრო რთული და ძვირია. თვითმკურნალობას, ვადების დარღვევას ან წამლების არასწორი კომბინაციით მიღებას, ასევე მოსდევს წამლებისადმი რეზისტენტობის განვითარება.

ტუბერკულოზის კონტროლის სხვა მეთოდები ამ სტრატეგიას ბევრად ჩამოუვარდებიან, რადგან ისინი არასაიმედო და ძვირადღირებულია. ინდივიდუალური მკურნალობა უხშირესად არაადექვატურია, რადგან იგი ნაკლებაქტიურია და იწვევს რეზისტენტული შემთხვევების გაზრდას. მოძველებული დიაგნოსტიკური მიდგომები არ არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მათი შედეგებიც ხშირად არ არის სარწმუნო. ამიტომ, ლოგიკურია, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მთავრობამ DOTS ეროვნულ სტრატეგიად აღიარა და მას მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

ისმის კითხვა: "როგორ უნდა ვუმკურნალოთ იმ პაციენტებს, რომელთაც ტუბერკულოზის ისეთი ფორმა აქვთ, რომელიც არ ექვემდებარება ოთხი პრეპარატის კომბინაციით მკურნალობას?" არსებობს ანტიბიოტიკები, რომლებსაც შეუძლიათ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტების განკურნება. თუმცა, ისევე როგორც უფრო მარტივი (მგრძნობიარე) ფორმების მკურნალობის დროს, ეს მედიკამენტები გამოყენებული უნდა იყოს კომბინაციაში და არა უწესრიგოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ყველაზე საშიშ, ყველა მედიკამენტისადმი რეზისტენტულ ფორმას. არსებობს რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის საერთაშორისოდ აღიარებული და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდი, რომელსაც "DOTS პლუსი" ეწოდება. ამ მეთოდით მკურნალობა დაახლოებით 2 წლის განმავლობაში გრძელდება, და მხოლოდ მედიკამენტების ღირებულება 5 ათასი აშშ დოლარს აღემატება (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სუბსიდირების შემთხვევაში). ამ პროგრამის ამოქმედებამდე ექსპერტების საერთაშორისო კომიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ DOTS-ის არსებული სტრატეგია ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება, რის შემდეგაც შესაძლებელია "DOTS პლუსის" დაწყება. საერთაშორისო ექსპერტთა კომიტეტის დასტურის გარეშე თითოეულ პაციენტზე მხოლოდ მედიკამენტების ღირებულება სულ მცირე 13 ათასი აშშ დოლარს შეადგენს. თავისთავად ცხადია, რომ დღეისათვის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა საქართველოში არსებული პირობების გათვალისწინებით, შეუძლებელია.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მუშაობს მედიკამენტებისადმი მგრძნობიარე ტუბერკულოზის მქონე პაციენტების მკურნალობის გაუმჯობესებისათვის. სამწუხაროდ, ავადმყოფთა დაახლოებით 26 % მკურნალობას დროზე ადრე წყვეტს; ამ სიტუაციას გამოსწორება სჭირდება, რათა შესაძლებელი გახდეს "DOTS პლუსის" დაწყება. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს ტუბერკულოზის უფასო მკურნალობაით და დადიაგნოსტიკით. პაციენტებმა უნდა გაითავისონ, რომ მკურნალობის დადგენილ ვადებზე ადრე შეწყვეტამ ისინი შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიიყვანოს. ექიმებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პირველი და მეორე რიგის პრეპარატების უწესრიგო გამოყენებამ შეიძლება მართლაც განუკურნებელი დაავადების განვითარება გამოიწვიოს. ყოველივე ამის განხორციელების და რეფორმების გატარების შედეგად, საგანმანათლებლო ფრაზა "ტუბერკულოზი განკურნებადია" რეალობის ამსახველი გახდება.

ანაბელ ბადელი - მერლინი
ელზა გაბედავა - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
თამარ გოცაძე - მსოფლიო ბანკი
ლაშა ზაალიშვილი - ღია საზოგადოება - ფონდი საქართველო
ლუკ იანსენსი - სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო კორპორაცია
რუსუდან კლიმიაშვილი - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
კორნელია ჰენნიგი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება


# ანალგოსი!

## სიახლე გერმანიიდან!

ანალგოსი - პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის! ახასიათებს არაჩვეულებრივი ფარმაკოლოგიური ეფექტურობა, კარგი ამტანობა, მარტივი გამოყენება და შესანიშნავი შედეგი.

ანალგოსი ეფექტურად გამოიყენება შემდეგი დაავადებების მკურნალობის დროს:




**სახსრების რევმატიული დაავადებები;**

**ნევრალგიური დაავადებები: ნევრალგია, ნევრიტი, ლუმბაგო, იშიაზი;**

**პერიფერიული ადგილობრივი სისხლისმიმოქცევის მოშლა;**

ანალგოსი წარმატებით გამოიყენება აგრეთვე სპორტულ მედიცინაშიც - კუნთების გახურება ფიზიკური დატვირთვის წინ და შემდეგ, სპორტული ტრავმების მკურნალობა, კუნთების და მყესების ფუნქციონალური დარღვევები (მიალგია, ტენდოვაგინიტი).

**გამოიყენეთ ანალგოსი! დაივიწყეთ ტკივილი!**

RIEMSER

**ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ: GPC ასისტანსი, ტელ: 922970**

GPC

# საქართველოს უახლოეს მომავალში ამერიკული საექსპერტო ლაბორატორია ექნება

*უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაპირებულ საექსპერტო ლაბორატორიას ელოდება; მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ძვირფასმა "საჩუქარმა" დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. ამის მიზეზი კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საექსპერტო ბიუროსთვის შესაბამისი შენობის არარსებობა იყო.*

დღეს ეს პრობლემა უკვე მოხსნილია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საექსპრტო ბიურო ახალ შენობაშია განთავსებული, ხოლო ქართული და ამერიკული მხარე საექსპერტო ლაბორატორიის მოწყობისა და განვითარების სამომავლო გეგმებზე საუბრობენ.

გუშინ საქართველოს იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს სწორედ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეხვდნენ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრმა ჯუდი კემბელმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს იმისათვის, რომ მან იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და განსაკუთრებულ გამოკვლევის ბიუროს ახალი შენობა აჩუქა, რადგან სწორედ აღნიშნულ შენობაზე იყო დამოკიდებული ამერიკიდან დაპირებული ექსპერტიზის ლაბორატორიის ჩამოტანა. ბიუროს ძველი შენობა კი არ პასუხობდა იმ სტანდარტებს, რომელსაც ამერიკული მხარე აყენებდა.

საქართველოში კრიმინალური გამოძიების ასისტირების პროგრამა, რომელიც საექსპერტო ლაბორატორიის განვითარებასაც გულისხმობს, აშშ-სა და საქართველოს მთავრობას შორის 2001 წლის ივნისში გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მუშაობს. აღნიშნული შეთანხმების გაფორმებაში თავის დროზე აქტიური მონაწილეობა მიიღო მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა მიშა სააკაშვილამა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საექსპერტო ლაბორატორიის გადმოცემა წლების განმავლობაში მაინც ჭიანურდებოდა.

**"დღემდე არსებული ტექნიკური პრობლემა ისევ მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა. შენობის გადაცემის შემდეგ კი შესაძლებელი გახდა პროექტის განხორციელება. ქართველ ექსპერტებს აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში (როგორც საქართველოში, ასევე აშშ-ში) ჩაუტარდათ სემინარები: დასტილოსკოპიის, დოკუმენტების, ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზებთან დაკავშირებით",** - აღნიშნა სტუმრებთან შეხვედრისას იუსტიციის მინისტრმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ პროექტი ბოლომდე წარმატებით დასრულდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გიორგი პაპუაშვილი იმედოვნებს, რომ საექსპერტო ლაბორატორიასთან დაკავშირებული პროექტი წარმატებით დასრულდება.*

კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ქართულ და ამერიკულ მხარეს შორის მიმდინარე წლის 23 მარტს კიდევ ერთი ხელშეკრულება გაფორმდა. სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილსა და აშშ-ს ელჩის მოადგილის პატრიცია მოლერის მხრიდან მიმდინარე წლის 16 მარტს ხელი მოაწერა ახალ დოკუმენტს, რომლის თანახმად, ექსპერტიზის ცენტრმა მიიღო ათი კომპიუტერი, სამი სტერეო მიკროსკოპი და ულტრაიისფერი განათების მოწყობილობა. ამერიკელების დაპირების თანახმად, ანალოგიური სახის დახმარებები მომავალშიც გაგრძელდება და ქართული მხარე, ტექნიკურ დახმარებასთან ერთად, თეორიულ მომზადებასაც გაივლის.

**"საქართველოს ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარები გაგრძელდება. ისინი სემინარებს გაივლიან როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში",** - განაცხადა ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრისას იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურა აბაშიძემ.

# ფინანსური პოლიცია ბრძოლას აგრძელებს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველომ თაღლითობის ბრალდებით 64 წლის მაგული მონიავა დააკავა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მონიავა ადრე თაღლითობისთვის იყო გასამართლებული და მას პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი. **"ამ გამოსაცდელი ვადის პერიოდში მონიავამ ახალი დანაშაული ჩაიდინა; კერძოდ, იგი მოქალაქეებს იტალიაში სამუშაოდ წაყვანას დაჰპირდა და მოტყუების გზით თანხები გამოსძალა",** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

ჩვენი ინფორმაციით, ამ ახალი ფაქტის გამოძიების პერიოდში მონიავა გამოძიებას თავს არიდებდა, რის გამოც გამომძიებლებმა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგული მონიავა დააპატიმრეს. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მონიავას ოჯახის წევრებმა თანხმობა განაცხადეს დაზარალებულთან თანხების ნაწილობრივ ანაზღაურებაზე.

**"თუკი ზარალი ბოლომდე ანაზღაურდება, პოლიცია აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს დააყენებს",** - აღნიშნეს ჩვენთან საუბარში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა.

გუშინდელი დღე ფინანსური პოლიციისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა კახეთის განყოფილებისთვისაც. დედოფლისწყაროს რაიონში პოლიციის თანამშრომლებმა ერთდროულად სამართალდარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს. კერძოდ, საუბარია დიდი ოდენობით შავი ლითონზე. ფინანასური პოლიციის ინფორმაციით, ორი სატვირთო ავტომანქანა "კამაზი", რომელიც დატვირთული იყო 44 ტონა ჯართით შ.პ.ს. "ჯორჯიან მეტალ ინპექსს" ეკუთვნოდა. თუმცა, ჯართთან დაკავშირებით არსებული ოფიციალური საბუთები მათ სრულყოფილად ვერ წარმოადგინეს. სამეწარმეო საქმიანობის წესების დარღვევით გადაჰქონდა პირადი "კამაზით" 22 ტონა ჯართი დედოფლისწყაროში მცხოვრებ შალვა ბურდულსაც. ფინანსურმა პოლიციამ ჯართის გადამზიდველები დააჯარიმა და თანხა ბიუჯეტში გადარიცხა.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის ამავე განყოფილებამ ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში 130 ტომარა აღურიცხავი ფქვილი აღმოაჩინა.

კახეთის ფინანსურმა პოლიციამ გამოავლინა გურჯაანში მცხოვრები ალექსანდრე არევაძეს დანაშაულებრივი საქმიანობა. მას აღურიცხავი ბენზინი "კამაზის" ქვედა მხარეს დამონტაჟებული სპეციალური ავზების საშუალებით გადაჰქონდა, რისი შემჩნევაც ერთი შეხედვით ძნელი იყო. ამ გზით იგი გადასახადებისგან თავის არიდებას ახერხებდა.

*24 საათი*

# გიორგი რამიშვილი სასამართლომ გაათავისუფლა

*უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული გიორგი რამიშვილი საოლქო სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა.*

საერთაშორისო კომპანია "სილქ-როუდ ჯგუფის" გენერალური დირექტორი გიორგი რამიშვილი (რომელსაც თბილისში მეტსახელით – "ზარალა" უფრო იცნობენ), ათიოდე დღის წინათ - 2 მაისს, საკუთარ სახლში დააკავეს. მისი დაკავების ოპერაცია უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს. მათივე განცხადებით, რამიშვილის ბინის ჩხრეკისას, სხვადასხვა სახის რეგისტრირებულ იარაღთან ერთად, არარეგისტრირებული ავტომატი და ხელყუმბარები აღმოაჩინეს. თავად რამიშვილის ახლობლები, რომლებიც მის დაკავებას პოლიტიკურ ძალთა ბიზნეს-ინტერესებს მიაწერდნენ, აცხადებდნენ, რომ ჩხრეკა, რომელიც სამ საათს მიმდინარეობდა, ყოველგვარი წესების დარღვევით ჩატარდა; კერძოდ, ჩხრეკას არ დაასწრეს არც რამიშვილის ოჯახის წევრები, არც მეზობლები და ორი მოწმე, რომელთა დასწრებაც ჩხრეკის კანონიერად ცნობისთვის აუცილებელია, თავად მიიყვანეს.

სამართალდამცველთა ასეთმა ქმედებამ სრულიად საფუძვლიანი გახადა თავად რამიშვილისა და მის დაცვის მტკიცება იმის თაობაზე, რომ იარაღი, რომლის უკანონოდ შენახვასაც გამოძიება ედავება, ჩხრეკის დროს ჩაუდეს.

რამიშვილის ადვოკატი დავით კორკოტაშვილი იმთავითვე ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით ჩატარებული ჩხრეკისას სამართალდამცველთა მიერ ამოღებული იარაღი მისი დაცვის ქვეშ მყოფისა არ იყო. თუმცა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ არც მისი არგუმენტები გაითვალისწინა და არც ორმოცამდე პარლამენტარის მიერ ხელმოწერილი მიმართვა, რომლითაც ისინი თავდებში უდგებოდნენ გიორგი რამიშვილს. მოსამართლემ სარწმუნოდ მიიჩნია პროკურატურის არგუმენტაცია დაკავებულისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის შესახებ და რამიშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა არგუნა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატმა საოლქოში გაასაჩივრა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. თუმცა, საოლქო სასამართლოს მოსამართლისთვის, ადვოკატის შუამდგომლობისა და პარლამენტარების ხელმოწერილი მიმართვის გარდა, რამიშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზად ბრალდებულის მხარის მიერ შეთავაზებული გირაოც გახდა. 200 ათასი ლარი, კანონმდებელთა მხრიდან გამოცხადებულ ნდობასა და ადვოკატის პრეტენზიებთან ერთად, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მოსამართლის იმაში დასარწმუნებლად, რომ გიორგი რამიშვილი გამოძიებისთვის თავის არიდებასა და მიმალვას არ აპირებს.



*გიორგი რამიშვილი.*

მიუხედავად წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებისა, გიორგი რამიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება გრძელდება. საბოლოო ჯამში, თუ გამოძიების მიერ მისთვის წარდგენილი ბრალი – იარაღის უკანონოდ შენახვა - არ დადასტურდა და სასამართლომ რამიშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოიტანა, მაშინ გირაოს სახით გადახდილი თანხა – 200 ათასი ლარი - რამიშვილს უკლებლივ დაუბრუნდება.

*24 საათი*

# იაპონიაში მანქანის გამტაცებლების რუსული მაფია მოქმედებს

სანამ ქართველი სამართალდამცველები გატაცებული მანქანების ცხინვალის რეგიონსა და მეზობელი სომხეთის მიმართულებით გადაყვანის აღკვეთით არიან დაკავებულნი, მათი იაპონელი კოლეგები მსგავსი (თუმცა, გაცილებით ფართომასშტაბიანი) მოღვაწეობით დაკავებულ საერთაშორისო დანაშაულებრივ დაჯგუფებებს საკმაოდ წარმატებით ებრძვიან და ბოლო წლების მანძილზე უკვე არაერთი რუსულ-იაპონური ბანდის არაერთი წევრი დააკავეს. ამჟამადაც იაპონიის ქალაქ იონეძავას საოლქო სასამართლოში მანქანების გატაცებასა და რეალიზაციაზე სპეციალიზებული რუსულ-იაპონური დაჯგუფების სამ რუსი ეროვნების დამნაშავეს ასამართლებენ. ამ ჯგუფში ორი იაპონელიც შედიოდა, რომელთაც მოპარული მანქანების შენახვაში ედებათ ბრალი.

განსასჯელის სკამზე მსხდომი რუსები 20 თებერვალს მოპარულ მანქანაში დააკავეს. დაკითხვების დროს მათ სამი მანქანის გატაცება აღიარეს, თუმცა პოლიცია ეჭვობს, რომ მათ მიერ, სულ ცოტა, ათი მანქანა მაინც უნდა ყოფილიყო გატაცებული. გამოძიებისვე ვარაუდით, მანქანათა ნაწილი კონტრაბანდული გზით რუსეთში გადაჰყავდათ. გამომძიებელთა თქმით, გამტაცებლები ნახმარი მანქანების აუქციონებზე გატანილი მანქანების სათადარიგო გასაღებებს იპარავდნენ, მერე არკვევდნენ, ვინ შეიძინა ესა თუ ის მანქანა და ადვილად იპარავდნენ.

რუსეთის ზემოთ ნახსენები სამი მოქალაქე სწორედ აუქციონზე გაყიდული სამი მანქანის გატაცებისთვის დააკავეს, უკვე აპრილში დააკავეს მათი თანამზრახველიც, 53 წლის იაპონელი, რომელიც ქალაქ კორიამაში ნახმარი ავტომანქანების გაყიდვით იყო დაკავებული. როგორც გამოძიებამ გაარკვია, ის თავის ავტოსადგომზე ინახავდა რუსების მიერ გატაცებულ მანქანებს და მათ გასაყიდად საჭირო დოკუმენტაციითაც უზრუნველყოფდა. საერთოდაც, იაპონელ სამართალდამცველთა მტკიცებით, გამტაცებლებმა მოპარული მანქანების შენახვის მთელი სისტემა შექმნეს, განსაკუთრებით, პორტების სიახლოვეს, საიდანაც ნადავლის რუსეთში ტრანსპორტირებას ახდენდნენ. დაკავებისას სამეულს 850 მანქანის სათადარიგო გასაღები და 111 მანქანის ტექნიკური პასპორტის ასლი აღმოუჩინეს. ასევე გაარკვიეს, რომ მოპარულ მანქანას ჯერ იაპონიის ტექმომსახურების პუნქტებზე უკეთებდნენ რემონტს, შემდეგ კი რუსეთის გზას უყენებდნენ. ძალზე დაზიანებულ მანქანებს კი ნაწილებად შლიდნენ.

დაპატიმრებულთა თქმით, ისინი აუქციონის მიმდინარეობისას უპრობლემოდ იპარავდნენ ნებისმიერი მანქანის სათადარიგო გასაღებს და იწერდნენ სარეგისტრაციო ნომერს. მანქანის გაყიდვის შემდეგ კი ან თავადვე გაყვებოდნენ ახალ მფლობელს და ნახავდნენ, სად დააყენებდა მანქანას, ან ადვილად არკვევდნენ მის მისამართს ადგილობრივ სატრანსპორტო სააგენტოებში სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით.

შარშან ხოკაიდოს კუნძულის პოლიციამ მსგავსი საქმიანობის გამო რუსეთის ორი მოქალაქე სწორედ მოპარული მანქანების რუსეთში გადაყვანის მცდელობისას დააკავა. დაკავებულთაგან ერთ-ერთი გემის "ეფსილონ 1"-ის კაპიტანი, 40 წლის სიმონ იაგაროვი გახლდათ. თებერვალში დაკავებული დაჯგუფებისგან განსხვავებით, იაგაროვი და მისი თანამოაზრეები, ძირითადად, ძვირადღირებულ მანქანებზე "მუშაობდნენ". დაკავებისას მათ ოთხი ახალგატაცებული ავტომანქანა, ნახმარი საბურავების პარტიასთან ერთად, უკვე გემზე ჰყავდათ აყვანილი. გამოძიების ვარაუდით, იაგაროვი მხოლოდ იაპონიიდან რუსეთში გატაცებული ძვირფასი მანქანების გადაყვანაზე არ მუშაობდა, ის უფრო ფართო, საერთაშორისო დანაშაულებრივ ქსელში იყო ჩართული, თუმცა ეს ვარაუდი მათ მტკიცებულებებით ვერ გაამყარეს.

შარშან რუსი გამტაცებლების კიდევ ორი დაჯგუფება დააკავეს: პირველი – რუსეთის სამი მოქალაქე (მათგან ერთი მეზღვაური) სასტუმროს ავტოსადგომიდან ორი "ჰონდას" გატაცებაში დაადანაშაულეს, მეორე – ექვსი რუსისგან შემდგარი დაჯგუფება კი, სამართალდამცველთა ცნობით, ძვირადღირებულ მანქანებს იტაცებდა და რუსეთში გადაჰყავდა.

მოხსენიებულ პატიმრებს სულ 125 მანქანა ჰყავთ გატაცებული, რომელთა საერთო ღირებულება 300 მილიონ იაპონურ იენს, ანუ 3 მილიონ დოლარს შეადგენს.

ასევე ცნობილია, მოპარული მანქანები პორტ ოხანამადან გადაჰყავდათ – ამ პორტში განსაკუთრებით ხშირად შედის რუსული გემები. იაპონელ სამართალდამცველთა ცნობით, იაპონიიდან რუსეთში გადაყვანილ მანქანათა უმეტესობა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში იყიდება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გლდანში შემთხვევით გასროლას 20 წლის ნათია მიქაიას სიცოცხლე შეეწირა. შემთხვევით გასროლილი ტყვიით მძიმედ დაჭრილი გოგონა საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ დაიღუპა. როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში განაცხადეს, გუშინწინ დები - ნათია და ლიკა მიქაიები მეგობრებთან - ლანა და დავით ქებურიებთან იმყოფებოდნენ სტუმრად. დავით ქებურიამ საცხოვრებელი ბინა დროებით დატოვა. ამ დროს გოგონებთან სტუმრად მივიდა მეგობარი შალვა ჩიტორელიძე, რომელსაც იარაღი ჰქონდა. გოგონებმა ჩიტორელიძეს იარაღის დათვალიერება სთხოვეს. როგორც პირველადი მონაცემებით ირკევა, ჩიტორელიძემ იარაღიდან ვაზნები ამოიღო, თუმცა მისი დათვალიერების დროს მოულოდნელად გასროლა მოხდა. შალვა ჩიტორელიძე პროკურატურაში თავად გამოცხადდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაკავებული "კანონიერი ქურდის" გოგი ჩიქოვანის ადვოკატი ბრალდებულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცლის საკითხის სასწრაფო განხილვას მოითხოვს.

როგორც ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, გუშინ მან კარდიოლოგიის ცენტრიდან, სადაც ჩიქოვანი მკურნალობს, დაკავებულის ჯანამრთელობის მდგომარეობის სიმძიმის დამადასტურებელი ცნობა აიღო, რომელსაც საოლქო სასამართლოში დაგეგმილ პროცესზე წარადგენს. ადვოკატის თქმით, პროცესზე აგრეთვე წარდგენილი იქნება ცნობები, რომელთა თანახმად, ჩიქოვანის ჯანმრთლეობის მდგომარეობა უმძიმესია, მას გულის რამდენიმე ოპერაცია აქვს გადატანილი, თირკმელები და დიაბეტი აწუხებს.

"კანონიერი ქურდი" გოგი ჩიქოვანი 9 მაისს, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან აიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ოთხი დაუდგენელი, შეიარაღებული პირი მე-18 ბაგა-ბაღის შენობაში შეიჭრა და იქ დროებით მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი ბიჭიკო ჭუმბურიძის ოჯახს თავს დაესხა. შენობაში შეჭრისთანავე თავდამსხმელებმა ჭუმბურიძის მეუღლე ავტომატიდან გასროლით დაჭრეს და შემდეგ 700 აშშ დოლარი გაიტაცეს. დაჭრილი ინგა ჯეჯელია ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გალი.** ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა და ფხაზურმა მხარეებმა დაადასტურეს ინფორმაცია, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონადან 24 მარტს გატაცებული ტარიელ შონია უკვე გათავისუფლებულია. გარდა ამისა, ოფიციალური სტრუქტურები შონიას გათავისუფლების სანაცვლოდ მისი ოჯახის წევრების მიერ 70 ათასი აშშ დოლარის გადახდის ფაქტს უარყოფენ.

ცნობისთვის: ტარიელ შონია, აფხაზებთან ერთად, ჯართის ბიზნესში მონაწილეობდა. ჯერჯერობით უცნობია, მისცა თუ არა მან ჩვენება ქართველ სამართალდამცავებს.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთი ქართველის, ბუთხუზ ჩერქეზიას გათავისუფლება მოითხოვა. იგი გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან აფხაზებმა 2 მაისს გაიტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ თბილისში დააკავა წყალტუბოს შს სამმართველოს მიერ მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის ძებნილი, არაერთხელ ნასამართლევი, 26 წლის კობა კახიძე, რომელიც ამჟამად პატიმრობაში მყოფ კობა ქუთათელაძესთან, ლევან კაჭარავასთან, გიორგი თათელიშვილთან, გოჩა ჯანელიძესთან და ჯენერ თუთაშვილთან ერთად 2003 წლის 22 დეკემბერს ყაჩაღურად თავს დაესხა წყალტუბოს ზონის სოფელ ჟონეთში მცხოვრებ ელგუჯა ქორიძის ოჯახს, სადაც ოჯახის უფროსი ქორიძე მოკლეს. **მედია-ნიუსი**

# როგორ დავიცვათ ჩვენი შრომითი უფლებები

## შრომა თავისუფალია

*ბოლო ხანს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციას არაერთი თქვენგანის სამსახური შეეწირა? ბევრი, შესაძლოა, თვლით, რომ თქვენი სამსახურიდან დათხოვნა უკანონოდ მოხდა, თუმცა, ამის დადასტურებას ვერ ახერხებთ. ხშირად პრობლემას ის ქმნის, რომ თავის დროზე, როდესაც სამუშაოზე აგიყვანეს, არ იცოდით, რა უფლებებით სარგებლობდით და, შესაბამისად, ვერ გამოიყენეთ ის უფლება, რასაც კანონი განიჭებთ. ან იქნებ შეცდომა დაუშვით და დღეს სწორედ ეს შეცდომა არ გაძლევთ საშუალებას, დაიცვათ თქვენი შელახული უფლებები? ჩვენი დღევანდელი სტატიის უმთავრესი მიზანია, მოგაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა უფლებებით სარგებლობთ საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებისას, რა წესებს ითვალისწინებს კანონმდებლობა სამსახურში პირის მისაღებად, რა უნდა გაითვალისწინოთ სამუშაოს ძებნისას და, ასევე, დაგანახოთ განსხვავება საჯარო სამსახურში მყოფი პირების სამსახურში მიღების წესებსა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციაში მისაღებად არსებულ პირობებს შორის.*

სახელმწიფოს ძირითადი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია - ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო სამსახურში მუშაობისა და ზოგადად, შრომის უფლების განხორციელების შესაძლებლობას. სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლებას, უპირველესად, კონსტიტუციის 29-ე მუხლი აღიარებს: "საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით". პირველი პირობა სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დასაწყებად გახლავთ საქართველოს მოქალაქეობა. თუ ეს პირობა სახეზეა, მაშინ უნდა დავაკმაყოფილოთ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომელსაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი ადგენს.

კონსტიტუციის 30-ე მუხლით, "შრომა თავისუფალია. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით". მოყვანილი მუხლით აღიარებული შრომის თავისუფლება ნებისმიერ თქვენგანს განიჭებთ უფლებას, მოიპოვოთ სამსახური და შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, განახორციელოთ საკუთარი შრომითი უფლება, ანუ მოიპოვოთ სამსახური საკუთარი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, ისარგებლოთ შრომის ჯანსაღი პირობებით და ა.შ.

კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში საჯარო სამსახურში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი აწესრიგებს თქვენი სახელმწიფო სამსახურში მიღებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს.

## საჯარო მოსამსახურე

საჯარო მოსამსახურე - ეს გახლავთ **საქართველოს მოქალაქე, რომელიც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით დადგენილი წესითა და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.**

არსებობს საჯარო მოსამსახურის ოთხი კატეგორია:

- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- მოხელე;
- დამხმარე მოსამსახურე;
- შტატგარეშე მოსამსახურე.

მოცემული საჯარო მოსამსახურეების კლასიფიკაციიდან მოხელეები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი, რომლებიც ინიშნებიან ან აირჩევიან სახაზინო დაწესებულების სახელმწიფო მოხელეებად, საშტატო თანამდებობაზე და მეორენი - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები. პირველი კატეგორიის პირები სამსახურში 21 წლის ასაკიდან მიიღებიან, ხოლო მეორენი - 18 წლის ასაკიდან.

დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. რაც შეეხება შტატგარეშე მოსამსახურეს, ეს არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება გარკვეული ვადით სამსახურში არამუდმივი საქმის შესასრულებლად.

## სამუშაოზე მიღების წესი

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად უნდა აკმაყოფილებდეთ მთელ რიგ მოთხოვნებს. პირველ რიგში, თქვენ:

- არ უნდა იყოთ ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის;
- არ უნდა იმყოფებოდეთ წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ უნდა იყოთ ცნობილი ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;
- არ უნდა გქონდეთ სასამართლოს მიერ ჩამორთმეული შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- სამედიცინო დასკვნის თანახმად, თქვენი ჯანმრთელობა უნდა აკმაყოფილებდეს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- თანამდებობის დაკავების შედეგად, უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით არ უნდა უკავშირდებოდეთ მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;
- არ უნდა იყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

მოცემული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

- წერილობითი განცხადება;
- ავტობიოგრაფია;
- ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ასეთის არსებობის შემთხვევაში, უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
- ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან;
- სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
- სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

**გახსოვდეთ: იმ შემთხვევაში, თუ ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებს არ წარადგენთ, ეს შეიძლება გახდეს თქვენთვის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.**

საჯარო სამსახურში თქვენი მიღება ფორმდება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის, ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილი მოხელის მიერ ბრძანებით (განკარგულებით ან დადგენილებით).

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი არ ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების დადებას. თუმცა, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზეც ვრცელდება და ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება სხვა შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, საჯარო მოსამსახურის სამსახურში მიღებისას "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი არ არეგულირებს შრომის ხელშეკრულების დადების საკითხებს და აღნიშნულს "შრომის კანონთა კოდექსით" დარეგულირებულ ურთიერთობათა სფეროში გადავყავართ. სანამ უშუალოდ შრომის ხელშეკრულების განხილვაზე გადავიდოდეთ, სასურველია, იცოდეთ, თუ რა წესებს ადგენს "შრომის კანონთა კოდექსი" პირის სამუშაოზე მისაღებად.

**შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, სამუშაოზე მიღებისას არ შეიძლება გეთქვათ დაუსაბუთებელი უარი. აგრეთვე, დაუშვებელია ადამიანის უფლებათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.**

სამუშაოზე თქვენი მიღება ხდება:

- განუსაზღვრელი ვადით;
- განსაზღვრული ვადით;
- გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

სამუშაოზე მისაღებად უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი;
- შრომის წიგნაკი ან ცნობა ადრინდელი საქმიანობის შესახებ;
- განათლების დამადასტურებელი საბუთი;
- სამხედრო ბილეთი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუ ამას ითვალისწინებს სამსახურის სპეციფიკა.

ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ თქვენსა და ადმინისტრაციას შორის იდება შრომის ხელშეკრულება, რაც შემდეგ ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით) უნდა გაფორმდეს. თუ ბრძანება ან განკარგულება არ გაიცა, მაგრამ თქვენ ფაქტიურად დაშვებული ხართ სამუშაოზე იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება აქვს, შრომის ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად და, შესაბამისად, თქვენ - სამუშაოზე მიღებულად.

## გამოსაცდელი ვადა

პირის სამუშაოზე მიღებისას "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი და "შრომის კანონთა კოდექსი" აწესებს გამოსაცდელ ვადას, რათა დამქირავებელმა (სამუშაოს მიმცემმა) ამ პერიოდში სრულყოფილად შეაფასოს თქვენი შესაძლებლობები და განსაზღვროს, შეეფერებით თუ არა დაკავებულ თანამდებობას ან რამდენად კვალიფიციური ხართ მოცემული სამუშაოს შესასრულებლად და ა.შ.

**გახსოვდეთ: საგამოცდო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს.**

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება, თუ:

- ხართ პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელე;
- ხართ პარლამენტის მიერ არჩეული ან დანიშნული მოხელე;
- ხართ თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელე;
- თანამდებობას იკავებთ სამსახურებრივი წინსვლისას;
- დროებით არ იმყოფებით სამსახურში.

"შრომის კანონთა კოდექსის" თანახმად გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება, თუ:

- არ შეგსრულებიათ 18 წელი;
- თქვენივე თანხმობით გადაჰყავხართ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან სამუშაოდ გაგზავნიან ტერიტორიულად სხვა ადგილას.

**გამოსაცდელი ვადა ითვლება შრომის საერთო და უწყვეტ სტაჟში და ამ ვადით მყოფი პირის მიმართ ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.**

## შრომის ხელშეკრულება

შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და თქვენს შორის, რომლითაც ერთი მხარე - ადმინისტრაცია - ვალდებულებას იღებს, უზრუნველგყოთ შრომის სათანადო პირობებით, გადაგიხადოთ ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე, ანუ თქვენ ვალდებულებას იღებთ, შეასრულოთ გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვათ შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოთ შრომის შინაგანაწესს.

ეს არის შრომის ხელშეკრულების ზოგადი განმარტება. ადმინისტრაცია ხელშეკრულებას უფორმებს ინდივიდუალურად ყველა მუშაკს. აღნიშნული კი, მხარეებს უფლებას აძლევს, კანონმდებლობის ფარგლებში თითოეულ ხელშეკრულებაში ჩადონ ის პირობები, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია და რომელიმე მხარეს არ აყენებდეს დომინირებულ მდგომარეობაში.

იმისათვის, რომ არ იქნეთ შეცდომაში შეყვანილი და არ გაგიფორმონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც თქვენს ინტერესებსა და მოთხოვნილებებს არ შეესაბამება, საჭიროა, წინასწარ ზუსტად გაარკვიოთ, თუ რა სამუშაო გსურთ თქვენ და რას გთავაზობთ დამქირავებელი, ასევე, რა ვადით გიღებენ სამსახურში და, რაც მთავარია, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. შემდგომ ეტაპზე ხელშეკრულება დეტალურად უნდა განიხილოთ და, თუ ეთანხმებით შემოთავაზებულ პირობებს, მოაწეროთ ხელი.

**გახსოვდეთ:**

**ხელშეკრულება უნდა შედგეს ორ, თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარჩება დამქირავებელს, მეორე კი გადმოგეცემათ თქვენ.**

**ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე აუცილებლად გაეცანით მას, თორემ დავის წარმოშობის შემთხვევაში, თქვენ ველარ დაამტკიცებთ იმას, რომ ხელშეკრულებას არ გაცნობიხართ, რადგან თქვენი ნება თქვენივე ხელმოწერით გექნებათ დადასტურებული.**

უმთავრესი, რაც შრომის ხელშეკრულების დადებისას უნდა გახსოვდეთ, არის კანონმდებლობით დადგენილი მინიმუმის გათვალისწინება. ქვემოთ მოყვანილია შრომის ხელშეკრულების ნიმუში. მოცემული რეკვიზიტების შესაბამისად, ორივე მხარეს შეგიძლიათ, ხელშეკრულებაში ჩადოთ ის პირობები, რაც თქვენი ინტერესების შესატყვისი იქნება. კონტრაქტის უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მხარეებს დეტალურად შეგიძლიათ თქვენი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. ეს გაცილებით უფრო გაადვილებს თქვენსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობას.

**შრომის ხელშეკრულების ნიმუში:**

**შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი)**

**ქ. თბილისი წელი, თვე, რიცხვი**

**ერთი მხრივ, - ორგანიზაციის დასახელება, - მისი თავმჯდომარის, X სახით (შემდგომში "დამქირავებელი") და მეორე მხრივ, მოქალაქე V (შემდგომში "შემსრულებელი"), მცხოვრები .....**

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

### ხელშეკრულების საგანი

1. დამქირავებელს აჰყავს შემსრულებელი დაწესებულებაში ამა და ამ თანამდებობაზე გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად.

**მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

**2. დაწესებულების დებულებითა და შინა განაწესით, დამქირავებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს შემსრულებელი შრომის სათანადო და უსაფრთხო პირობებით;
ბ) გადაუხადოს ხელფასი შეთანხმებული ოდენობით;
გ) მისცეს მუშაკს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიური შვებულება;
დ) აუნაზღაუროს შემსრულებელს პროფესიული საქმიანობისას მიყენებული ზიანი;

**დამქირავებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსრულებელს:**

ა) შრომის შინაგანაწესის დაცვა;
ბ) სამუშაოს მაღალკვალიფიციურად და სათანადო დროს შესრულება;

**შემსრულებელი ვალდებულია:**

ა) დაიცვას დაწესებულებაში არსებული შრომის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს თავისი სამუშაო მაღალკვალიფიციურად და დადგენილ დროს;
გ) იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ.

**შემსრულებელს უფლება აქვს:**

ა) მოსთხოვოს დამქირავებელს შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნა;
ბ) მოსთხოვოს დამქირავებელს ხელფასი შეთანხმებული ოდენობით და შეთანხმებულ დროს;
გ) ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### სამუშაო დრო

3. შემსრულებლის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 5 (ხუთი) სამუშაო დღით 10:00-დან 18:00 სთ-მდე, ერთი საათი შესვენებით (14:00-15:00). სამუშაო დღე შეიძლება შეიცვალოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაკუთრებულ დღეებში.

### შრომის ანაზღაურება

ა) დამქირავებელი შემსრულებელს შესრულებული სამუშაოსთვის გადაუხდის ხელფასის სახით თვეში X ლარს.
ბ) ხელფასის გაცემა ხორციელდება ყოველი თვის ბოლო კვირას.

### მხარეთა პასუხისმგებლობა

ა) მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისათვის, თუ იგი დაუძლეველი ძალით არ იყო გამოწვეული;
ბ) მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ურთიერთმოლაპარაკებით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს.

### ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში.

7. ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება დროებით შეჩერდეს, თუ არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხელისშემშლელი პირობები.

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, ან რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*დამქირავებელი ორანიზაციის*
*შემსრულებლის ხელმოწერა*
*დასახელება და ხელმძღვანელის ხელმოწერა*

**თუ თქვენ მონაწილეობდით განათლების სამინისტროს ან განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებულ ტენდერში და მიგაჩნიათ, რომ ამ უწყებების მიერ თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა,**
გთხოვთ, მობრძანდეთ
**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში**
შემდეგ მისამართზე: კრილოვის ქ. 15
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 822 93 61 01;
822 95 80 33 (იკითხეთ ეკა ფოფხაძე)

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ,
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის
IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

# მესამე - კულტურული რევოლუცია

მაია ჭალაგანიძე

*12 წლის წინ, როდესაც დამოუკიდებლები ვხდებოდით, მაშინდელი ხელისუფლება ქვეყნის რჩენას ტურიზმით, კულტურის ექსპორტით, ჩაითა და ბორჯომით აპირებდა. ბორჯომში დღეს ნავთობსადენი გადის, ქართული ჩაი აღარ არსებობს და ტურისტებსაც მაინცდამაინც არ სურდათ არასტაბილური ქვეყნის განახევრებულ პლაჟებზე ნებივრობა. ამიტომაც, დღეს თავიდან გვიწევს დაწყება. საიდან უნდა დაიწყოს ჩვენი განვითარებისა და კულტურული ტრადიციების ქვეყანამ? როგორ უნდა მიესადაგოს კულტურული მემკვიდრეობა დღევანდელობას? რა განსაზღვრავს ქვეყნის ისეთ კულტურულ პოლიტიკას, რაც მსოფლიო კულტურის ნაწილად გაგვხდის?*
*ამ შეკითხვებს შეიძლება უპასუხოს ამერიკელმა ექსპერტმა ჯეროლდ დ. კაპელმა, ვაშინგტონის მუზეუმების ასოციაციის დირექტორმა განვითარების დარგში. კაპელს არამომგებიანი სახელოვნებო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს. მუშაობდა ფინანსების მოზიდვის ეთიკური მეთოდების შესასწავლად შექმნილ კომისიაში, რომელმაც მუზეუმებისთვის გაწეული ინდივიდუალური და ბიზნეს მხარდაჭერისთვის შეიმუშავა და განავითარა ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები; აგრეთვე გახლდათ ეთიკისა და პროფესიული განათლების კომისიების წევრი ფონდების მოზიდვის პროფესიონალთა ასოციაციაში.*



*ჯეროლდ დ. კაპელი*

> კულტურული ორგანიზაციები თავის მოღვაწეობაში რაც უფრო მეტად ჩართავენ საზოგადოებას, უფრო მეტი ძალაუფლება ექნებათ მთავრობაზე.

> თუ საზოგადოება უკეთესი საქართველოს მხარდასაჭერად განეწყობა, თუ ყველა ერთობლივად იმუშავებს, რათა საერთო საქმეს მოემსახუროს, 10 წლის შემდეგ გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნება.

> საქართველოს ძალზე ღრმა ფესვები აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფესვებზე აღმოცენებული თანამედროვე კულტურის ტოტები ძლიერი იქნება.

> როდესაც სხვა ხალხებს საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მიეცემათ, ნამდვილად შეუყვარდებათ ეს ქვეყანა, ოღონდ... თუ მძღოლებს გადაურჩნენ.

**- რატომ საქართველო?**

- საქართველოში უამრავი კულტურული ორგანიზაციაა. აქ სწორედ მათ დასახმარებლად ჩამოვედი. თქვენს ქვეყანას მდიდარი და საინტერესო კულტურა აქვს. აქ ერთად არის თავმოყრილი უძველესი და თანამედროვე კულტურა.

კულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც კულტურაზე ზრუნავენ, ძირითადი სირთულეები უნდა გადალახონ და დღევანდელი ცვლილებებიც გაიაზრონ. ისინი კონტროლირებად საბჭოთა კულტურის ჩარჩოებიდან უნდა გავიდნენ. საბჭოთა დროს კულტურა დაფინანსებული იყო, მაგრამ გარკვეულ იდეოლოგიას ემსახურებოდა. ამიტომაც ინიციატივები თითქმის არ არსებობდა. შემდეგ, 90-იან წლებში, ეს საშინელი და დამანგრეველი სამოქალაქო ომი გაჩაღდა, მაგრამ იმ დროიდან უკვე გამოჩნდა, რომ ხელოვანებს საკუთარი ინიციატივების გამოხატვა სურდათ. დღევანდელ დღეს საქართველო მთლიანად საბაზრო ეკონომიკაშია ჩართული და სახელოვნებო ორგანიზაციებიც ფეხს უწყობენ ამ პროცესს. ასეთ ვითარებაში ეს ორგანიზაციები ანტრეპრენიორებივით უნდა იქცეოდნენ.

**- როგორც ჩანს, თქვენთვის ცნობილია ის პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, რაც საქართველომ უკანასკნელ ათწლეულში განიცადა. როგორ გგონიათ, ასეთივე სიხშირით უნდა იცვლებოდეს ქვეყნის კულტურული პრიორიტეტები და მიმართულებები?**

- დიახ. სახელოვნებო და კულტურული ორგანიზაციები უფრო მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული საზოგადოებასთან. ისინი უნდა შეეცადონ, რომ ერთობლივი ხმა მიაწვდინონ მთავრობას, ბიზნესმენებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამგვარი გაერთიანება იქნება პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი ამ კოლექტიური ხმის შეკრებისა. ჩემი როლი კლასიკური სტრატეგიული დაგეგმარების განვითარებაში დახმარებაა.

**- არტმენეჯმენტი საქართველოში ახალი დარგია. გაეცანით ამ პროფესიის ადამიანებს?**

- დღეს ამ ახალი დარგის წარმომადგენლები, ძირითადად, საკუთარ თავზე აკეთებენ ფოკუსირებას. ამ დარგის განვითარებისთვის, რა თქმა უნდა, ახალი უნარ-ჩვევების შეძენაა აუცილებელი. საბოლოოდ, არტმენეჯმენტმა უფრო მეტი ფოკუსირება საზოგადოებაზე, მისთვის მსახურებაზე უნდა გააკეთოს.

**- ფულის მოძიების ეთიკური მეთოდების მიმდევარი ბრძანდებით. რას ნიშნავს ეს?**

- ვარ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნებისა და კულტურის ფონდის მოხალისე კონსულტანტი. ფონდს, დაახლოებით, ოცდახუთამდე მოხალისე კონსულტანტი ჰყავს. ჩვენ ნამყოფი ვართ მინსკში, ომსკში, პოლონეთში. ახლა რიგი სამუშაოების ჩატარებას სერბეთში, ხორვატიაში და პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებში ვაპირებთ. ჩვენი მიზანია, ამ ქვეყნების სახელოვნებო წრეებს გავუზიაროთ იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა ჩაებან საბაზრო ეკონომიკაში და როგორ უნდა მოემსახურონ საზოგადოებას.

**- ისეთი უძველესი კულტურისა და ეკონომიკური დონის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რა იქნება ექსპერტის მთავარი რეკომენდაცია?**

- ვფიქრობ, რომ უკანასკნელ წლებში შექმნილმა პრობლემებმა ხალხი ხელოვნებისა და კულტურის დარგებს დააშორა. როდესაც გშია, ყველგან და ყოველთვის რთულია ხელოვნებაზე ფიქრი. სიტუაცია თანდათან სტაბილური ხდება. პოლიტიკურმა და ბიზნესლიდერებმა საზოგადოების განვითარებაზე უნდა იზრუნონ. თქვენ ნამდვილად გჭირდებათ ძლიერი და მოქმედი კულტურული საზოგადოება. საჭიროა საშემსრულებლო ხელოვნების, პოეზიის, მუზეუმების, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, რადგან მათ აქვთ სპეციფიკური და კარგი გზა ხალხის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

**- სად დევს ის ფული, რომელიც კულტურამ სახელმწიფოს გარეშე უნდა მოიძიოს?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პირველ რიგში არის საჭირო, მოხალისეებია, რომლებიც კულტურას დაუდგებიან მხარში. კულტურული ორგანიზაციები თავის მოღვაწეობაში რაც უფრო მეტად ჩართავენ საზოგადოებას, უფრო მეტი ძალაუფლება ექნებათ მთავრობაზე. აღარ იქნება, ვთქვათ, მუზეუმი, რომელიც დახმარებას ითხოვს. საზოგადოებას შეეძლება, მთავრობას ხელოვნებისა და კულტურის მხარში დგომა უბრძანოს.

ყველზე ცუდი ის არის, რომ სახელმწიფოს დახმარება არასდროს იქნება საკმარისი ყველა იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოებას გაუჩნდება. რაც უფრო მდიდარი იქნება საქართველო, მით უფრო მეტი მოუნდებათ კულტურულ ორგანიზაციებს. იგივე ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, არავითარი განსხვავება - იქაც თვალები უფრო წინ იხედება, ვიდრე სტომაქი.

**- ჩვენ სულ ახლახან ორი რევოლუცია გადავიტანეთ. რაც თქვით, ერთგვარად რევოლუციური შინაარსის არის. ფიქრობთ, რომ საზოგადოებას ამ მესამე, კულტურული რევოლუციის ძალაც გააჩნია?**

- მოთმინება უნდა გაგვაჩნდეს. გაიხსენეთ, სად და როგორ იყავით სულ რაღაც ათიოდე წლის წინ. მართალია, დღეს იდეალური ვითარება არ არის, მაგრამ იმაზე გაცილებით უკეთესია, რაც მაშინ იყო. თუ საზოგადოება უკეთესი საქართველოს მხარდასაჭერად განეწყობა, თუ ყველა ერთობლივად იმუშავებს, რათა საერთო საქმეს მოემსახუროს, 10 წლის შემდეგ გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნება. მუზეუმებში ჩამონგრეული ჭერი და აყრილი იატაკი მართლაც მტკივნეული სანახავია და აღშფოთებას იწვევს, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების იმედი აუცილებლად უნდა იქონიოთ.

**- რას უწოდებთ ფულის მოზიდვის ეთიკურ მეთოდებს?**

- თავად ვარ ფულის მომძიებელი, ეს არის ჩემი დანიშნულება. უამრავ ისეთ კომისიაში მიმუშავია, სადაც ამგვარი ფულის მოძიებას ემსახურებიან. ამ საქმეში ძირითადი კრედო შემდეგია: შენ უნდა იყო პატიოსანი და გაკეთებული საქმე - გამჭვირვალე. როცა იტყვი, რომ რაიმე გაქვს გასაკეთებელი, მართლაც უნდა გააკეთო. უნდა იყო პირნათელი და გულწრფელი შენს დონორებთან. მოზიდული ფული დიდ სიკეთეს უნდა მოხმარდეს და არა ერთეულ პიროვნებებს, საზოგადო კეთილდღეობას და არა საკუთარ ჯიბეს.

**- არამომგებიანი ის ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ მაღალი დონის ხელოვნებას ემსახურება?**

- ნებისმიერ ორგანიზაციას, ძალიან პატარა იქნება ის თუ დიდი, შეუძლია ემსახუროს საზოგადოებას. სწორედ ეს ხდის მას ფასეულს. თუ საკითხს სწორედ ასე მივუდგებით, დიდ ორკესტრსაც და რომელიმე რეგიონის ფოლკლორულ მუსიკის პატარა ჯგუფს ერთნაირი ფასი აქვს. ხელოვნების განვითარებისა და ხალხის სამსახურში დგომა ორივე ამ კოლექტივს ერთნაირად განსაკუთრებულს ხდის.

**- უძველესი კულტურა საკმარისია იმისთვის, რომ თანამედროვე მსოფლიო კულტურაშიც ჩავეწეროთ?**

- თანამედროვე მუსიკა, თანამედროვე ხელოვნება ყველაზე კარგი მაშინ ხდება, როდესაც საკუთარი ქვეყნის უძველეს კულტურულ ტრადიციებს გააანალიზებს. როკის საუკეთესო მუსიკოსები ძალიან ხშირად კლასიკურ მუსიკას სწავლობენ; ამერიკის ცნობილი რეპმენების ფესვები ბლუზიდან, ჯაზიდან და პოეზიიდან მოდის. ასე რომ, უძველესი კულტურა ერის თანამედროვე კულტურას მხოლოდ ამდიდრებს. უნდა ვიზრუნოთ, რათა ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ტრადიციები იცოდნენ. ადრეულ ასაკში, შეიძლება, იმას ვერ მიხვდნენ, რომ ეს სწორედ ის ფესვებია, რაც მათ ძალას აძლევს, მაგრამ დადგება დრო და უკვე ასაკში შესულები მიხვდებიან, რომ საქართველოს ძალზე ღრმა ფესვები აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფესვებზე აღმოცენებული თანამედროვე კულტურის ტოტები ძლიერი იქნება.

**- ძველი თბილისი მოინახულეთ, რა წაიკითხეთ იმ უბნებში?**

- თბილისში თავს ძალზე კომფორტულად და სასურველად ვგრძნობ. მთლიანად მოცული ვარ ძველი კულტურითა და მონუმენტებით. უამრავი რამ არის ისეთი, რაც შეიძლება დაინახო და გაითავისო. ამერიკაში ძალიან ხშირად ანგრევენ ძველ ნაგებობებს. შარდენის ქუჩის ორივე მხარეს უძველესი შენობებია. ისინი განახლებას და შეკეთებას საჭიროებენ. ეს შენობები ამ ქუჩისთვის არის ღუზა, ისტორიის საყრდენი. თითქმის ყველა ქუჩა, რომელიც იქ გავიარე, უნიკალური და განსაკუთრებულია. როდესაც სხვა ხალხებს საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მიეცემათ, ნამდვილად შეუყვარდებათ ეს ქვეყანა, ოღონდ... თუ მძღოლებს გადაურჩნენ.

**- რა არის ის, რაც დაგანახებთ, რომ საქართველოში თქვენ მიერ ჩატარებულმა სემინარმა შედეგი გამოიღო?**

- იმედი მაქვს, რომ შედეგები კარგი იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი დამოკიდებულია სწორედ იმ ხალხზე, ვინც ამ პროექტშია ჩართული. მთელი ძალით ვიმუშავებ და ჩემს გამოცდილებას მთლიანად გავუზიარებ, მაგრამ დღეიდან ეს უკვე მათი საქმე, მათი სამუშაოა.

**- გუროვისა და ხელოვნების ნიმუშების საქართველოდან გამოსაფენად გატანის სკანდალზე რა აზრის ბრძანდებით?**

- მესმის, რომ პატრიარქმა ამ სიძველეების გატანა იმიტომ არ დაუშვა, რომ შიშობდა, ეს საგანძური უკან აღარ დაბრუნდებოდა, ამ მემკვიდრეობის დაკარგვის შიში ჰქონდა. გამოსაფენად გასატანი ზოგიერთი საგანი ძალზე ღრმა, რელიგიური მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ, რაც უფრო მეტს ისწავლის მსოფლიო საქართველოს შესახებ (და არა მხოლოდ მის თანამედროვე პრობლემებზე), მის უძველეს კულტურასა და ტრადიციებზე, რომელიც რელიგიურ კულტურას და ამ კულტურის ხელოვნებასაც მოიცავს, უფრო კარგად გაიცნობენ ხალხს, ქართულ კულტურას. უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს საგნები მსოფლიოს ვაჩვენოთ. ეს არის ხალხის მოზიდვის უდიდესი შესაძლებლობა. როდესაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა ამ მშვენიერ ხელოვნებასა და კულტურას დაინახავს, შეეცდებიან, რომ ჩამოიყვანონ და საკუთარი თვალით იხილონ ეს ყველაფერი.

საჩუქრის ახალი ფორმა!
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991




# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საქართველო სახელმწიფო კამერული ორკესტრი
დირიჟორი - ჰოგატ ერლი (აშშ)
პროგრამაშია: ჩედვიქი, რესპიგი, სკორიკი, გაბუნია
დას: 19:00 სთ.

## თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
შვარცის მიხედვით
"ჩვეულებრივი სასწაული"
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"ვან ჰელსინგი"
დას: 12:00; 14:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ბინძური ცეკვები 2"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"ვნების მუდმივი ნათება"
დას: 16:00; 18:00 სთ.

**კინოს სახლი**
"შუაღამის ექსპრესი"
რეჟისორი: ალან პარკერი
დას: 18:00 სთ.

## გამოფენა

**ძველი გალერეა**
იაკობ ჯულაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "საფეხურები"

**"ქარვასლა"**
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
სკოლა-კოპლექს "სადუნთან" არსებული შემოქმედებითი სახელოსნოს მოსწავლეთა საქველმოქმედო გამოფენა

**პრეზენტაციები**
**მაღაზია "პარნასი"**
გივი ალხაზიშვილის წერილებისა და ესეების კრებულის პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

## დისკოთეკები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22:00 სთ
ფასი: ბიჭებისთვის - 20 ლარი
გოგონებისთვის - უფასო

**სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში**
კომპანია "შედოუქეთი" აწყობს წვეულებას
University Party
მონაწილეობენ დი-ჯეები: Cache, Crazy, Edgar Sebis, Dark & Fishbone
დას: 21:00 სთ
(დასწრების მსურველებმა უნდა დარეკონ: 34 21 18)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**პარასკევს,** 14 მაისს, 17 საათზე ზაზა შათირიშვილის წიგნის - "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" (გამომცემლობა "ლოგოს-პრესი") პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

### 23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# მოსკოვი მეგობრებს ხვდება

## ქართველი ბავშვები სპივაკოვის ფესტივალზე მიემგზავრებიან

ნანა კობაიძე

14-22 მაისის ჩათვლით მოსკოვში იმართება ფესტივალი სახელწოდებით "მოსკოვი ხვდება მეგობრებს." მისი ორგანიზატორია გამოჩენილი მუსიკოსის ვლადიმირ სპივაკოვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომელიც წელს 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამას ემატება კიდევ ორი თარიღი - სპივაკოვის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი. ფონდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სამმაგი იუბილე გრანდიოზულად აღენიშნა და დირექტორის, კატერინა შირმანის ძალისხმევით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ნიჭიერი ახალგაზრდები შეეკრიბა.

ასეთი მასშტაბური ფესტივალი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად იმართება. იგი ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის (მათ შორის, კონფლიქტების ზონებიდანაც) 700-მდე მონაწილეს უმასპინძლებს. ფესტივალის დეტალებზე და მის ქართველ მონაწილეებზე საქართველოში ფონდის ოფიციალურ წარმომადგენელს, მუსიკისმცოდნე თამარ ქერეჭაშვილს ვესაუბრეთ.

იმის მიუხედავად, რომ ფონდი, ძირითადად, კლასიკურ მუსიკას და მხატვრობას მფარველობს, გადაწყვიტეს, საიუბილეო ფესტივალი ჟანრობრივად მრავალფეროვანი გაეხადათ. ამიტომ, პროგრამას სხვადასხვა ჟანრები, მათ შორის, ლიტერატურა, ესტრადა და სხვა... დაუმატეს. ქართველ მონაწილეთა შერჩევა შემოდგომაზე დაიწყო. ნიჭიერი ბავშვების მოძებნა განსაკუთრებულად არ გართულებულა (საბედნიეროდ, ასეთები საქართველოში ბევრია). ორგანიზატორებს დახმარება თბილისის კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა და ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის დირექტორმა, გივი ხატიაშვილმა გაუწიეს. შერჩეულ 35 მონაწილეს მოსკოვში სპეციალური კომისია ელოდა, რომელსაც მათი რაოდენობა უნდა გაეცხრილა. მოხდა საინტერესო ფაქტი - "ჟიურის" არც ერთი მონაწილე არ დაუწუნებია. თუმცა, ვინაიდან პრიორიტეტი ანსამბლურ შესრულებას ენიჭებოდა, საბოლოოდ 17 შემსრულებელი დატოვეს, დანარჩენები მომავალი საკონცერტო სეზონისთვის "შემოინახეს".

ფესტივალის საკონცერტო გრაფიკი მოსკოვის 5 პრესტიჟულ დარბაზს მოიცავს და ქართველ ბავშვებს საშუალება მიეცათ, თითოეულ მათგანში წარმოაჩინონ შესაძლებლობები. ფონდის თანამშრომლები აღფრთოვანებულები იყვნენ ჩვენი მონაწილეების ნიჭიერებით, რომლებიც, ზედმეტი ჩარევის გარეშეც, იკვალავდნენ გზას. ამას მიზანმიმართულად შერჩეული საკონცერტო პროგრამაც განაპირობებდა.



*ვლადიმირ სპივაკოვი*

ქართველი ორგანიზატორების მიზანი - თავი დაამახსოვრონ მსმენელს, თავისთავად, რთული მისიაა. ამიტომ, გადაწყდა, სხვებისგან განსხვავებული რეპერტუარი შეერჩიათ, რაც გულისხმობდა არასტანდარტულ, დაშტამპულ პროგრამაზე უარის თქმას. ასე ჩამოყალიბდა ოთხი ვიოლინოსა და ერთი ფორტეპიანოს ანსამბლი (ვიოლინოები - ვანიკო ქობულაშვილი, კოკა ნიკოლაძე, ია დავითაშვილი, ნათია გუგულაშვილი, პიანისტი - ალიკო ვასაძე). ისინი შეასრულებენ ჯაზურ კომპოზიციებს ფროლოვის ინტერპრეტაციით. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს უკვე ცნობილი პატარა პიანისტი ირმა გიგანი, დების - ანა და სოფიკო ცარციძეების ვოკალური დუეტი. გარდა ამისა, თავად სპივაკოვმა მოითხოვა მარიანა აჩბა (იგი ამ ფონდის სტიპენდიანტია), რომელიც ფესტივალის გახსნაზე კამერულ ორკესტრ "მოსკოვის ვირტუოზებთან" ერთად დაუკრავს. ფესტივალში მონაწილეობას იღებს სპივაკოვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის კიდევ ორი სტიპენდიანტი: ლუკა ოქროსცვარიძე და სოფიკო სიმსივე. მოსამზადებელ პერიოდში მოხდა კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი - პიანისტმა ანა გოგავამ, რომელსაც დუეტში უნდა დაეკრა, იმ დროს, როდესაც პროგრამებს ამტკიცებდნენ, ხარკოვში, კრაინევის კონკურსში გაიმარჯვა. ამიტომ, ამ ფესტივალზე მექანიკურად ჩაჯდა სოლო ნომრით.

ორგანიზატორთა მოთხოვნით, გახსნაზე თითოეულ ქვეყანას თავისი "სავიზიტო ბარათი" უნდა წარედგინა. აქცენტი ფოლკლორზე გაკეთდა და არჩევანი, კომისიის გადაწყვეტილებით, ფოლკლორულ ანსამბლ "მართვეზე" შეჩერდა. მეორე კოლექტივის - ჯანსუღ კახიძის სახელობის ბიჭუნათა გუნდის გამოსვლა მომავალი საკონცერტო სეზონისთვის გადაიტანეს. ეს გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ რაოდენობრივად დიდ შემადგენლობასთან ჰქონდათ საქმე და არჩევანი რომელიმე ერთზე უნდა გაკეთებულიყო. ვინაიდან გახსნა ფოკლორის ჟანრით შემოიფარგლა, "მართვეს" მიმართ უპირატესობაც სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდა.

ფესტივალზე მონაწილეობას იღებენ საესტრადო ხელოვნების ახალგაზრდა შემსრულებლებიც: მარიამ როინიშვილი და ნატალია ქუთათელაძე, ზუკა ხუციშვილი და გვანცა ზაქარეიშვილი. აქაც ერთი საგულისხმო მომენტია - საქმე ის გახლავთ, რომ სპივაკოვის ფონდი ესტრადას არ მფარველობს, ამიტომ რეპერტუარი კლასიკოსი ქართველი კომპოზიტორების - სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის სიმღერებით დაკომპლექტდა, რომელთა არანჟირება ნიკა მემანიშვილს ეკუთვნის. მან დიდი დახმარება გაუწია ბავშვებს და მათთან ერთად მიემგზავრება ფესტივალზე. ნიკა დუნაევსკის ცნობილი სიმღერის Подмосковные вечера-ს არანჟირების ავტორიც გახლავთ, რომელსაც საკონცერტო დარბაზ Россия-ში შეასრულებს ქართული საესტრადო ოთხეული. ამ ბავშვების "ვოკალური კვარტეტის" შექმნის იდეა ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს ეკუთვნის.

როგორც უკვე გითხარით, წლევანდელ ფესტივალზე მხატვრები და ლიტერატორებიც მონაწილეობენ. პირველად სპივაკოვის ფონდში წარმოდგენილი იქნება ფოტოგრაფიის ჟანრი (გ. თათარაშვილი), კერამიკა (ლ. კობერიძე), ბატიკა და თექა (ნ. ჭაბუკიანი და თ. შავერდაშვილი), ფერწერას კი გამოფენენ - ქ. გვახარია, გ. შავდია, გ. ტაბატაძე. მარი გვახარიას შემოქმედება ფონდისთვის კარგადაა ცნობილი. მისი "მოცარტი" (რომელიც მან ოთხი წლის ასაკში დახატა) ფონდის რელიზზე და სპეციალურად გამოშვებულ კალენდარზეა დაბეჭდილი. რაც შეეხება ლიტერატურას, ამ სფეროს ქეთი მაისურაძე და ანანო ხუნწარია წარმოაჩენენ. ეს გოგონები რუსულად წერენ და ამონარიდები მათი ნაწარმოებებიდან ფესტივალის პროგრამაშია შესული. ერთი უსიამოვნო დეტალი - იმის გამო, რომ მონაწილეთა რაოდენობა ძალიან დიდი იყო, მოსკოველ ორგანიზატორებს მხატვრებისა და ლიტერატორების დაფინანსებაზე უარის თქმა მოუხდათ.

დღეს პრობლემები უკან დარჩა. რამდენიმე დღეში ბავშვებს მოსკოვი ელით. ქართველი ბავშვების ამ პირველ მასშტაბურ გასვლას კი, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალზედ მარტივად გადაიჭრა, უამრავი სირთულეების მიუხედავად, სათავეში ერთი ქართველი ქალბატონი უდგას - ნანა გელოვანი. ქალბატონი, რომელიც, არაერთი წელია, ექომაგება ქართულ კულტურას, თანამონაწილეა ყოველი მოვლენისა მოსკოვში თუ თბილისში. სწორედ მისი შემწეობით ხერხდება ყოველ წელს ქართველი ბავშვებისთვის სპივაკოვის სტიპენდიების გაცემა, ფონდის ღონისძიებებში მათი მონაწილეობა, განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვების წარდგენა ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების წინაშე - ქალბატონი ნანა, ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, იმაზეც ზრუნავს, რომ მათი შემოქმედებითი გზის ყველა ეტაპი მაქსიმალურად სწორი მიმართულებით წარიმართოს. ამდენად, მისი ღვაწლი და ამაგი უპრეცედენტოა ქართულ სინამდვილეში...

ერთი სიტყვით, წინ მოსკოვია - მომავლის იმედით....

# "მოულოდნელი დილა" კინოს სახლში

სალომე კიკალეიშვილი

კინოს სახლი, სადაც ამ ბოლო დროს ხშირად იმართება პრემიერები, გუშინწინ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტის ზაზა სვანიძის ფილმს "მოულოდნელ დილას" მასპინძლობდა.

ფოიეში შეკრებილი უამრავი ხალხი, ახლობლები, ნათესავები... მილოცვები და ბოლოს დაგვიანებით დაწყებული საღამო, სადაც ახალგაზრდა რეჟისორის კლიპის, საკურსო ნამუშევრის ("შეგიძლიათ არ დამიჯეროთ") და, ასევე, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის "მოულოდნელი დილას" პრემიერა გაიმართა. კლიპიც და ფილმიც შიდსის საწინააღმდეგო საქველმოქმედო აქციას - "იმედის ქარავანს" ეძღვნება, რომელიც, გაერო-ს დახმარებით, ხუთ ქალაქში: ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიასა და გორში ჩატარდა. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის წარმომადგენლები. ამავე თემაზე 16 მაისს გაერო-ს შენობაში კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნი შესრულდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ზაზა სვანიძე და შემოქმედებითი ჯგუფი*

საღამო გაიხსნა შიდსის თემაზე გადაღებული სვანიძის კლიპით, რომელიც ორგანიზატორებმა საღამოს დამთავრებისას კიდევ ერთხელ დაატრიალეს კინოს სახლის ეკრანზე. რამოდენიმე ნაცნობი თუ უცნობი სახე, რომლებიც მოკლე "მესიჯებივით" გვაძლევდნენ დაავადების შესახებ ინფორმაციას - როდის აღმოაჩინეს პირველად, რამდენი მილიონი ადამიანია ინფიცირებული მთელ მსოფლიოში, რამდენი იღუპება ყოველწლიურად, მათ შორის - პატარა ბავშვებიც... და ბოლოს საქართველო, სადაც, დიდი ქვეყნებისგან განსხვავებით, მართლაც რომ მცირე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მასშტაბებისთვის საკმაოდ საგანგაშო ციფრი სახელდება...

რაც შეეხება კახა მელითაურის და თინა მენაბდეს სახელოსნოს სტუდენტის საკურსო და სადიპლომო ვიდეოფილმებს, მათი ჩვენება მონაწილეების (საკუთარი თავის დანახვისას) და მათი მეგობრების მხიარული, ხმამაღალი შეძახილების თანხლებით ჩატარდა.

რა შეიძლება მოხდეს თებერვლის სუსხიან დილას, თუ იმპოტენტი ხელოვანი (ამის ციტირებას თავად რეჟისორი ახდენდა მისივე საკურსო ნამუშევრის - "შეგიძლიათ არ დაიჯეროთ"- ჩვენებისას) ქალაქგარეთ, სადგურში და თანაც უფულოდ აღმოჩნდება - არც არაფერი; ვილაც შეიკედლებს, დალევს რაღაც აბებს, მეგობარ გოგონას შესთავაზებს ფულის სანაცვლოდ... მეორე ფილმის მთავარი გმირი, წინა ფილმის გმირივით, უსაქმურ, არაფრის მაქნის გარეწარს ჰგავდა, და მათ ერთი და იგივე პიროვნება - ალეკო ტომარაძე ანსახიერებდა; შიდსის თემაზე გადაღებული ფილმის ("მოულოდნელ დილა") რეჟისორი, ოპერატორი, სცენარის ავტორი და პროდიუსერიც თავად გახლდათ. მოკლემეტრაჟიანი ფილმი ახალგაზრდა ოჯახის ცხოვრების ერთ დღეს აღწერდა. როგორ შეიძლება ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დილა არაჩვეულებრივად გადაგექცეს. ფილმის პერსონაჟი შემთხვევითი სქესობრივი კავშირის შემდეგ საფულეს ჰპარავს ქალს და ცოლთან მიაქვს საჩუქრად; საფულეში პატარა ფურცელი აღმოჩნდება - სამედიცინო ცნობა შიდსზე დადებითი პასუხით. "ვებრძოლოთ შიდსს და არა შიდსით დაავადებულებს", - ამბობს რეჟისორი კლიპში; ის ამ ფილმებს გაფრთხილების, განგაშის სიგნალს უწოდებს.

ერთს დავძენდი - საღამოზე, რომელმაც ერთ საათს გასტანა, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო თემა - შიდსი, ვიდრე წარმოდგენილი ფილმების ანალიზი-განხილვა. მაგრამ მაინც, იმედის საფუძველს იძლევა დღევანდელ პირობებში სტუდენტების ასეთი სტიმული და მონდომება, რომ მათი ფილმები დროთა განმავლობაში უფრო საინტერესო და უკეთ გადაღებული იქნება.

## მოკლედ

### "რუსთავი" სამზადისშია

ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი "რუსთავი" საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სამ კონცერტს მიუძღვნის. კონცერტი, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება, ანსამბლის თაყვანისმცემლებისთვის ერთგვარი სიახლე იქნება.

როგორც ანსამბლის ქორმეისტერმა ბადრი თოიძემ თქვა, "რუსთავი" მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარდგება. კონცერტის სახელწოდებაა "ქართული სული". სიმღერის გუნდთან ერთად შესრულდება ყველა ქართული ცეკვა. "რუსთავის" რეპერტუარში შევიდა კიდევ ერთი ახალი - რაჭული ცეკვა, რომელიც ანსამბლის ხელმძღვანელმა, ანზორ ერქომაიშვილმა დადგა.

ანსამბლი თბილისური კონცერტების შემდეგ ჰოლანდიას დალაშქრავს. *მედია-ნიუსი*

### აჭარის მწერალთა კავშირს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მწერალთა რეგიონული კავშირის ახალ თავმჯდომარედ, გამგეობის წევრების გადაწყვეტილებით, ვახტანგ ღლონტი დაინიშნა.

ახლად დანიშნული მწერალთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებით, მწერალთა კავშირი აქტიურად ითანამშრომლებს როგორც ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, ისე სტუდენტ-ახალგაზრდობასთან.

ყოფილმა თავმჯდომარემ ჯემალ ჯაყელმა თანამდებობა ორი დღის წინათ დატოვა. განცხადების დაწერამდე მწერალთა კავშირის შენობასთან ბათუმელთა საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები კავშირის ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვდნენ. *მედია-ნიუსი*

რეცენზია

# ნინო ქათამაძის ორი ალბომი - არჩევანი კარგსა და უკეთესს შორის

ნიკო ნერგაძე

ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც რადიოში წამყვანად ვმუშაობდი, დღე არ გავიდოდა, რომ მსმენელს არ დაერეკა და ჯგუფ "ინსაითის" "ტურფა" არ ეთხოვა. თხოვნას ვერ ვუსრულებდი, რადგან სიმღერის ჩანაწერი არ არსებობდა. შემდეგ სადღაც "ტურფას" საკონცერტო ჩანაწერი მოვიგდე ხელში და ვატრიალე და ვატრიალე ეთერში.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ რადიოთი და ტელევიზიით ნინო ქათამაძის და "ინსაითის" სხვა სიმღერებიც გადიოდა, მსმენელი მათ მაინც "ტურფასთან" აიგივებს. ნინო ქათამაძის ერთდროულად გამოშვებული ორი ალბომი (ერთი ინსაითთან ერთად, მეორე კი სოლოდ, გოგი ძოძუაშვილის არანჟირებით) ამტკიცებს რომ მათ ერთი კარგი სიმღერის დაწერაზე მეტი შეუძლიათ.

ნინო ქათამაძის და "ინსაითის" ალბომში, ძირითადად, ძველი კომპოზიციებია შესული. აქ არის უკვე ნახსენები "ტურფა", "ოლეი," "იები" და "სულიკო", რომელსაც ნინო ყოველთვის კარგად მღეროდა კონცერტებზე. თუმცა, ნინო არა მხოლოდ "სულიკოს" მღეროდა კარგად. "ინსაითის" პოპულარობა დიდწილად სწორედ შესანიშნავმა კონცერტებმა განაპირობა. ნინო ქათამაძე ქართული მუსიკალური სცენის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი შემსრულებელია და კონცერტზე ბოლომდე იხარჯება. უჩა გუგუნავა, გოჩა ყაჭეიშვილი და დათო აბულაძეც მშვენიერი შემსრულებლები არიან.

კი მაგრამ, ვკითხე თავს, თუ ასეთი კარგები არიან, რატომ მიჭირს ბოლომდე დისკის მოსმენა? და იქვე ვუპასუხე: ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიმღერების ნახევარი არაერთხელ მაქვს მოსმენილი რადიოთი, ტელევიზიით თუ ცოცხლად. რაც არ უნდა კარგი იყოს "ტურფა" და "ოლეი", სამი წელი სმენის შემდეგ



გააკეთეთ არჩევანი

უკვე გბეზრდება. დარწმუნებული ვარ, მე მარტო არა ვარ და ბევრი ფიქრობს ჩემნაირად. ხოლო ვინც არც კონცერტებზე დადის და არც რადიოს უსმენს, კასეტას თუ დისკსაც არ იყიდის.

სიმღერების მეორე ნახევარი კი, რომელსაც ეთერში არ უტრიალია, ცუდი არ არის მაგრამ განსაკუთრებულიც არაფერია.

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ "ინსაითის" სმენა საკმაოდ შრომატევადი სიამოვნებაა. შეუძლებელია ეს ალბომი ფონად ჩართო და თან სხვა რამე აკეთო, ნინოს ხმა და "ინსაითის" შესრულება მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად ცუდი არ არის, პირიქით მუსიკის მაღალ დონეზე მიუთითებს, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა მძიმე მოსასმენია და ერთბაშად მოსმენა ძალიან დამღლელია.

სულ სხვა საქმეა ნინო ქათამაძის სიმღერები გოგი ძოძუაშვილის არანჟირებით. სიმძიმე სადღაც ქრება და მის ადგილს სიმშვიდე იკავებს. თანაც აქ სულ ახალი სიმღერებია წარმოდგენილი, მხოლოდ "ოლეი" მეცნო და ისიც ახალი მიქსია.

ალბომს მთლიანი სახე აქვს და მიუხედავად ამისა საკმაოდ მრავალფეროვანია. "მე მოვედი" და "გავთოვდები" "ინსაითთან" ერთად ჩაწერილ ალბომშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ აქ გაცილებით უკეთესია. ძალიან კარგია რატი ამაღლობელის ლექსზე დაწერილი "უთო", რომლის სიმღერისას ნინო, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ძველ ზემფირას წააგავს.

აგრეთვე შესანიშნავია "ტალღა", "რა ჩემი ბრალია", "უბრალო დღე". ერთია, რომ ეს ალბომი ნინო ქათამაძის და "ინსაითის" ნამუშევრებისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ეს განსხვავება უკეთესისკენ უფროა, ვიდრე უარესისკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დისკი ძალიან ძვირი, 25 ლარი ღირს. თუ დიდი თეთრი ულვაში არა გაქვთ და მეგობრები ბადრის არ გეძახიან, ორივეში ერთად 50 ლარის მიცემა დაგენანებათ. ჩემი რჩევაა, თუ ნინო ქათამაძეს "ტურფას" გამო უსმენთ, "ინსაითთან" ერთად გამოშვებული დისკი იყიდეთ, თუ რამე კარგის და ახლის მოსმენა გინდათ, მაშინ "უბრალო დღე" უფრო გაგახარებთ.

სტატიის ავტორთან დაკავშირება შეიძლება ელექტრონული ფოსტით: nergadze@hotmail.com

# რას მისტირიან რუსები

## აჭარის პეიზაჟები თუ გერმანული და ჰოლანდიური ფერწერა

თეონა ჯაფარიძე

რუსულ ინტერნეტ-საიტებზე და, შესაბამისად, ალბათ, გარკვეულ რუსულ წრეებში დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ და ვერ მოუნელებიათ თბილისში დაკარგული კრანახისა და რეისდალის პოვნა და გულის ფანცქალით ელოდებიან მესამე ტილოს - შარდენის "ნატურმორტის" გამოჩენას. ოღონდ, კარგად ვერ გავარკვიე www.gazeta.ru-ს კორესპონდენტს ვადიმ ნესტეროვს მე-16 საუკუნის გერმანული ფერწერა ან ჰოლანდიური პეიზაჟი უფრო აღელვებს, თუ აჭარის მოვლენების "ჰეპი ენდი".

სტატიის ავტორი არც მალავს თავის გულისტკივილს და დაკარგული შედევრების პოვნის ცნობას რუსული შოვინიზმისათვის ჩვეული ირონიით იწყებს: "საქართველოს ხელისუფლება გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს: მსოფლიო ჯერ ისევ აჭარაში განვითარებული სენსაციური მოვლენების შესახებ მსჯელობდა, როცა საინფორმაციო საშუალებები მეორე სენსაციასაც ავრცელებენ: იონესკოსა და ბეკეტის აბსურდული პიესების პერსონაჟთა მსგავსად, ქართველი სამართალდამცავები მოულოდნელად ღამით მტკვრის პირას სეირნობის დროს 10 წლის წინ დაკარგულ შედევრებს პოულობენ", - წერს ავტორი. სტატიის სახელწოდებაა: Батоно Кранахи обманул Грузию. ავტორი თავდაპირველად გვახსენებს, - სურათი ერთ დროს რომანოვების ოჯახის კუთვნილება ყოფილა და მათ საზაფხულო რეზიდენციაში - ლიკანში ინახებოდაო. შემდეგ ერმიტაჟში, მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმსა და რუსეთის პროვინციებში, ნიჟნი ნოვგოროდის სამხატვრო მუზეუმსა თუ რუსულ კერძო კოლექციებში დაცულ კრანახებს შეგვახსენებს და ბოლოს ხელოვნების ენციკლოპედიის გადაშლასაც გვირჩევს და მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს, რომ კრანახმა განუსაზღვრელი ფერწერული მემკვიდრეობა დატოვა და ხელოვნებათმცოდნეებს


კრანახმა რუსებს საფიქრალი გაუჩინა

დღემდე უჭირთ მხატვრის ვაჟების, მისი სახელოსნოს მხატვრებისა და, უბრალოდ, ასლების გარჩევა.

და მაინც, რაც უნდა გამოქვეყნდეს რუსულ საიტებზე, ფაქტს ვერავინ გაექცევა; და თუ დაინტერესებულ პირს ან ევროპული მხატვრობის მკვლევარს მოუნდება ლუკას კრანახ უფროსის "მაჭანკალის" ორიგინალის ნახვა, აუცილებლად მიაკითხავს თბილისის ხელოვნების მუზეუმს, იქ კი მას აუცილებლად დახვდება მე-16 საუკუნის გერმანელი ფერმწერისა და გრაფიკოსის ეს ტილო (ზომები:85 x 67,5 სმ). ნამუშევარი ხეზეა შესრულებული ზეთის საღებავით; ნამუშევარზე მხოლოდ და მხოლოდ ლუკას კრანახ უფროსის ხელწერის დამადასტურებელი დამღა - ფრთებიანი გველეშაპი და თარიღი, 1542 წელია ამოკვეთილი, და არა მისი შვილის - ლუკას კრანახ უმცროსის ან კრანახის სახელოსნოს რომელიმე მხატვრის ინიციალები, როგორც ეს რუს ავტორს სურს რომ იყოს.

"დამღა და თარიღი თავის დროზე სურათის გაწმენდის დროს აღმოჩნდა. მანამდე მეცნიერებიც დავობდნენ: შალვა ამირანაშვილი ამტკიცებდა, რომ ნახატი უფროსი კრანახის ფუნჯს ეკუთვნოდა, მეცნიერების ერთი ნაწილი მას კრანახის სკოლის მიმდევარს მიაკუთვნებდა, ოღონდ მის მაღალმხატვრულ ღირებულებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, - მიხსნის ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილე ბატონი გია მარსაგიშვილი და ერთი საინტერესო ფაქტის შესახებაც მიამბობს, - 1970 წელს სურათი მოსკოვში გაუგზავნიათ სარესტავრაციოდ. შემდეგ მუზეუმის მაშინდელ დირექტორს ბატონ თამაზ სანიკიძეს მთელ 7 წელიწადს უბრძოლია, რომ იურიდიულად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი სურათი მოსკოვიდან კვლავ საქართველოში დაბრუნებულიყო.

ცნობილია, რომ შედევრები ხშირად იცვლიან პატრონებს. კრანახის "მაჭანკალი", მუზეუმის არქივში დაცული საბუთების მიხედვით, 1920 წელს ქართული გალერეის დამაარსებელსა და შემდეგში ხელოვნების მუზეუმის ფუძემდებელს, ქართველ მხატვარს დიმიტრი შევარდნაძეს მდიდარი თბილისელის ყორღანოვის ოჯახისაგან სწორედ მომავალი მუზეუმისათვის შეუძენია. შესაძლოა, თავის დროზე ყორღანოვებმა სწორედ რომანოვებისგან შეიძინეს შედევრი, მაგრამ ფაქტია, მუზეუმი მას 1920 წელს ახალი მეპატრონის - ყორღანოვისაგან სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ ყიდულობს. შემდეგ "მაჭანკალი" უკვე მენშევიკებთან ერთად აგრძელებს თავის ისტორიასა და საქართველოდან გატანილ საგანძურთან ერთად საფრანგეთში ამოჰყოფს თავს; ბოლოს, 1945 წელს დიდი ექვთიმე თაყაიშვილი მას საგანძურთან ერთად ისევ მუზეუმს უბრუნებს.

საქსონიის კურფიურსტის კარის მხატვრის შედევრმა უკანასკნელად ამ 10 წლის წინ დატოვა თავისი, იმედია, ბოლო ადგილსამყოფელი და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. მაგრამ, რუსულ საიტს დავესესხები და, მართლაც რომ, ბეკეტისეულ ატმოსფეროში "მაჭანკალი" კვლავ ხელოვნების მუზეუმს დაუბრუნდა.

"ორი წლის მანძილზე გამომძიებელი ლადო ბადაგაძე ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდა დაკარგული შედევრების კვალს. ბოლო 5 დღის განმავლობაში კი თბილისის პოლიციის სამმართველოში მომიხდა ყოფნა და გაოგნებული ვარ მათი ოპერატიულობით", - აღნიშნავს ბატონი გია მარსაგიშვილი.

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი თავის ფონდებში დაცულ ნამუშევრებს საგამოფენო დარბაზში გამოიტანს. ამ დღეს დამთვალიერებელი კრანახის "მაჭანკალსა" და მასთან ერთად დაკარგულ და უკვე ნაპოვნ ჰოლანდიელი პეიზაჟისტის, იაკობ ვან რეისდალის "ჩანჩქერებიან პეიზაჟსაც" იხილავს. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ქართველი სამართალდამცავები 1994 წლის 27 ივლისს დაკარგულ მესამე ტილოს - მე-17 საუკუნის ფრანგი ფერმწერის ჟან ბატისტ შარდენის ნატურმორტითაც გაგვაოცებენ. როგორც ამბობენ, ფრანგი ფერმწერი შუქ-ჩრდილის ცნობილი ოსტატი ყოფილა.

# კანი

სალომე კიკალეიშვილი

უდავოა, რომ ამ თვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო კულტურული ღონისძიების მასპინძელი, საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქი კანია. სადაც 12-23 მაისის ჩათვლით კინოს სამყაროს უმნიშვნელოვანესი ფესტივალი იმართება, მრავალფეროვანი პროგრამით, რეტროსპექტივებით, ფოტოგამოფენებითა და უამრავი ვარსკვლავით. ამჯერად "კინოს გიჟი" (როგორც მას ფრანგულმა პრესამ უწოდა) ქვენტინ ტარანტინო ხელმძღვანელობს ფესტივალის ჟიურის, ხოლო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიურის - ცნობილი რუსი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი. "მე აქ აღარასოდეს დავბრუნდები" - 10 წლის წინ ეს ფრაზა განაწყენებულმა მიხალკოვმა წარმოთქვა, რომლის ფილმი "მზით გათანგულნი" მთავარი პრიზის, "ოქროს პალმის რტოს" გარეშე დარჩა. ჯილდო კი ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდა ქვენტინ ტარანტინოს შეხვდა ფილმისათვის "მაკულატურა". თუმცა, პირობა რეჟისორმა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დაარღვია, როცა ფესტივალი მისი ფილმით "სევილიელი დალაქი" გაიხსნა. - "ახლა ამ წაგების იუბილეა, და ტარანტინომ ისევ აჯობა" - წერს რუსული პრესა - "ტარანტინომ ისევ გაუსწრო, ის ხომ იმ ჟიურის ხელმძღვანელობს რომელმაც 18 ფილმიდან ერთ-ერთს "ოქროს პალმის რტო" უნდა გადასცეს".

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ქართული უზნეობა



კინოსტუდიის შემოსასვლელში ზის კაცი და შიმშილობს. საინტერესოა, რა არის შიმშილობის მიზეზი. ეს არც პენსიონრებისთვის მოშიმშილე კობა დავითაშვილია და არც ზვიად ძიძიგური. ეს კაცი კინორეჟისორია და ქართული კინოს მომავლისთვის იბრძვის. ახალმა ხელისუფლებამ კინოს ბიუჯეტი მხოლოდ 200 ათასით გაზარდა, რაც მთლიანობაში 900 ათასს შეადგენს, როდესაც ეს თანხა ჰოლივუდში ყველაზე დაბალბიუჯეტიან ფილმსაც კი არ ეყოფა. მაგრამ ამერიკაში შესაბამისი თანხებიც აქვთ და კინოსაც იღებენ, რომელსაც კარგია თუ ცუდი, მაყურებელი ნამდვილად ჰყავს. ამ შემთხვევაში არსებობს დამკვეთი (მაყურებელი) და ყველა ამერიკული კინო რამდენად ცუდიც არ უნდა იყოს, თუკი მოგებაზე არაა საუბარი, დახარჯულ თანხას მაინც იღებს უკან. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა ევროპაში - წაგებაზე მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი, რამდენიმე რეჟისორი მუშაობს. რა სიტუაციაა საქართველოში?

უკანასკნელი წლების მანძილზე, 10 წლის წინ წარმოებაში ჩაშვებული ფილმები ან ახლახანს დასრულდა, ან ჯერაც არ დასრულებულა. უმეტესი მათგანი, თუკი საბოლოო სახეს არ მიიღებდა უკეთესი იქნებოდა, როგორც ქართველი მაყურებლისთვის ასევე თავად კინორეჟისორებისათვის. საერთო სურათი, თამამად შემიძლია ვთქვა, და ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა - კატასტროფულია. არც ერთი მათგანი არ არის დამაკმაყოფილებელი, რასაც თავისი მიზეზები აქვს და რომელსაც მათივე აპოლოგეტები იშველიებენ: გადაღების პერიოდი წლების მანძილზე იწელებოდა და შეუძლებელია, შედეგი კარგი ყოფილიყო. მეც ამას ვამბობ, თუკი დავივიწყებ იმას, რომ ყოველი მათგანი ერთნაირად წრეში ჩაკეტილია და ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის, ამის გამოსახატად ბუნებრივია სასურველზე მეტი დრო იყო მოცემული, ამიტომაც ჯობდა ისინი ისევე დაგვეტოვებინა და მათი არსებობის შესახებ დაგვევიწყებინა. ფილმის დაუსრულებლობის გამო არავინ გაგვკიცხავდა. მაგრამ მგონი, ამ ეტაპზე თითქმის ყოველი მათგანი უკვე დასრულებულია და ამიტომ ამაზე საუბარი უკვე დაგვიანებულია. საქმე ის არის, რომ ჩემთვის დროის ხანგრძლივობა გადამწყვეტ როლს არ თამაშობს იმ სავალალო სურათში, რომელიც ჩვენ თვალწინ არის, თუ იყო უკანასკნელი დროის განმავლობაში. ჩემი აზრით, და მე არავის ვახვევ თავზე საკუთარ მოსაზრებას, პრობლემა თავად რეჟისორებშია და არა დაუფინანსებლობაში. ამ ეტაპზე მათ სათქმელი არ აქვთ. ყველა ფილმი ერთსა და იმავე ისტორიას გვიყვება: ქაოსი ქვეყანაში, ომი როგორც აბსურდი, ფასეულობათა გადაფასება, დროში და სივრცეში დაკარგული გმირები და სხვა. მოსაყოლად კარგად ჟღერს, მაგრამ მერწმუნეთ, ყოველივე ზემოთ ხსენებული იმდენად პრიმიტიული, სწორხაზოვანი და უინტერესო ფორმით არის შესრულებული, რომ მისი შინაარსის გაგება მხოლოდ ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის არის შესაძლებელი, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც ქართველ რეჟისორებს "სტკივათ", ჩვენთვის ცნობილია. ჩვენთვის ცნობილია, როგორ უმისამართოდ ისროდნენ ქუჩაში, როგორ შეეწირა ამას თაობა, განუკითხაობა ქვეყანაში, რომელმაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. ყოველივე ეს ჩვენ მიერ განცდილია და ამიტომ რთულად, მაგრამ შესაძლებელი ხდება ქართველი რეჟისორების კინონაწარმოებების გაგება. ერთი სიტყვით, საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, გეტყვით რომ ახალი ქართული ფილმების სახით ქართველმა ავტორებმა "საჩუქარი" მხოლოდ ჩვენ, თანამემამულეებს გაგვიკეთეს. ახლა მორიგი "შედევრებისთვის" ფულს ვითხოვთ და შიმშილობასაც ვაცხადებთ.

ფული ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ მე, როგორც ქართული კინოს გულწრფელი გულშემატკივარი, ვფიქრობ, რომ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ადამიანები შიმშილით კვდებიან, კინოსთვის ზედმეტი თანხების მოთხოვნა უზნეობად მეჩვენება. ჩემი ოპონენტები ამ გაცრეცილ ფრაზასაც წარმოთქვამენ ან გუნებაში გაივლებენ, **კულტურა** გადაგვარჩენს, ქართველი კაცი შიმშილს გაუძლებს, მაგრამ ხელოვნების გარეშე ერთი დღეც ვერ იარსებებსო. შესაძლებელია მართალიც იყოთ, მაგრამ ის, რასაც ქართველი რეჟისორები აკეთებენ, ხელოვნება არ არის. მოვიცადოთ კიდევ რამდენიმე ხანი, დაველოდოთ ახალ თაობას, რომელთაგან უკვე შეიძლება საუკეთესოთა გამორჩევა. მათი რიცხვი არ არის დიდი, მაგრამ ისინი უფროსი თაობის მსგავსად არ წუწუნებენ და მაინც მუშაობენ. ნაკლებად არც მათ უნდათ ფირზე გადაღება, მაგრამ ვიდრე სხვა გამოსავალი არ არის, შიმშილობის ნაცვლად, ვიდეოზე იღებენ ფილმებს, და დამერწმუნეთ, თუკი სათქმელი გაქვთ, მინიმალური ფინანსებით და ვიდეოზეც შესაძლებელია მისი სრულყოფილად გამოთქმა. ამიტომ მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ და კიდევ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება - დღევანდელ დღეს კინოს ბიუჯეტის გაზრდისთვის შიმშილობა უზნეობაა.

დაბოლოს, რამდენიმე კითხვა ქართული კინოს "გულშემატკივრებს". პირველი: დაახლოებით ორი წლის წინ დიღმის კინოსტუდიის უმეტესი ნაწილი ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა საკუთარი ტელეარხისთვის და სხვადასხვა კომპანიებისთვის **შეიძინა** და არა **იქირავა**. მოგეხსენებათ, რომ პატარკაციშვილი სათანადოზე მეტს იხდის ყოველი ახალი დაწესებულების თუ ადამიანის შეძენისას; ის არც ამ შემთხვევაში იყო ხელმოჭერილი. შესაძლებელია ამ თანხით ქართული კინოს ბიუჯეტი რამდენიმე წლით არ უზრუნველყოფილიყო, მაგრამ ერთი ნამდვილად ვიცი, თუნდაც პატარა მინი კინოსტუდიის შეძენა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ფირის გამჟღავნება, დამონტაჟება თუ გახმოვანება, ნამდვილად შესაძლებელი იყო. ეს აშკარაა. თანამედროვე კინოსტუდიები იმდენად პატარაა, რომ 40 კვადრატულ მეტრ ფართს იკავებს და ყველა აუცილებელ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებს. როგორც ჩემთვის ცნობილია, პატარკაციშვილის მიერ გადახდილი ფულით, ორმა უფროსი თაობის წარმომადგენელმა კინორეჟისორმა ორი ფილმი გადაიღო, და ერთი ვიდეო სამონტაჟო შეიძინა. მერწმუნეთ, ის თანხა, რომელიც "წლის საუკეთესო ბიზნესმენმა" გადაიხადა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ორი კინო და ერთი ვიდეოსამონატაჟო. რატომ არ კითხულობთ ამ ფულის ასავალ-დასავალს და რატომ არ ითხოვთ იქიდან რაიმეს ქართული კინოს მომავლისთვის?! და უკანასკნელი კითხვა. ვერც ერთმა ჩემმა კოლეგამ თუ, უბრალოდ, კინო მოყვარულმა ვერ გამახსენა, ვინ არის გიორგი კაჭარავა. და თუმცა მე მას არ ვიცნობ, ჩემი უმორჩილესი თხოვნაა: დაარწმუნეთ ბატონი გიორგი, რომ დღევანდელი ქართული კინო შიმშილობად არ ღირს. მომავალში კი, როდესაც ამის რეალური საბაბი გვექნება, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებაც მეტად მოგვხედავს და არც ჩვენ შევირცხვენთ თავს.

ფეხბურთი

# ჟირესის პირველი სრულფასოვანი ქართული დებიუტი

საქართველოს ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებმა შემადგენლობები დაასახელეს


*ჟირესი ებრაელების მოლოდინშია*

ქართველმა გულშემატკივარმა, რომელიც ასე მოუთმენლად ელოდა საქართველოს ნაკრების სათავეში ალან ჟირესის მოსვლას, ვერა და ვერ მოახერხა, რომ საკუთარი თვალით ეხილა საქმეში ფრანგი მწვრთნელი. ჟირესის ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა უკვე ორი მატჩი გამართა - ერთი გერმანიაში, ადგილობრივ ოლიმპიურ ნაკრებთან, მეორე კი ჩვენთან, თბილისში. თუმცა, ამ მატჩით ბევრს ვერაფერს მივხვდებოდით. საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, ლეგიონერების გარეშე წარდგა ჩვენს წინაშე, მეტოქე კი კვლავ ოლიმპიური ნაკრები იყო, ამჯერად საქართველოსი.

ჩვენ კი ნამდვილი მატჩის მოლოდინში ვართ, ნამდვილი საერთაშორისო მატჩისა, რომელშიც ნამდვილ საქართველოს ნაკრებს ვიხილავთ, მისი ნამდვილი შემადგენლობით.

27 მაისს ქართველ გულშემატკივარს ერთბაშად ორი საერთაშორისო მატჩის ხილვის საშუალება მიეცემა. ისრაელი ორი ნაკრებით - ეროვნულით და ახალგაზრდულით გვეწვევა და, შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს ეთამაშება. ორივე მატჩი, როგორც უკვე მოგახსენეთ, 27 მაისს გაიმართება.

ალან ჟირესმა და გოჩა ტყებუჩავამ უკვე დაასახელეს თავიანთი გუნდების შემადგენლობები ამ მატჩებისთვის. გთავაზობთ ამ სიებს:

### საქართველოს ეროვნული ნაკრები

*მეკარეები:*
გიორგი ლომაია ("სპარტაკი", რუსეთი)
აკაკი დევაძე ("სპარტაკი", თბილისი)
ზურაბ მამალაძე ("ლოკომოტივი", თბილისი)
*მცველები:*
კახი კალაძე ("მილანი", იტალია)
ზურაბ ხიზანიშვილი ("რეინჯერსი", შოტლანდია)
ოთარ ხიზანეიშვილი ("დინამო", რუსეთი)
ალექსანდრე ამისულაშვილი ("დინამო", უკრაინა)
რევაზ ქემოკლიძე ("თბილისი", თბილისი)
დავით ჭიჭველიშვილი ("სიონი", ბოლნისი)
გივი დიდავა ("ქოჯაელი", თურქეთი)
კახი მჟავანაძე ("ანჟი", რუსეთი)
*ნახევარმცველები:*
მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი)
ვიტალი დარასელია ("ალანია", რუსეთი)
ლევან ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია)
ლევან კობიაშვილი ("შალკე", გერმანია)
დავით სირაძე ("უნიონი", გერმანია)
დავით მუჯირი ("შტურმი", ავსტრია)
ზურაბ მენთეშაშვილი ("სკონტო", ლატვია)
*თავდამსხმელები:*
ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია)
რატი ალექსიძე ("როსტოვი", რუსეთი)
მიხეილ აშვეთია ("ლოკომოტივი", მოსკოვი)
ლევან გვაზავა ("ალანია", რუსეთი)

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

*მეკარეები:*
გიორგი თოთლაძე ("დინამო", თბილისი)
ირაკლი ბალაძე ("დინამო", ბათუმი)
მინდია ბოზღიაშვილი ("მეტალურგი" რუსთავი)
*მცველები:*
გიორგი ციმაკურიძე ("სტალ არჩევსკი", უკრაინა)
დავით იმედაშვილი ("ვიტ ჯორჯია", თბილისი)
ზაალ ელიავა ("თბილისი", თბილისი)
ანზორ კალაძე ("ლოკომოტივი", რუსეთი)
მამუკა ლომიძე ("როსტოვი", რუსეთი)
თენგიზ ჩიკვილაძე ("სპარტაკი", თბილისი)
დავით ჭილაძე ("სუდოვა", ლიტვა)
*ნახევარმცველები:*
თემურ რაქვიაშვილი ("ურიონი", მცხეთა)
გიორგი ჭელიძე ("თბილისი", თბილისი)
კახა ალადაშვილი ("სიონი", ბოლნისი)
გოჩა ხოჯავა ("თბილისი", თბილისი)
თეიმურაზ ბურნაძე ("შერიფი", მოლდოვა)
*თავდამსხმელები:*
ოთარ მარცვალაძე ("ვიტ ჯორჯია", თბილისი)
გოგი ფიფია ("თბილისი", თბილისი)
ირაკლი მოდებაძე ("მეტალურგი", ზაპოროჟიე)




ევრო-2004

# რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება

დასრულდა ხანგრძლივი დავა რუსეთისა და უელსის მხარეებს შორის, რომელიც ეხებოდა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელის იგორ ტიტოვის მიერ დოპინგის მოხმარებას. ტიტოვი აკრძალული პრეპარატის მიღებაში, გადათამაშებაში, რუსეთსა და უელსს შორის პირველი მატჩის შემდეგ ამხილეს. ამის მიუხედავად, ტიტოვმა მეორე მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ის შეხვედრა სლავების გამარჯვებით - 1:0 დასრულდა და რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. უელსის ფეხბურთის ასოციაციამ ტიტოვის თამაში გააპროტესტა და რუსეთის ნაკრების გათამაშებიდან მოხსნას ითხოვდა.

დავა მეტისმეტად გაჭიანურდა. უელსმა ფიფასა და ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოში სამი სარჩელი შეიტანა, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია. ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლომ უარყო უელსის მხარის სარჩელი და პორტუგალიაში გასამგზავრებლად რუსებს მწვანე შუქი აუნთო. გადაწყდა: ამიერიდან რუსეთის ნაკრებს პირენეებზე გამგზავრებაში ხელს ვერაფერი შეუშლის.

სასამართლოს განჩინებით, რუსეთის ნაკრები პორტუგალიაში მიემგზავრება. მის მიერ მხარეებისთვის გაგზავნილ ფაქსში ნათქვამია, "მრავალმხრივი განხილვის შემდეგ, უელსის არგუმენტები უარყოფილ იქნა და ბიურომ დაასკვნა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ხელშემწყობი იგორ ტიტოვის მიერ დოპინგის მიღებაში. ამიტომ არ შეიძლება, რუსეთის ნაკრები დისკვალიფიცირებული იყოს. ამ გადაწყვეტილების საფუძვლიანობა სრულად რამდენიმე დღეში იქნება წარმოდგენილი".


*იარცევი და მისი გუნდი პორტუგალიაში მიდიან*

ეს უკვე მესამე მცდელობა იყო უელსის მხრიდან, არ დაეშვა ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების გამგზავრება. პირველი ორი სარჩელი უეფას სააპელაციო-დისციპლინარულმა კომიტეტმა უარყო. ამის შემდეგ ბრიტანელებმა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართეს.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ლოზანაში რუსებისთვის რაღაც უკეთური იხლართებოდა. უელსის მხარის მიერ სასამართლო მოსმენის ერთი დღით გადატანამ წარმოშვა ეჭვი, რომ ლოზანის სასამართლოს წარმომადგენლებს სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ რუსეთის ნაკრებმა პორტუგალიის საგზური დამსახურებულად მოიპოვა. ამას ხელს უწყობდა უელსის მხარის ოპტიმისტური განწყობაც, რომელიც ოთხშაბათის სხდომის შემდეგ შეიმჩნეოდა.

უელსის ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი დევიდ კოლინზი უელსის ნაკრების პორტუგალიაში გამგზავრების შანსს აფასებდა, როგორც 50:50-ზე. მის მოსაზრებას უელსის ნაკრების მწვრთნელი მარკ ჰიუზიც იზიარებდა.

ამასთან, ლოზანაში რუსეთის წარმომადგენლები არ იყვნენ. უელსის პოზიციას კი, კოლინზისა და ჰიუზის გარდა, ცნობილი იურისტი ტიმ კერიც იცავდა. კერის ანგარიშზეა სპორტულ არბიტრაჟზე მოგებული რამდენიმე ხმაურიანი საქმე.

სხვათა შორის, ოთხშაბათის სხდომაზე ტიმ კერს ორატორობაში მარკ ჰიუზი გაეჯიბრა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, რომ სპორტსმენებს დოპინგის მიღებაში ხელს უწყობენ და ასეთი ადამიანები უნდა გამოაშკარავდნენ და დაისაჯონ.

უელსელთა ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ ტიტოვმა დოპინგი უელსთან მატჩამდე რამდენიმე თვით ადრე, თავის კლუბში კი არა, არამედ სწორედ გადათამაშებისთვის მზადების პროცესში მიიღო. ანუ დოპინგის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა კარდიფის მატჩში, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც პორტუგალიის საგზურის ბედი.

დაახლოებით იგივე არგუმენტები წარადგინეს ბრიტანელებმა უეფაშიც. ამასთან, უეფას პოზიცია რუსებისთვის უაღრესად დადებითი იყო. ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ ოთხშაბათს განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლოზანის სასამართლო უარყოფით ვერდიქტს გამოიტანდა, უეფა იტოვებდა უფლებას, არ დამორჩილებოდა სასამართლო გადაწყვეტილებას და ევროპის ჩემპიონატზე რუსებისთვის ადგილი შეენარჩუნებინა.

სასამართლო სხდომას ესწრებოდა უეფას წარმომადგენელი დიტერ ლიმახერი. თავისი პოზიცია მან უეფას წესდებით გაამყარა. იქ კი ნათქვამია, რომ ეროვნული ნაკრები დისკვალიფიცირებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელის მიერ დოპინგის მიღებაში დადასტურებულია ხელმძღვანელობის მონაწილეობა. ლიმახერმა საზოგადოებას შეახსენა, რომ უელსმა ეს ვერ დაამტკიცა, ხოლო ტიტოვი ისედაც დისკვალიფიცირებული იყო.

უეფას სწორი არგუმენტაციის ბრალი იყო თუ უელსის არადამაჯერებელი გამოსვლის, ფაქტი ის არის, რომ პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე, რუსეთის ნაკრები ითამაშებს. იარცევის გუნდს შეუძლია, მშვიდად მოემზადოს კონტინენტის პირველობისთვის, რომლის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დრო დარჩა.

# დარჩა ორი ვაკანსია

დანიის ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა, მეორე გუნდი გახდა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის შემადგენლობა დაასახელა. შვედეთის ნაკრების შემდეგ დანია მეორე სკანდინავიური გუნდია, ვინც განაცხადი წარადგინა. შვედებმა ეს 6 დღის წინათ გააკეთეს, მორტენ ოლსენმა კი - გუშინ.

ოლსენმა ეს დანიის ცენტრალურ ტელეარხ TV2-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა. ამ განცხადებას წინ უძღოდა ანონსირებული "მიმართვა ერისადმი". შეგახსენებთ, რომ სკანდინავიელებმა ევროპის ჩემპიონატი 1992 წელს მოიგეს.

თუმცა, მორტენ ოლსენმა დაასახელა მხოლოდ 21 ფეხბურთელი, რომლებიც პორტუგალიაში აუცილებლად წავლენ. ესენია მეკარე და მინდვრის 18 მოთამაშე. მე-12 და 23-ე ნომრები ოლსენმა ვაკანტური დატოვა იმ შემთხვევისთვის, თუ განაცხადის ვადის ამოწურვამდე რომელიმე დანიელი ფეხბურთელი თავს გამოიჩენს.

გამოქვეყნებულ სიაში მოულოდნელი არაფერია. გუნდის ძირითადი მეკარის ტომას სერენსენის ("ასტონ ვილა") შემცვლელად მოიაზრებიან ამხანაგურ მატჩებზე გამოძახებული პეტერ სკოვ-იენსენი და სტეფან ანდერსენი. დაცვაში ძირითადი გუნდის მოთამაშეებს ჰენრიქსენს, ლაურსენს ნიკლას იენსენს და ჰელვეგს შეუერთდნენ პერ კროლდრუპი და ბრაიან პრისკე, რომლებმაც ასევე ამხანაგურ მატჩებში გამოიჩინეს თავი.

ოლსენის გუნდის ნახევარდაცვაში ოდნავ მოულოდნელია ესპანეთის პრიმერადივიზიონის აუტსაიდერის, "მურსიას" ფეხბურთელის დანიელ იენსენის გამოჩენა.

ტომას გრავესენის, იესპერ გრონკიაერის, კრისტიან პოულსენის, კლაუს იენსენის პოზიციები კი ნაკრებში ეჭვს არასოდეს იწვევდა. ოლსენმა ნაკრებში მიიწვია ვეტერანი მორტენ ვიგჰორსტიც, რომელმაც ჯერ კიდევ 1994 წელს მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

სიურპრიზები არც თავდასხმაში გვხვდება. მოარული ხმების მიუხედავად, მორტენ ოლსენმა გუნდში ჩარიცხა გერმანული "შალკე 04"-ის ფორვარდი ებე სანდი, რომელსაც მწვრთნელი თითქოს დანიაში დატოვებას უპირებდა. თუმცა, შოტლანდიასთან უკანასკნელ ამხანაგურ მატჩში დანიელებს გამარჯვება სწორედ ებე სანდის გოლმა მოუტანა და ამით ნაკრებში მისი გამოძახების საკითხი დადებითად გადაწყდა. სანდის გარდა, შეტევის ხაზზე, რასაკვირველია, დანიის ნაკრების ლიდერი იონ დალ ტომასონი, მარტინ იორგენსენი და ბოხუმელი პეტერ მადსენი არიან. ოლსენის გუნდში ადგილი გამოიძებნა ნახევრად ესპანელი ფეხბურთელის კენეტ პერესისთვისაც, რომელიც ამჟამად ჰოლანდიის "ალკმაარის" ღირსებას იცავს.

გუნდის შემადგენლობაში არ არიან კასპერ ბოგელუნდი და ტომას ლოვენკრანდსი, რომლებმაც ტრავმები ბოლომდე ვერ მოიშუშეს. მათ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშეს, მაგრამ ევრო 2004-ის შესარჩევ ტურნირში ნაკრების მთავარი ფიგურები არ იყვნენ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ორ ვაკანტურ ადგილს მორტენ ოლსენი სწორედ ამ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ინახავს.

# სულ კარგად ბრძანდებოდეთ


*ოტო ბარიჩი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაგვემშვიდობება*

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა გადაწყვიტა, დათმოს ნაკრებში თავისი უფლებამოსილებანი და თანამდებობიდან გადადგეს. თუმცა, ხორვატი მწვრთნელი ამბობს, რომ ამ ნაბიჯს მხოლოდ ევრო 2004-ის შემდეგ გადადგამს.

ეროვნულ გუნდთან ბარიჩის კონტრაქტს 2004 წლის 31 ივლისს გასდის ვადა და, როგორც თვითონ აცხადებს, არ აპირებს მის გაგრძელებას. ამის მიზეზი ადგილობრივი პრესის მხრიდან მისი გაუთავებელი კრიტიკა გახდა. "მე ეს თანამდებობა აღარ მაინტერესებს. პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩემს უფლებამოსილებას დავთმობ. ყველა ჩემს საქციელს აკრიტიკებს. არადა, არ ვარ დარწმუნებული, რომ რომელიმე კრიტიკოსი ჩემს საქმეს შეასრულებს. მე კრიტიკის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ის საფუძვლიანი და კონსტრუქციული უნდა იყოს. ჩვენ პორტუგალიის საგზური მოვიპოვეთ, მაგრამ მათ ვერ ასიამოვნებ. არც მხარდაჭერა, არც გამარჯვებების სიხარული", - აცხადებს ოტო ბარიჩი.

შეგახსენებთ, რომ ბარიჩი ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს 2002 წლის ივლისში ჩაუდგა სათავეში. მან მიიღო მირკო იოჟიჩის მემკვიდრეობა მას შემდეგ, რაც იოჟიჩის გუნდი წარუმატებლად გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ბარიჩი ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანი მწვრთნელი იქნება. თუმცა, ის დღემდე რჩება ხორვატიის ყველაზე ნიჭიერ მწვრთნელად. ბარიჩის კარიერა ხანგრძლივი და წარმატებული იყო, ხოლო ხორვატიის ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები ამ კარიერის მხოლოდ უახლესი ნაწილია.

ბარიჩის სპორტული კარიერა კლუბ "გრადანსკიში" დაიწყო. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება მან დაიწყო კლუბ "ლოკომოტივში", რომელიც შემდგომში ავსტრიის კლუბ "ოპელ-1888"-ზე გაცვალა. ბარიჩის პირველი გამარჯვება უკავშირდება ავსტრიის "ადმირა-ვაკერის" გამარჯვებას ეროვნულ ჩემპიონატში 1970-1971 წლების სეზონში. მის შრომის წიგნაკში ასევე ფიგურირებენ კლუბები: "ლინცი", "ზაგრები", "დინამო" (ვინკოვცი), "შტურმი", "რაპიდი" (ვენა) და გერმანული "შტუტგარტი".

1985 წელს ბარიჩი, "რაპიდთან" ერთად, თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა, ხოლო ცხრა წლის შემდეგ "ზალცბურგი" უეფას თასის ფინალში გაიყვანა. 1990-იან წლებში ზაგრების "დინამო" მისი ხელმძღვანელობით ორჯერ გახდა ხორვატიის ჩემპიონი. შემდეგ ბარიჩი დაბრუნდა ავსტრიაში, სადაც ხორვატიის ნაკრებში მიწვევამდე "ზალცბურგის" სპორტული დირექტორის ფუნქციებს ასრულებდა.

ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დანიშვნამდე ბარიჩმა მოასწრო 12 საფეხბურთო კლუბის გაწვრთნა, რომლებიც 12-ჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები და 6-ჯერ მოიპოვეს თავიანთი ქვეყნების თასი.

"კარგი ცნობებიც არის, - აგრძელებს ბარიჩი, - მოთამაშეები ჩემთან ახლო კონტაქტში არიან და ჩვენ საბოლოო მომზადებას გავდივართ ტურნირისწინა შეკრების დაწყებამდე. კარგად ვიცით, ეს იმისთვის არის საჭირო, რომ კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ. ტურნირს მოუთმენლად ველოდები".

საინტერესოა, რომ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ზორისლავ სერბიჩი არ ჩქარობს, ბარიჩს შემცვლელი მოუძებნოს. "მისი განცხადების შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ჩვენ კიდევ დიდი დრო გვაქვს იმ კონტრაქტის გასარჩევად, რომელსაც 31 ივლისს გასდის ყავლი. ამჟამად ჩვენი ყველა ფიქრი ევროპის ჩემპიონატს უკავშირდება", - განაცხადა სერბიჩმა.

რაგბი

# სარაგბო ამბები

პაატა თოთაძე

ჯერ ეროვნული, შემდეგ კი 18 და 19 წლამდე მორაგბეთა ნაკრებების კვალდაკვალ 21 წლამდელებსაც მოუვიდათ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის დრო. ზეგ რუმინეთში ამ ასაკის მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება.

შეჯიბრების ჩატარების დრო დაემთხვა მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს და მორაგბეები პრეზიდენტთან ერთად გაემგზავრებიან რუმინეთში.

ქართველთა პირველი მეტოქე იქნება სერბეთის ნაკრები, რომელიც ლატვიის ნაცვლად იასპარეზებს. მეორე მატჩი ჩვენებს პორტუგალია-ესპანეთს შორის გამარჯვებულთან ელით, ბოლოს კი რუსეთ-რუმინეთის დუელში მოგებულს შეხვდებიან. ბუნებრივია, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იქნება მესამე შეხვედრა. ხელწამოსაკრავი მეტოქე არც ერთი არ იქნება, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ამ ასაკში რუმინეთი და რუსეთი სხვებზე ძლიერები არიან. მატჩის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადის.

"ამ ტურნირისთვის აპრილიდან ვემზადებით. ბოლო ათდღიანი შეკრება რამდენიმე დღის წინ დავასრულეთ. ფოთში ვიყავით და ორი საკონტროლო მატჩი გავმართეთ. ერთი - ბათუმის "დათვებთან", ბათუმში. მეტოქეთა შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ვიცით მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენდნენ რუსეთი და რუმინეთი წინა ჩემპიონატზე, თუმცა, ამ ასაკში ყველაფერი სწრაფად იცვლება და ეს გუნდებიც უთუოდ სახეშეცვლილები იქნებიან. საერთო ჯამში, მომზადებით კმაყოფილები ვართ. გუნდი მზადაა საიმისოდ, რომ მასპინძლებთან ერთად ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდეს. თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ბოლო მატჩში რუსეთთან თამაში გვირჩევნია", - განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა.

მასთან ერთად ნაკრებში მუშაობს წარსულში ცნობილი მორაგბე ნუგზარ ძაგნიძე. "ფოთის შეკრებით კმაყოფილები ვართ. გუნდი ყველაფრისთვის მზადაა. ბიჭებს უმნიშვნელო ტრავმები აქვთ და ექიმების დახმარებით გადამწყვეტი მატჩებისთვის მწყობრში იქნებიან", - აღნიშნა ძაგნიძემ. ბევრი რამ ასეთ ტურნირებში მსაჯებზეა დამოკიდებული, მით უმეტეს, როცა გადამწყვეტი მატჩი მასპინძლებთან გიწევს. "ჩვენ ამისთვისაც მოვემზადეთ. ბოლო საკონტროლო მატჩებში მსაჯს ვთხოვეთ, მეტოქეს მიმხრობოდა, ანუ "რუმინულად" ემსაჯა. ასე რომ, ამ მხრივაც მზად ვართ", - აღნიშნეს მწვრთნელებმა. იმედიანად არიან განწყობილნი თავად მორაგბეები. ნაკრების კაპიტნის, მამუკა გორგოძის თქმით, ყველა წინაპირობაა შექმნილი, რომ გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს.


"ხულიგანა" "დათვების" კლანჭებს ვერ გაექცა

ის თამაში ბათუმში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 18:8, თუმცა, ამ შემთხვევაში ანგარიში მთავარი არ იყო. სხვათა შორის, ეს პირველი სპორტული ასპარეზობა იყო, რომელიც ზღვისპირეთში ცნობილი მოვლენების შემდეგ გაიმართა. მას შემდეგ ბათუმელებმა კიდევ ორი მატჩი გამართეს, ოღონდ ამჯერად უკვე საქართველოს თასზე. გუშინ "ლოკომოტივზე" ჯერ "დათვები 2" და "ყოჩები 2" შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი მოედანი "დათვებს" და "ხულიგანას" დაეთმო. პირველ მატჩში უმცროსი "დათვები" იოლად გაუსწორდნენ მეტოქეს - 18:8. ეს იყო პირველი ეტაპის გამოტოვებული მატჩი, რომლის მოგებითაც ბათუმელებს მეორე ეტაპზე "ლელოორბელთან" მოუწევთ დაპირისპირება. პატარებს არც დიდები ჩამორჩნენ და "ხულიგანას" 26:13 მოუგეს. გამარჯვებულთაგან ლელოები გაიტანეს სვანიძემ, ხაჟომიამ (2) და სულამანიძემ, დამარცხებულთაგან კი თავი კენჭაძემ გამოიჩინა. ამ გუნდების განმეორებითი პაექრობა გაიმართება მომავალ კვირას, ბათუმში, თუმცა, საეჭვოა, ბათუმელებმა თბილისში მოპოვებული უპირატესობა გაფლანგონ. სხვათა შორის, შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ ბათუმელების მთავარი მწვრთნელი გახდა ილია წულუკიძე, რომელიც თავის დროზე საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი იყო, 2002 წელს კი საუკეთესო მენეჯერად აღიარეს.

ახალგაზრდები წლეულს, დიდები კი მომავალი წლიდან ჩაებმებიან მსოფლიო თასის საგზურისთვის ბრძოლაში. გუშინწინ გაიმართა მომავალი შეჯიბრების კენჭისყრა. როგორც აქამდე, 2003 წლის მსოფლიო თასის მეოთხედფინალისტებმა ავტომატურად მოიპოვეს მომავალ ჩემპიონატზე თამაშის უფლება, დანარჩენებს კი შესარჩევი ტურნირი გაარკვევს.

**A ჯგუფი:** ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, ოკეანეთი 1, ამერიკა 3, რეპეშაჟი 2
**B ჯგუფი:** ავსტრალია, უელსი, ოკეანეთი 2, ამერიკა 2, აზია 1
**C ჯგუფი:** ახალი ზელანდია, შოტლანდია, ევროპა 1, ევროპა 2, რეპეშაჟი 1
**D ჯგუფი:** საფრანგეთი, ირლანდია, ამერიკა 1, ევროპა 3, აფრიკა 1

მოკლედ

# მარადონას გიჟის ხალათი ჩააცვეს

მარადონას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ალბათ, ისიც კარგად გახსოვთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ის აღმოჩნდა საავადმყოფოში, სადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მარადონა მომჯობინდა და საავადმყოფოდანაც გამოწერეს. ამის შემდეგ ის ბუენოს აირესში, საკუთარ სახლში გადიოდა მკურნალობას. რამდენიმე დღის წინათ კი ჟურნალისტებსაც შეხვდა და მათ თავისი უახლოესი გეგმების შესახებ უამბო. მარადონამ თქვა, რომ სულ მალე გაემგზავრებოდა თავის მეორე სამშობლო კუბაში, თუმცა...

მარადონა ახლაც ბუენოს აირესშია და ადგილობრივ ნარკოლოგიურ კლინიკაში გადის მკურნალობას. როგორც ჩანს, ამ კლინიკაში ის საკუთარი სურვილით არ მისულა, რადგან, იქაური ექიმების ცნობით, დიეგოს სჭირს მწვავე ნარკოტიკული ფსიქოზი, რომლის დროსაც ის მეტად აგრესიულია. ექიმები ამბობენ, რომ ასეთ დროს მარადონა კუბაში გამგზავრებას მოითხოვს.

ფეხბურთის ისტორიის ერთ დროს მოელვარე ვარსკვლავს ახლა რეგულარულად უკეთებენ დამამშვიდებელ პრეპარატებს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს პრეპარატები მასზე არცთუ ისე კარგად მოქმედებს. ასე რომ, ექიმები იძულებული გახდნენ, მისთვის გიჟის ხალათი ჩაეცმიათ.

9 მაისიდან მარადონა ამ სარეაბილიტაციო კლინიკაშია. ექიმების თქმით, ის სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. მარადონა, მართლაც, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოათავსეს ამ კლინიკაში. ეს მისი ოჯახის წევრებისა და ყოფილი მეუღლის თანხმობით მოხდა. პაციენტის ნახვის უფლება მხოლოდ მშობლებს, ყოფილ მეუღლეს, კლაუდიას და მის ორ ქალიშვილს აქვთ. მარადონას სანახავად მის პირად ექიმს, ალფრედო კაესაც კი არ უშვებენ.

# ექსტრემალური დაუთოების საიდუმლო

ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, მათ შორის არც სპორტში. რა სახის სახეობები აღარ არსებობს: ვინ უფრო მეტს შეჭამს, ვინ მეტ ლუდს დალევს, ვინ უფრო ხმამაღლა იკივლებს, ვინ უფრო დიდხანს იცინებს, მაგრამ სპორტული დაუთოება - ეს რაღაც ახალია!

დიახ, დიახ, სპორტის ასეთი სახეობაც არსებობს და მისი მთავარი ცენტრი ამერიკაში მდებარეობს. არ იფიქროთ, რომ სპორტული დაუთოება ამ საყოფაცხოვრებო ნივთის ბადროს ან ბირთვის ნაცვლად გამოყენებას გულისხმობს. ამ სახეობის მიმდევრები იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო უჩვეულო ადგილას დააუთოებს ტანსაცმელს. სპორტული დაუთოების ოფიციალურ ორგანიზაციას კი ეწოდება "ამერიკის ბიურო ექსტრემალურ დაუთოებაში". ალბათ, მიხვდით, რომ ამ სახეობის ლიდერები სწორედ ამერიკელები არიან.

ვინ იცის, სად არ დაუუთოებიათ მათ ტანსაცმელი, ნიუ იორკის "თაიმ სქვერზე", ამერიკის ღრმა და ველური ფლატეების თავზე დაკიდებულებს...

ექსტრემალურ დაუთოებაში მსოფლიო ჩემპიონატებიც კი იმართება. უკანასკნელ ჩემპიონატზე, რომელიც 2002 წელს გაიმართა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა გაიმარჯვა.

სწორედ ამერიკელ დაუთოებების ოსტატთა ინიციატივით დაიწყო ბრძოლა იმისთვის, რომ სპორტის ეს სახეობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ. ამ მიზნით ტარდება სპეციალური აქციაც: დაუთოების ამერიკელი ვირტუოზები 17-დან 31 მაისამდე ორკვირიან საჩვენებელ ტურნეს გამართავენ აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე.

ფორმულა 1

# როდესაც რეკორდები მეორეხარისხოვანია

იწოდებოდე, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონად, პერსპექტივაში, ამასთან, არცთუ უსაფუძვლო პერსპექტივაში, ახლოს იყო ამავე რანგის მეშვიდე ტიტულთან... ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს - საუბარია "ფერარის" გერმანელ პილოტზე, მიხაელ შუმახერზე. სკუდერიის გამწევმა ძალამ მიმდინარე სეზონის ხუთიდან ხუთი დიდი პრიზი მოიგო. ბოლო, ანუ ბარსელონას დიდი პრიზი კი გერმანელისთვის სულაც საიუბილეო - მე-200 გახლდათ. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან. ინტერვიუ საკმაოდ ვრცელია, ამიტომ, ჩვენი აზრით, მხოლოდ საინტერესო მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**- ბარსელონას დიდი პრიზი თქვენთვის მეორასე იყო. რას ნიშნავდა თქვენთვის რბოლა მე-200? იყო თუ არა იგი არაჩვეულებრივი ანუ იოლად გადასალახავი, თუ მაინც განსაკუთრებით მიუდექით?**

- თავისთავად ციფრი "200" ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. მართალი გითხრათ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს ანგარიშზე გაცილებით მეტი დიდი პრიზი იყოს. გარდა ამისა, სიხარულისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი მაქვს. მაგალითად, ეს იყო ჩემი 75-ე გამარჯვება, საერთოდ კი, მეექვსე - ბარსელონაში, ზედიზედ მეხუთე - სეზონში. აი, ეს ციფრები ნამდვილად იწვევს სიამაყისა და ბედნიერების გრძნობას.

მაგრამ ახლა რა აზრი აქვს იმაზე ფიქრს, რაც უკვე წარსულის საკუთრებაა. უკვე ახალი რბოლისთვის მზადების დროა.

**- მიუხედავად ამისა, თქვენი გუნდი, ეტყობა, უკვე ფიქრობდა წარსულზე: "ფერარის" ყველა თანამშრომელმა 200-ნომრიანი მაისურა ჩაიცვა. გარდა ამისა, წარმატება უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტითა და შამპანურით აღნიშნეთ...**

- ამ ყველაფერმა ცოტათი გამაკვირვა. დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს, მაგრამ ვიმეორებ: მიზეზის მნიშვნელობას ვერ ვხედავ. ჩემთვის არავითარი განსხვავება არ არის მე-200 და, ვთქვათ, 199-ე რბოლას შორის.

**- თქვენთვის რბოლა არცთუ იოლად წარიმართა. ხომ არ დაასახელებდით რამდენიმე ისეთ მომენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ლამაზი იყო?**

- ადრეც არაერთხელ გამიხსენებია "სუძუკაზე" მიკა ჰაკინენთან 2000 წლის პაექრობა, მაგრამ თადარიგში კიდევ მაქვს ერთი, რომელსაც ასევე დიდი სიამოვნებით გავიხსენებდი.

ის რბოლა სწორედ ბარსელონაში, 1996 წელს შედგა. წვიმდა. მოგებით კი მე მოვიგე, ამასთან, დამაჯერებლად. არა, "სუძუკა-2000" ბევრად უფრო ლამაზი იყო - ჰაკინენის წინააღმდეგ ხომ ბოლო წრემდე მიწევდა ბრძოლა.


"შუმის" რეკორდები არ ანაღვლებს

**- ეტყობა, ჰაკინენი გენატრებათ, რაკი ასე ხშირად იხსენებთ?**

- თუკი ვინმე მენატრება, ეს ჩემი ცოლია, როდესაც გვერდით არ მყავს. რაც შეეხება ჰაკინენს, მასთან ჭიდილი საინტერესო იყო.

**- თქვენს ანგარიშზე ახლა ზედიზედ ხუთი მოგებული რბოლაა. წინ კი მონტე-კარლოა...**

- იქ რბოლა ძალზე პრესტიჟულია. ბუნებრივია, კვლავაც მსურს პირველობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზედიზედ ექვსი გამარჯვების ავტორი გავხდე.

**- თუ შეგიძლიათ, რომ მიმდინარე სეზონის 18-ვე რბოლა მოიგოთ? მაგალითად, ბარიკელოს ამაში ეჭვი ეპარება...**

- ჩემი აზრი ემთხვევა ბარიკელოსას.

**- ლეგენდარულმა ალბერტო ასკარიმ 1952-53 წლების მიჯნაზე ზედიზედ ცხრა რბოლა მოიგო. ნუთუ არ გინდათ მისი რეკორდის დამხობა?**

- რატომაა, რომ ყველას ასე აღელვებს რაღაც რეკორდები? ჩემი აზრით, ეს არცთუ პირველხარისხოვანია.

**- და მაინც, მაპატიეთ, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ არ გსურთ ზედიზედ ექვსი რბოლის მოგება!**

- საქმე ისაა, რომ არ ვოცნებობ! ვიმეორებ: მე სტატისტიკისთვის არ დავქრივარ. თუმცა, თუ რომელიმე რეკორდი მაინც შედგა, რა თქმა უნდა, მესიამოვნება, გარკვეულწილად, ვიამაყებ კიდეც, მაგრამ ეს ის არაა, რაც აღმაფრენას მმატებს.

**- თქვენ ირგვლივ მუდამ აჟიოტაჟია, ყველას სურს თქვენთან გასაუბრება, საკუთარი აღტაცების გამოხატვა...**

- თუ ადამიანს, ისევე როგორც მე, ამდენი წლის განმავლობაში წარმატება აქვს გარკვეულ პროფესიაში, ბუნებრივია, მას პატივი უნდა სცენ.

**- გარდა ამისა, ფორმულა 1-ში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი პილოტი ხართ...**

- მთავარი ის არის, როგორ გრძნობ თავს და არა ის, თუ რომელ წელს დაიბადე. ახლა თავს ისე ვგრძნობ, თითქოს 25 წლის ვიყო...

**- ესპანეთის დიდი პრიზის წინ მონაკოში გაიმართა საჯინიბოთა წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც სამომავლოდ "დიდი პრიზების" გამართვასთან დაკავშირებით მოსალოდნელ გლობალურ ცვლილებებზე საუბრობდნენ. იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ყველაფერ ამასთან ინჟინრებსა და საჯინიბოთა ბოსებს, გარკვეული წარმოდგენა არსებობს. მაგრამ როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით თავად მრბოლებს? ხომ არ გაღიზიანებთ რეგლამენტის ახალი მოთხოვნები, თუ პირიქით?**

- კომენტარები ჯერ ადრეა. ჯობს, მანამ მოვიცადოთ, სანამ ყველაფერი ზუსტად არ განისაზღვრება. პირადად მე სულაც არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს სიახლეები რეალიზებული იქნება. 2008 წლამდე, როდესაც სიახლეები უნდა დაინერგოს, საკმაო დროა.

**- სიახლეთა ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილიო ფედერაცია) პრეზიდენტის მაქს მოსლის მიერ შემოთავაზებული "პაკეტი", რომელიც სრულად კრძალავს ელექტრონულ გადაცემათა კოლოფის გამოყენებას. უფრო სწორად, მანქანის მართვაში მთავარ როლს კვლავაც მრბოლი დაიკავებს და არა კომპიუტერი. რამდენად სერიოზულ გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი მართვის თქვენეულ სტილზე? როგორც ცნობილია, ფორმულა 1-ში არასდროს მიგიმართავთ გადაცემათა მექანიკური კოლოფისთვის...**

- ძნელია პასუხის გაცემა. ვამჯობინებ, კითხვა უპასუხოდ დავტოვო. ამასთან, ჯერ საკუთარ თავთან ვერ გავრკვეულვარ, თუ რა უნდა მომწონდეს მოსალოდნელ ცვლილებებში.

**- თითოეული ეს ცვლილება იმისკენაა მიმართული, რომ "დიდ პრიზებს" დაუბრუნდეს დაკარგული სანახაობრიობა. პირადად თქვენ რას შესთავაზებდით? თუ, როგორც ბოლო წლების რბოლათა აბსოლუტურ გამარჯვებულს, ახლანდელი სიტუაციაც სრულად გაკმაყოფილებთ?**

- მთლიანობაში მე მხოლოდ და მხოლოდ მრბოლი ვარ. პილოტებისთვის ძნელია ბევრ საკითხზე მსჯელობა, ვინაიდან ზუსტად არ იცნობენ წვრილმანებს. აი, მაგალითად, ახლა უნდათ, რომ ფორმულა 1-ის ხარჯები შეამცირონ. ამასთან დაკავშირებით აპირებენ ძრავების სიმძლავრის შემცირებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ძნელი იქნება, რადგან თუ თქვენ გაქვთ გარკვეული ბიუჯეტი, მაშინ, ბუნებრივია, მოისურვებთ მის სრულად გამოყენებას და არა ეკონომიას.

TV-სპორტი

### პარასკევი. 14 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1987. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "MILWAUKEE BUCKS" - "BOSTON CELTICS". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კრუზეირო" (ბრაზილია) - "დეპორტივო კალი" (კოლუმბია). საპასუხო მატჩი
15:05 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "პერუჯა"
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 "FUTBOL MUNDIAL"
17:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:05 "დარტყმა გოლისთვის"
18:20 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ვერდერი"
20:00 "ექსპერტიზა"
20:30 "გაიტანე"! მაიკლ ოუენთან ერთად
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კრუზეირო" (ბრაზილია) - "დეპორტივო კალი" (კოლუმბია). საპასუხო მატჩი
22:50 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ჩელსი". შესვენებისას (22:40) - თავისუფალი დარტყმა
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. საპასუხო მატჩი
01:50 "ექსპერტიზა"
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "DETROIT PISTONS" - "NEW JERSEY NETS". მე-5 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ + СПОРТ**
08:55 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთი - ტაილანდი. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
11:00, 14:00, 22:00 პრესცენტრი
10:20, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 "მოტოვებული კვირა"
12:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
14:35 "მწვერვალი გვეძახის" - ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
15:05 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "PHILADELPHIA FLYERS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-3 მატჩი
17:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:45 ტაილანდური კრივი
18:45 "ნადირობის სეზონი"
19:15 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთი - ტაილანდი. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
20:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
21:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "მწვერვალი გვეძახის" - ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "PHILADELPHIA FLYERS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-3 მატჩი
01:15 ახალი ამბები
01:30 "NHL - პლუს"
01:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. მეოთხედფინალი

**EUROSPORT**
14:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
14:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
15:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
17:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
18:30 ველორბოლები. იტალიის ტური
20:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
22:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
23:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
01:00 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი
03:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ისტორია
04:15 ახალი ამბები

# 14 მაისი - ხსენება წმინდა დედოფლისა თამარისი

ანდრო ცისკარიძე

## თამარ მეფეზე ინგლისში...

1888 წელს საქართველოს დიდმა მეგობარმა, ინგლისელმა დიპლომატმა და მთარგმნელმა ოლივერ უორდროპმა ლონდონში გამოსცა წიგნი "საქართველოს სამეფო" ("The Kingdom of Georgia"), რომელშიც არაერთი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მოიხსენია.

მათ შორის იყო თამარ მეფე.

აი, მხოლოდ ერთი ადგილი ამ წიგნიდან:

"1184 წელს, თამარ მეფე ავიდა მამისეულ ტახტზე და ქვეყანას 28 წლის მანძილზე მართავდა. ეს იყო უბედნიერესი და ყველაზე უფრო დიდებული პერიოდი საქართველოს ისტორიაში. დედოფალს ჰქონდა ბედნიერება თავის გარშემო შემოეკრიბა ბრძენი მრჩევლები და მამაცი მხედართმთავრები, მაგრამ, თამარის განსაკუთრებული თვისების გამო, მოპოვებული წარმატებები, უმთავრესად, მას მიეწერება. სამხედრო ლაშქრობებმა, რომელსაც ის აწარმოებდა, მთელ აზიაში გაუთქვა მას სახელი; ერზრუმმა, დვინმა, ტრაპეზუნდმა, სინოპმა, სამსუნმა, ყარსმა ნახა ქართული შეიარაღებული ძალების ტრიუმფი.

ყოველივე ამის მიუხედავად, თამარი დიდ ყურადღებას აქცევდა შინაურ საქმეებს: იყო ობოლთა დედა, ქვრივთა გამკითხავი. რელიგია იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოველივე ამის საშუალებას აძლევდა; როცა მხედრობა დიდ ნადავლს მოიპოვებდა, ნადავლის ერთი ნაწილი კურთხეული ქალწულის სახელზე იყო გადადებული. ასეთმა ქმედებამ ხელი შეუწყო ყოველ სოფელში ტაძრების აღმოცენებას. დღის უმეტეს ნაწილს თამარი ლოცვავედრებაში ატარებდა და საკუთარი მეფური ხელით სამოსს უკერავდა გაჭირვებულ ადამიანებს. ტრადიციულად არსებობს აზრი, რომ ყოველ ცისმარე დღე ისე მუშაობდა თამარი, რომ თავისი საკუთარი სარჩო დაემსახურებინა. ეს შეფასება, ალბათ, გადაჭარბებულია, მაგრამ ცხადად ჩანს, თუ როგორი პიროვნება იყო დედოფალი.

თამარ მეფე არც ლიტერატურულ ნიჭს ყოფილა მოკლებული. როცა ბრძოლას მოიგებდა, დებორას მსგავსად, შეეძლო თავისი ტრიუმფის შესახებ უფლისათვის მოეთხრო ტკბილი, აღფრთოვანებული ჰიმნით. ერთ-ერთი ასეთი სადიდებელი ჰიმნი დღემდეა შემონახული, - თუმცა, თამარ მეფე, უმთავრესად, ცნობილია როგორც მგოსანთა მფარველი და შთამაგონებელი. მისი მიწერ-მოწერის არსებული ფრაგმენტები ადასტურებს, რომ ის კარგი დიპლომატიც ყოფილა. ერთ-ერთი წერილი განსაკუთრებულად გამოხატავს მისი მამაცური რწმენის კეთილშობილურ სულს. რუქნადინმა 800000-იანი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოზე გასალაშქრებლად მოემზადა. გამოლაშქრებამდე მან დედოფალს შიკრიკი გაუგზავნა თხოვნით, რომ უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და მას გაჰყოლოდა ცოლად. წერილი მთავრდებოდა მუქარით, რომ თამარი თუ არ დამორჩილდებოდა მის სურვილს, ის ძალით დაეპატრონებოდა მას. შიკრიკს, რომელმაც ეს შეურაცხმყოფელი წინადადება მოიტანა, დედოფლის გარემოცვა, ალბათ, იქვე სიცოცხლეს გამოასალმებდა, თამარს რომ არ ეხსნა ის. მან მშვიდად მისწერა საპასუხო წერილი, სადაც გამოხატავდა თავის უდიდეს ნდობას უფლისადმი და აცხადებდა, რომ გაანადგურებდა რუქნადინსაც და მის ურჯულო მხედრობასაც. წერილი თამარმა ნამდვილი ქალური შტრიხით დაასრულა: "რადგანაც ვიცი, თუ რა თავქარიანია მხედრობა შენი, წერილს თქვენი შიკრიკის ხელით არ გიგზავნით. მას ჩემს საკუთარ მსახურს ვატან."

თამარი არ დაკმაყოფილდა თავისი ქვეყნიდან მაჰმადიანთა განდევნით, მან ელჩები დაგზავნა ქრისტიანულ გაერთიანებებში - ალექსანდრიაში, ლიბანში, სინას მთაზე, იერუსალიმში, კვიპროსში, საბერძნეთსა და რუმინეთში და, საჭიროების შემთხვევაში, თავისი დახმარება შესთავაზა; იმისათვის, რომ თეოლოგიაში უზრუნველეყო თავისი ხალხის მართლმადიდებლობა..."

ოლივერ უორდროპმა ინგლისელ მკითხველებს თამარ მეფის პირადი ცხოვრების სხვა მხარეებიც გააცნო და ტექსტს ცალკე ფურცელზე დაურთო თამარ მეფის სურათი.

## საფრანგეთში

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი (1846, ქვიშხეთი - 1905, ბრიუსელი) იყო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მეცნიერი. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1965-დან სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1866 წელს პირველმა თარგმნა ფრანგულიდან ქართულად "მარსელიოზა". 1868 წელს სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, ხოლო 1869 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს. შემდეგ, 1870-დან ქუთაისში ეწეოდა სავექილო საქმიანობას და თანამშრომლობდა გაზეთ "დროებაში". 1890 წლიდან სამკურნალოდ გაემგზავრა ბელგიაში. ბელგიაში ყოფნის დროს მას არ გაუწყვეტია კავშირი ქართულ კულტურასთან. მიწვეული იყო პროფესორად ბრიუსელის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში დააარსა პოლიტოლოგთა კათედრა, განაგებდა რუსული სიტყვიერების კათედრას და კითხულობდა ლექციებს რუსულ ლიტერატურაში. ნიკოლოზ ყიფიანმა ბელგიაში დააარსა ფემინისტური საზოგადოება.

ბელგიაში სამკურნალოდ მყოფი ნ. ყიფიანი 1891 წელს დასასვენებლად ჩავიდა საფრანგეთის შესანიშნავ საკურორტო ქალაქ ნიცაში და სწორედ აქედან თბილისში "ივერიის" რედაქციას გაუგზავნა წერილი თამარ მეფის შესახებ (წერილი ამავე წლის 212-ში დაიბეჭდა). გაზეთის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო.

აი, რას ატყობინებდა ნ. ყიფიანი საქართველოს:

"პარიზის ოპერა-თეატრში ამზადებენ ამჟამად წარმოსადგენად ერთი ნიჭიერი კომპოზიტორის ბურგოლ-დუკუდრეის ოპერას სახელად "თამარს". ამ ოპერაში გამოყვანილია ჩვენი ისტორიის დამამშვენებელი თამარ-მეფე.

ჯერ არც ლიბერტო ამ ოპერისა და არც პარტიტულა არ არის დაბეჭდილი და, როცა გამოვა, დაწვრილებით მოგწერთ ორივეს ამბავს. ჯერ ჯერობით კი გაცნობებს ლიბერტოს მოკლე შინაარსს, რომელიც შევიტყე ბურგოლ-დუკუდრეის ერთი მეგობრისაგან."

სპარსეთის შაჰ ნურედინს დიდი ჯავრით დაუპყრია თამარის სამეფო და დაუწყია ქვეყნის აკლება. თამარს თავი შეუფარებია მთებისთვის. მაშინ საქართველოს გადასარჩენად იგი ფიქრობდა, რა გზა მოენახა. თამარმა შეიტყო, რომ ნურედინისათვის უქიათ მისი სილამაზე და ამიტომ უნდოდა თამარის გაცნობა. შემოუთვლია კიდევაც ეს სურვილი მეფისთვის - შეგიძლიან ჩემთან თავისუფლად მოსვლაო.

და ნ. ყიფიანი ასე აგრძელებს ლიბერტოს შინაარსს: "თამარი შეუდგა გზას იმ გამზრახვით, რომ უნდა მოეკლა ნურედინი, რომელიც არასოდეს არ ენახა.

რა მიუახლოვდა იმის კარავს, ჰქონებდა, რომ შაჰი დახვდებოდა საზარელის სახისა, უგვანი და მხეცი, როგორც გველი ან ფოცხვერი, და უზომოდ გაკვირვებული შეიქმნა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ტანად და თვალად ყმაწვილი კაცი, კოხტა ჭაბუკი.

თამარს მოეწონა ნურედინი - ნურედინიც გაგიჟდა "მზეებრელვარე" თამარის დანახვით.

ოც-და-ხუთის წლის ყმაწვილკაცს და თვრამეტი წლის ახალგაზრდა ქალს, ორსავე მშვენიერებს, სულით და გულით შეუყვარდათ ერთმანეთი. სიყვარული ყოველდღე თანდათან უფრო და უფრო იტაცებდა ორივეს...

როდესაც თამარი ის იყო მიეცა დავიწყებას, სიყვარულის ეშხით მთვრალი მზად იყო, დაენებებინა თავი მოარშიყესათვის, ამ დროს უეცრად წარმოუდგა თვალწინ ხალხის დაჩაგრული მდგომარეობა, მთელის საქართველოს უბედურება ამ ერთის კაცის მიზეზით, წარმოუდგა თვალწინ დაქვრივებულ-დაობლებულების ცრემლი და მწუხარება, - მოაგონდა თავისი ფიცი, მოაგონდა მიზეზი ნურედინთან მოსვლისა და - საიდან მიეცა ღონე ახალგაზრდა ქალის სულსა და მკლავსა - დასცა ხანჯლით ქართველთა სისხლის მსმელი ნურედინი თვის ფეხთა წინაშე.

თამარმა გადაიწერა პირჯვარი და სთქვა: "საქართველო განთავისუფლდაო!.."

ნ. ყიფიანი განაგრძობს: "ეს ოპერის ლიბერტო, რასაკვირველია, ცარიელი პოეზიაა და ისტორიული ამ ამბავში სრულიად არ არის-რა, მაგრამ მაინც, როგორც პოეზია, მშვენიერებაა! პოეზიას ნება აქვს, სურათის ნათლად გამოსახატავად ხან-და-ხან გადაუხვიოს ისტორიულ გზასა: არავინ არ დააყვედრებს, მაგალითად, უკვდავს შილერს, რომ მისი "ქალწული ორლეანისა" ჟანნა დარკი კვდება ომის ველზედ მტრის ტყვიით განგმირული და არა რუანის მოედანზე დამწვარი ცეცხლში ინგლისელების ხელით.

მშვენიერია ბურგოლ-დუკუდრეის პოეზიით აღსავსე მოთხრობა თამარის შესახებ, მშვენიერია იმიტომ, რომ თამარის სურათი, თამარის ხასიათი, იმისი სიყვარული ქვეყნის მიმართ, იმისი ერთგულება ერისადმი და გულმტკივნეულობა ქვრივ-ობლისათვის ნამდვილი სიმართლეა. თამარ-მეფე რომ ჩავარდნილიყო იმისთანა მდგომარეობაში, ნამდვილად ისე იმოქმედებდა. საკუთარის, პირადის გრძნობის დათრგუნვა და თავგადადებული მოქმედება ქვეყნის ბედნიერებისათვის სწორედ თამარ-მეფის ხასიათი იყო".

## ავსტრიაში

ნობელის პრემიის ლაურეატი (1905 წელი), ავსტრიელი მწერალი-ქალი ბერტა ფონ ზუტნერი, რომელმაც 9 წელიწადი საქართველოში იცხოვრა, თავის მოგონებებში თამარ მეფეს მოიხსენიებს.

ბერტა ზუტნერი აღნიშნავდა, რომ თამარ მეფის მმართველობის დრო საქართველოს ისტორიაში მიჩნეულია, როგორც ქვეყნის ოქროს ხანა.

აი, ადგილები თამარ მეფეზე:

"თამარის მეფობის დასაწყისში მის სახელმწიფოს სპარსელი ხალიფი ნახერ-ოლიდინი დაესხა თავს, რომელმაც "უთვალავი" ჯარით დალაშქრა საქართველო; მაშინ მოუხმო თამარმა თავის ჯარს, 10 დღეში მოუყარა მან თავი ქვეყნის ყველა კუთხიდან ლეგიონებს. მან ჩამოუარა მათ რიგებს და შემდეგი სიტყვებით მიმართა: "ძმებო, გული არ გაიტეხოთ მტრის ურიცხვი ჯარის წინაშე. რასაკვირველია, თქვენ გსმენიათ გიდეონის 300 ჯარისკაცისა და მის მიერ მიდიელების უთვალავი არმიის დამარცხების ამბავი. თავი გაიმამაცურედ და თითოეული თქვენგანის გულოვანების იმედი იქონიეთ!" შემდეგ მეფემ ჯარს თავისი წინაპრის დროშა, გორგასლიანთა დროშა, ზემონახსენები ედიქტის ავტორის დროშა გადასცა (რომლის მიხედვითაც "ვინც ომში სიკვდილს გადაურჩება..." და ა.შ.). ცხადია, ქართულმა ჯარმა შეუტია და ბრწყინვალედ დაამარცხა მტერი. როცა ჯარი უკან დაბრუნდა, მას თამარი შემოეგება და ჯარისკაცებმა იმით აღფრთოვანებულებმა, რომ მეფე თავიანთ წრეში იხილეს, სპარსელთა არმიის მეთაურები თამარის წინაშე დააჩოქეს."

და კიდევ:

"არსებობს ქართული ეროვნული პოემა, რომელიც ყველა გლეხმა იცის ზეპირად, სადაც ამ სახელგანთქმულ დედოფალზე შემდეგია მოთხრობილი: ერთ-ერთი დიდი გამარჯვების დღესასწაული იყო. თამარმა ყველა თავისი ძვირფასი სამკაული (ძვირფასი ქვებით მოოჭვილი გვირგვინი, ოქროს სამაჯური, მარგალიტების ძეწკვები) აისხა. თამარი მზესავით ანათებდა. მას სურდა, რომ ყველა გახარებული ყოფილიყო. მეჭურჭლეთუხუცესს უბრძანა, საჩუქრები და საბოძვარი გაეცა ყველასათვისა. დიდისა და პატარისათვის, აზნაურთათვის და უაზნოთათვის. "შეასრულე ჩემი ბრძანება?" - ჰკითხა თამარმა მეჭურჭლეთუხუცესს, "ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ?" "მეფეო", უპასუხა მეჭურჭლეთუხუცესმა, "შენი ბრძანებისამებრ მოწყალება გავიღე. მხოლოდ ერთ მათხოვარ ქალს არაფერი ერგო, რადგან მაინცდამაინც შენთან უნდოდა შემოსვლა და შენი ხელიდან წყალობის მიღება. ჩვენ არ შემოვუშვით, ჩვენგან არაფერი მიიღო და გაგულისებული წავიდა." დედოფალი სახტად დარჩა, ბრძანა, მოეძებნათ ის ქალი და მოეგვარათ. ძებნა ამაო გამოდგა, დედოფალი უშედეგოდ იცდიდა, ქალს ვერ მიაკვლიეს. უცებ დედოფალს გონება გაუნათდა. ხატების წინ დაემხო, პირჯვარი გადაისახა და აღელვებულმა წამოიძახა:

"მე ახლა ვიცი, ვინ იყო ის მათხოვარი ქალი. შენ, დედაო ღვთისავ, წარმომიგზავნე იგი." და თამარმა შემოიძარცვა, რაც კი თვალ-მარგალიტი და ალმასები ეკეთა და შესწირა გაენათის ღვთისმშობლის მონასტერს."

## ნორვეგიაში

ნობელის პრემიის ლაურეატი (1920), გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი და დრამატურგი კნუტ ჰამსუნი თავის მეუღლესთან ერთად 1899 წელს თბილისში ჩამოვიდა და სასტუმრო "ლონდონში" ცხოვრობდა.

ნორვეგიაში დაბრუნებულმა მწერალმა დაწერა "მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში" და სამმოქმედებიანი დრამა "თამარ მეფე."

"თამარ მეფის" შესახებ 1904 წლის 27 იანვარს ვრცელი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ "ცნობის ფურცელში". მისი ავტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი (ცნობილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი) აღნიშნავდა: "პიესა "თამარ მეფე" გერმანულ ენაზე უთარგმნიათ და დაუბეჭდავთ გერმანიაში."

"ჰამსუნის პიესის მთავარი მომქმედი პირი თამარია, რომელიც სხვებთან შედარებით გარკვეულად და ნათლადაა დასურათებული. ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა, გულის სიკეთე, სინაზე და სირბილე, რომელსაც ისტორია გადმოგვცემს თამარის შესახებ, ჰამსუნსაც აქვს პიესაში ჩაქსოვილი," - წერდა ფ. გოგიჩაიშვილი.

ჰამსუნის პიესა დაიდგა ნორვეგიაში.

გაზეთი "ცნობის ფურცელი" 1904 წელს იუწყებოდა:

"კნუტ ჰამსუნის პიესა "თამარ მეფე", რომლის განხილვა უკვე იყო ჩვენს გაზეთში, პირველად წარმოადგინეს ქალაქ ქრისტიანიის (დღევანდელი ოსლო. ა.კ.) "ეროვნულ თეატრში". როგორც გაზეთ ლეიფციგის ახალ ამბებში სწერია, პიესა ძლიერ მოსწონებია ხალხს".

1995 წელს შევხვდი თბილისში ჩამოსულ ნორვეგიის სამეფოს მოსკოვის საელჩოს პირველ მდივანს ოლე ბერნ რეგენს და ვუამბე, რომ საქართველოს ღირსეული მეფე-ქალის შესახებ კნუტ ჰამსუნს პიესა ჰქონდა დაწერილი და ყოფილი "ლონდონის" სასტუმროს შენობაში კი მწერლის ხსოვნის საპატივსაცემოდ მემორიალური დაფა იყო გაკეთებული.

გაეხარდა, მთხოვა, მეორე დღეს მეჩვენებინა ეს ადგილი.

მარტო არ მოვიდა, თან ორი ნორვეგიელი ახლდა. გამაცნო ისინი და მითხრა:

- როცა ამ ჩემს მეგობრებს ვუთხარი, სად მივდიოდი თქვენთან ერთად, ძალიან მთხოვეს თან წამოგვყოლოდნენ. მათაც უნდათ მემორიალური დაფის ნახვა.

და მალე ოთხივე ყოფილ "ლონდონის" სასტუმროსთან მივედით.

დაფაზე ასეთი წარწერაა ქართულად და ინგლისურად: "ამ შენობაში (ყოფილი სასტუმრო "ლონდონი") 1899 წელს თბილისში ყოფნის დროს ცხოვრობდა გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი (1859-1952)".

გაიხარეს ნორვეგიელებმა, მაშინვე სურათები გადაიღეს, მერე შენობაში შევიდნენ, ავიდნენ მეორე სართულზე, ეზოში გადაიხედეს და გულმოდგინედ დაათვალიერეს, იკითხეს შენობის ისტორია, გამოელაპარაკნენ მის მაცხოვრებლებს.

ისინი თავიანთი გამოჩენილი პიროვნების, ნობელის პრემიის ლაურეატის ცხოვრებას იხსენებდნენ. ფიქრობდნენ იმაზე, რომ აქ დადიოდა ერთ დროს კნუტ ჰამსუნი.

მე კი თამარ მეფეზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, როგორი ინტერესით დაათვალიერებდნენ ქართველები ნორვეგიის ქალაქ ქრისტიანიის "ეროვნულ თეატრს", მის სცენას, სადაც ქართველი მეფე ლაპარაკობდა, მერე რა, რომ დიდი ხნის წინათ.

## რუსეთში

2000 წელს მოსკოვის გამომცემლობამ "ვეჩე" გამოსცა სქელტანიანი წიგნი სახელწოდებით "Сто великих женщин", რომელშიც მოთხრობილია სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ პიროვნებებზე.

აი, ზოგიერთი მათგანი:

გაბრიელა მისტრალი (1889-1957). ჩილელი პოეტი. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1945).

მარია კიური (1867-1934). პოლონელი, საფრანგეთში მოღვაწე ფიზიკოსი და ქიმიკოსი. პარიზის უნივერსიტეტის პირველი ქალი-პროფესორი. ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი (1903 წელს ფიზიკის დარგში, 1911 წელს ქიმიის დარგში).

მარგარეტ ტეტჩერი (1925). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წლებში. კონსერვატორული პარტიის ლიდერი 1975-1990 წლებში, ხოლო 1970-1974 წლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ჟანა დ`არკი (1412-1431). საფრანგეთის ნაციონალური ეროვნული გმირი. სათავეში ჩაუდგა ფრანგი ხალხის ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ და 1429 წელს გაათავისუფლა ალყისაგან ორლეანი. 1874 წელს პარიზში დადგმული იქნა მისი სტატუი.

ინდირა განდი (1917-1984). ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში (1979).

ისტორიულ პიროვნებებს შორის, ჟანა დ`არკის წინ და 100 ქალთა შორის მე-8 ადგილზე ნაამბობია თამარ მეფეზე. თურმე, ივანე მრისხანემ, ყაზანის აღებისას, გაიხსენა თამარის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც მისაბაძ მაგალითად აღიარა.



## ორშაბათი 10.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ბუნდეს ლიგა **16.20** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "უცნაური ღამეები". მთ. რ-ში: რალფ ფაინსი, ანჯელა ბასეტი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 1-2ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.15** სერიალი "ფორსაიტების საგა" **16.25** "ბედი" **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.25** პროფათეული **18.15** ანონსი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.45** დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00** მოამბე **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **23.00** მოამბე **00.00** მხ. ფილმი "მადამ ბოვარი" (15)

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ორმაგი საყრდენი" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "აფიორა" (დასტინ ჰოფმანი) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მონტი პაიტონი და წმინდა გრაალი" (ჯონ კლიზი) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "შესანიშნავი" (ბელმონდო) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "დოგვილი" (ნიკოლ კიდმანი)

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10** დღის კინოდარბაზი **12.00, 15.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.30** მულტსერიალი "კლიფორდი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "სადი" (დანიელ ოტეი) (18) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ნიკოლას ნიკლბი"

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" **21.00** "პალიტრა" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "პარმის სავანე" 1-ლი ს.

### კავკასია

**12.00** ინდური მხ. ფილმი „გასწირე შენი თავი" **15.00** მხ. ფილმი „ცისფერი კრუიზი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „იამაკასები" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" **22.30** „საქმე და ეკონომიკა"

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.10, 11.20, 13.15, 14.05, 16.50, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.40** ტვ-მარკეტი **14.20** სერიალი "გაზაფხულის 17 გაელვება" მე-11 ს. **15.40** სერიალი "გაზაფხულის 17 გაელვება" მე-12 ს. **16.00, 17.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი" მე-6 ს. **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "ითამაშე ბეკჰემივით"

### იბერია

**08.00** მხ. ფილმი **10.00** კონცერტი **11.00** დოკ. ფილმი **11.30** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.40** ახალი ამბები **15.20** კონცერტი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ხაბაზები" 1-ლი ს. **22.45** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "ზიზღი" (15)

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Док.сериал "Все путешествия команды Кусто". "Легенда "Калипсо" **07.50 Худ.фильм "Здесь твой фронт" 09.20** Армейский магазин **09.50** Илья Резник. "Служить России". Концерт **11.10** "Непутевые заметки" **11.30** "Две славы солдата и актера" **12.20** "Угадай мелодию" **12.40** "Ералаш" **13.10 Боевик "По законам военного времени" 14.40** "Путешествия натуралиста" **15.10** "Дачники" **16.10** "КВН-2004". Премьер-лига. Вторая игра **18.00** "Ералаш" **18.10** "Космополитен - концерт" **20.00** "Кривое зеркало" **22.00** Время **22.20 Боевик "Багровые реки" 00.20** Док.фильм "Список возмездия" **01.00** Концерт группы ДДТ **03.00 Худ.фильм "Монсеньор"**

### НТВ

**07.45** Мультфильм "Конек-горбунок" **09.00, 13.00, 17.00, 20.00** Сегодня **09.20 Сериал "Государственная граница". 12.00** Кулинарный поединок: Амаяк Акопян - Роман Антипов **13.15** "Почти смешная история". Фильм К.Точилина **14.10 Худ.фильм "Город зажигает огни" 16.10** "Их нравы" с Дм. Захаровым. **17.25** "Профессия - репортер". "Дефиле под водой" **17.50 Худ.фильм "Иван Бровкин на целине" 20.35 Худ.фильм "Водный мир" 23.20** Фактор страха-II **00.15 Худ.фильм "Видок" 02.10** Журнал Лиги чемпионов

## სამშაბათი 11.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **19.10** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "უკანმოუხედავად". მთ. რ-ში: მაიკლ ჯეი ფოქსი, ჯეიმს ვუდსი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** სერიალი "რვაფეხა" 1-ლი ს. **16.20** დოკ. სერიალი "მხატვრები" **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.45** დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.05** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** მხ. ფილმი "მადამ ბოვარი" მე-2ნ. (15)

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ჩრდილთა საათი" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "შესანიშნავი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "შაოლინის ხის კაცი" **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "სარას სამსახურში" (ელიზაბეტ ჰარლი) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "სიზმრების დამჭერი" (მორგან ფრიმენი)

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კლიფორდი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "სოლტონის ზღვა" (ველ კილმერი) (18) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "სხვა სამყარო" (ბერჯიმ პატრიკი) (12)

### მეორე არხი

